

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი


საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

ბატონი მიხეილ ნონიკაშვილი - დირექტორი

ბატონი ამირამ შარაბი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონი ირაკლი გურგენიძე - ფინანსური დირექტორი

ხელმოწერები:


დირექტორი


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


ფინანსური დირექტორი

განთავსების აგენტი:

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“

მის: ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995) 555 088 888

ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი

0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: info@nbg.ge

ვებგვერდი: www.nbg.ge

შეთავაზების პირობების დოკუმენტი

1 შესავალი

1.1 მითითება იმის შესახებ, შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის წინასწარ თუ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს.

წინამდებარე შეთავაზების პირობები წარმოადგენს საბოლოო შეთავაზების დოკუმენტს.

1.2 ფასიანი ქაღალდის, ემიტენტის, განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, პროსპექტზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება, დამტკიცების თარიღი, ISIN

| | |
|--|---|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება: | აშშ დოლარის არა-უზრუნველყოფილი არა-სუბორდინირებული ობლიგაცია |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია: | სს „მისო ევრო კრედიტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404919102) მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N10 ელ. ფოსტა: info@eurocredit.ge ტელ.: +995 32 2 904 000 ვებ გვერდი: https://eurocredit.ge |
| განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3 ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com ვებ გვერდი: https://www.alphacapitaladvisory.com |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2 ტელ: (995 32) 240 6120 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელ. ფოსტა: info@nbg.ge ვებ გვერდი: www.nbg.ge |
| დამტკიცების თარიღი: | 29 თებერვალი 2024წ. |
| ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი | GE 2700604558-1-01 |
| ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი ISIN | GE 2700604558 |

2 შეთავაზების შესახებ ინფორმაცია.

2.1 შეთავაზების პირობები და ვადები.

შეთავაზება განხორციელდება ამ პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენიდან 1 (ერთ) კვირის ვადაში „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება ინფორმაცია განთავსების შესახებ.

2.1.1 არსებობის შემთხვევაში, იმ პირთა დეტალები და მათი ვალდებულების ძირითადი პირობების აღწერა, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, იმოქმედონ შუამავლებად მეორად ვაჭრობაში და უზრუნველყონ შეთავაზების ლიკვიდურობა.

ასეთი არ არსებობს.

2.1.2 თუ პროსპექტით განსაზღვრული საჯარო შეთავაზების პარალელურად ან ახლო პერიოდში იგეგმება იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების კერძო განთავსება, ან, თუ იგეგმება სხვა კლასის ფასიანი ქაღალდების საჯარო ან კერძო განთავსება, უნდა მიეთითოს ასეთი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, მახასიათებლები და ფასი.

არ იგეგმება.

2.2 ფასიანი ქაღალდის დეტალები

| | |
|---|--|
| ობლიგაციის საპროცენტო სარგებელი (კუპონი) | ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან და შეადგენს წლიურად ფიქსირებულ 9.5% -ს. |
| ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები | ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში. |
| სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა | ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდებას (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 30/360 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად 6 თვეში ერთხელ 1 ივნისს და 1 დეკემბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2024 წლის 1 ივნისს. |
| ობლიგაციების ვალუტა | ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში. |
| ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები | ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები გაწერილია პროსპექტის „ვალდებულებები“ ნაწილში. |
| ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა | ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დამკვეთის თაობაზე. |

| | |
|--|---|
| | ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ტერიტორიის გარეთ მიმოქცევა შესაძლოა ექვემდებარებოდეს შესაბამისი იურისდიქციის წესებს და ობლიგაციების თითოეული შემძენი თავად არის ვალდებული დაიცვას ის პოტენციური წესები, რაც შესაძლოა მას ეხებოდეს. |
| გამოსყიდვის ოფცია | ემიტენტს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია პროსპექტის 23.6.1. ქვეპუნქტის შესაბამისად. |
| ობლიგაციების რეიტინგი | ობლიგაციებს რეიტინგი მინიჭებული არ აქვთ. |
| ობლიგაციების დაფარვის თარიღი | ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუნდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2026 წლის 1 დეკემბერს. |
| რეგისტრატორი | სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/კ 205156374), საქართველო, ქ. თბილისის, ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზ., №74ა ტელ : (+995 32) 2 225 351 ელფოსტა: info@usr.ge |
| სავაჭროდ დაშვება | ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ბირჟის ლისტინგში დაშვებისთვის კომპანია აკმაყოფილებს ყველა პირობას (საკუთარი კაპიტალის მოცულობა, ზარალის გარეშე მუშაობა, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და ა.შ). საფონდო ბირჟის წესებთან შესაბამისობის ნაწილს შეაფასებს საფონდო ბირჟა. ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: |
| ობლიგაციების კლასი და სტატუსი | ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, ობლიგაციებს ექნებათ „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი გადახდის უფლებასთან (პრიორიტეტულობასთან) მიმართებაში. |
| დივიდენდების გაცემის პოლიტიკა | ემიტენტის დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე და კომპანიის ფინანსური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და ემისიის პროსპექტის პირობების ფარგლებში. |
| შეთავაზების შესახებ ინფორმაცია | |
| შეთავაზება | 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარი ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 2026 წლის 1 დეკემბერი. |
| ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა | 1 ობლიგაცია. |
| ინსტრუმენტი | კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი). |

| | | |
|--|------------|---|
| ობლიგაციის ღირებულება | ნომინალური | 50,000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი. |
| ობლიგაციების რაოდენობა | | 200 (ორას) ცალი. |
| მთლიანი ემისიის ღირებულება | ნომინალური | 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარი. |
| გამოშვების ფასი | | ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%. |
| ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება; | | „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიღებული 2023 წლის 9 მაისს. |
| ობლიგაციების გამოშვების თარიღი | | ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2023 წლის 1 დეკემბერს. |
| გადავადებული განთავსების თარიღი | | ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით. |
| გადავადებული განთავსების ფასი | | ობლიგაციების ნომინალური ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი. |
| შეთავაზების დასრულების თარიღი | | შეთავაზების პერიოდი განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდით, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შექენა. შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა (არაუგვიანეს 2024 წლის 28 ნოემბრისა); ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა. |
| ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში | | გაკოტრების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რიგითობა შემდეგია: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები; დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუნარობის შესახებ |

| | |
|---|---|
| | განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ კატეგორიას მიეკუთვნება „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის 23.5. ქვეთავში. |
| კალკულაციისა და გადახდის აგენტი | სს „პაშა ბანკი საქართველო“ ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #378 ელ. ფოსტა: info@pashabank.ge ვებ გვერდი: https://www.pashabank.ge/ |
| დეფოლტი | თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განადგება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა: (იხილეთ პროსპექტის თავის 23.6., ქვეპუნქტი - 23.6.2., „დეფოლტის შემთხვევა“). |
| ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება | ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები (მათ შორის, მიღებული სახსრების გამოყენების მიზნებისთვის, იგულისხმება ობლიგაციების ემისიის თარიღიდან 12 თვემდე ნებისმიერ კონკრეტულ პერიოდში ობლიგაციების გამოშვების შედეგად ფაქტობრივად მოზიდული წმინდა სახსრები) გამოყენებული იქნება კომპანიის მიერ შემდგომი დაკრედიტების განსახორციელებლად და მოხმარდება სასესხო პორტფელის დაგენერირებასა და კომპანიის ვალდებულებების დაფარვას წინამდებარე პროსპექტით ნებადართული წესითა და ოდენობით, ემიტენტის შეხედულებისამებრ. |
| რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები | ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. |
| მარეგულირებელი კანონმდებლობა | საქართველოს კანონმდებლობა. |
| იურისდიქცია | ობლიგაციებთან დაკავშირებული დავები უნდა მოგვარდეს საქართველოს სასამართლოებისათვის მიმართვის ან არბიტრაჟის გზით, პროსპექტით განსაზღვრული წესით. |
| განთავსების აგენტი | შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ მის: ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3, თბილისი, საქართველო ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com ვებ გვერდი: www.alphacapitaladvisory.com |
| განთავსების ხელშეკრულების პირობები | აგენტთან ძირითადი ხელშეკრულება შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორს“ ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები. |

| | |
|-----------------------|---|
| განთავსების საკომისიო | განთავსების საკომისიო განსაზღვრულია განთავსებული ობლიგაციების 1%-ით. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი. |
| იურიდიული მრჩეველი | <p>ემისიის იურიდიული მრჩეველი არის შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 211389291 მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 129ა, სართული 4 ტელ.: (+995 32) 292 24 91</p> <p>მის კომპეტენციაშია კომპანიის სამართლებრივი შემოწმების დასრულება და შემოწმების შედეგების ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში ასახვა. კერძოდ, არსებითად BLC-ის მიერ მოხდა ემისიის პროსპექტის შემდეგი ნაწილების დაწერა: მიმდინარე სასამართლო დავები, არსებითი ხელშეკრულებები, კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურის აღწერა, ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი და ასევე, ობლიგაციების პირობები.</p> <p>ვინაიდან გამჟღავნებული ინფორმაცია ეყრდნობა „კომპანიიდან“ მიღებულ მონაცემებს, მათ სისწორეზე პასუხისმგებლობას კისრულობს „კომპანია“.</p> |

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეუხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დამტკიცებულია ეროვნული ბანკის მიერ



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეუხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

საჯარო ემისიის საბოლოო პროსპექტი



სააქციო საზოგადოება „მისო ევრო კრედიტი“

(საიდენტიფიკაციო კოდი: 404919102)

ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 9.5% და რომლებიც ვადამოსული ხდება 2026 წლის 1 დეკემბერს. გამოშვების ფასი: 100%

ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 9.5% და რომლებიც ვადამოსული ხდება 2026 წლის 1 დეკემბერს. („ობლიგაციები“), გამოშვებულ იქნება არამატერიალური, რეგისტრირებული ფორმით სს „მისო ევრო კრედიტი“ („კომპანია“, „ემიტენტი“, „ევრო კრედიტი“) მიერ 2023 წლის 1 დეკემბერს („გამოშვების თარიღი“), 50,000 აშშ დოლარის ნომინალის მქონე ფასიან ქაღალდებად, და მათი გამოსყიდვა მოხდება 2026 წლის 1 დეკემბერს („გამოსყიდვის თარიღი“), მათი ძირი ღირებულებით. „ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს 1 ივნისს და 1 დეკემბერს გამოსყიდვის თარიღამდე (ამ თარიღის ჩათვლით). გამოშვების ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს. ობლიგაციების ემისიის თარიღიდან 24 (ოცდაოთხი) თვის შემდეგ, „ემიტენტს“ ექნება უფლება გამოისყიდოს ობლიგაციები სრულად.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არა-სუბორდინირებულ და არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

განთავსების აგენტი: შპს „აღფა კაპიტალ ედვაიზორი“



გადახდისა და კალკულაციის აგენტი: სს „ჰაშა ბანკი საქართველო“



იურიდიული მრჩეველი: შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“



ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:


ბატონი მიხეილ ნონიკაშვილი - დირექტორი

ბატონი ამირამ შარაბი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონი ირაკლი გურგენიძე - ფინანსური დირექტორი

ჩვენ, ამირამ შარაბი, მიხეილ ნონიკაშვილი და ირაკლი გურგენიძე, ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:


ხელმოწერები:



დირექტორი



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



ფინანსური დირექტორი



განთავსების აგენტი:

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“

მის: ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995) 555 088 88 88

ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com

ვებგვერდი: www.alphacapitaladvisory.com

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი

0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: info@nbg.ge

ვებგვერდი: www.nbg.ge

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ



თარიღი 29.02.2024

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მისი მიმღების მიერ, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაუშვებელია წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მთლიანად ან ნაწილობრივ გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ განსაზღვრული მიზნებისა.

„კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ არსებულ ინფორმაციაზე. „კომპანია“ აცხადებს, რომ მან მიიღო ყველა გონივრული ზომა „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაციის სისწორის და სისრულის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მასში არ არის გამოტოვებული რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს პროსპექტის შინაარსზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელება და „ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია აკრძალული იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში. ის პირები, ვის მფლობელობაშიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ აღმოჩნდება, ვალდებული არიან შეატყობინონ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“ (როგორც ეს განმარტებულია „ემისიის პროსპექტში“) ამგვარი შეზღუდვების არსებობის და მათი დაცვის შესახებ.

დაუშვებელია „ობლიგაციების“ „განთავსება“, „საჯარო შეთავაზება“ ან „რეკლამირება“ (როგორც თითოეული ტერმინი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობით) საქართველოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს „ობლიგაციების“ რეკლამას, შეთავაზებას, მოწვევას ოფერტზე, გაყიდვას, გაცვლას და/ან სხვაგვარ გადაცემას საქართველოს ფარგლებს გარეთ. წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს „ობლიგაციების“ შეთავაზებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ არის დამტკიცებული არც ერთი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა („სებ“), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ მარეგულირებელ ორგანოს.

შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. საჯარო შეთავაზების პრინციპების მიხედვით, შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საცალო, ასევე გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე. იმ შემთხვევაში, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფულად სახსრებს მოიზიდავს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან), თითოეული ფიზიკური პირისაგან (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმისგან) მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100,000 ლარზე ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას აღნიშნული მოთხოვნის დაცვის ვალდებულება წარმოეშობა, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100,000 ლარზე ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს შესაბამისი ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის ვადაში.

„ობლიგაციების“ შეთავაზება არ უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოში. უცხოელმა რეზიდენტებმა, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ადრესატები, უნდა უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში იმგვარად, რომ არ გახდნენ რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტები. ამასთან, რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში, ადრესატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“.

ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს შეიძინოს ან შეისყიდოს „ობლიგაციები“, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელი სამთავრობო ან სხვაგვარი თანხმობა და დაიცვას ყველა შესაბამისი ფორმალობა.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ პირდაპირ მოცემულ ან მითითების გზით მასში ჩართულ ინფორმაციას. „ობლიგაციების“ გამოშვებას ან გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ერთ პირს არ აქვს უფლება გასცეს ისეთი ინფორმაცია ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც არ არის მოცემული ან ჩართული წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას

ნებისმიერი ინფორმაციაზე, რომელიც მოცემული ან ჩართული არ არის წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიწოდება ან მის საფუძველზე „ობლიგაციების“ გაყიდვა არ გულისხმობს, რომ „ემისიის პროსპექტის“ გაცემის თარიღიდან „კომპანიის“ საქმეებში არ შესულა ცვლილებები. პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რაიმე მატერიალური ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტი შესაბამისად განახლდება.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეთავაზების მიზნებისათვის ნებისმიერ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი შეთავაზება არ არის კანონიერი ან ნებადართული, ან ნებისმიერი ისეთი პირის მიმართ, რომლის მიმართაც ამგვარი შეთავაზების გაკეთება არ არის კანონიერი ან ნებადართული; არ ხორციელდება რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც დაუშვებდა „ობლიგაციების“ შეთავაზებას ან „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას იმ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი ქმედება აუცილებელია.

შეთავაზება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. იხილეთ „რისკ-ფაქტორები“. არც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და არც „კომპანიის“ ან „განთავსების აგენტის“ მიერ „ობლიგაციებთან“ მიმართებით მიწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და დაუშვებელია მათი ამ კუთხით განმარტება. თითოეულმა ინვესტორმა თავად უნდა განახორციელოს პოტენციური რისკების შეფასება. „ემისიის პროსპექტი“ არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და საინვესტიციო (მათ შორის, თითოეული ინვესტორის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული) შეფასების აღწერას. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ იდენტიფიცირებული რისკები და საინვესტიციო შეფასებები მოცემულია ზოგადი ინფორმაციის სახით. ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ საკუთარ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩევლებთან „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საინვესტიციო შეფასებებთან მიმართებით; ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად. არც „კომპანია“ და არც „განთავსების აგენტი“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას „ობლიგაციების“ რომელიმე მყიდველის ან ოფერტის მიმღების წინაშე, „ობლიგაციების“ მყიდველის ან ოფერტის მიმღების მიერ შესაბამისი საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების კანონიერებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოცემა და გავრცელება, ასევე „ობლიგაციების“ ნებისმიერი შეთავაზება ან გაყიდვა, არ წარმოადგენს „კომპანიის“ ან მისი ნებისმიერი მმართველის, თანამდებობის პირის ან დასაქმებულის მიერ, „კომპანიის“ წესდებით („წესდება“), კანონმდებლობით ან სხვა რეგულაციით მინიჭებულ რაიმე ისეთ უფლებაზე, იმუნიტეტზე, პრივილეგიაზე ან შეღავათზე უარის თქმას, რომელიც მათ უნარჩუნდებათ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ საფუძველზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ მომზადებულია ქართულ ენაზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ აშშ დოლარზე და “USD”-ზე მითითება გულისხმობს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ვალუტაზე მითითებას.

„განთავსების აგენტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ან ჩართული ინფორმაციის სისწორეზე და პოტენციურმა ინვესტორებმა სიფრთხილით უნდა გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცია.

სარჩევი

| | | |
|----|--|-----|
| 1 | შესავალი | 2 |
| 2 | ინფორმაცია ემიტენტის შესახებ | 3 |
| 3 | მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ | 16 |
| 4 | რისკ ფაქტორები | 18 |
| 5 | შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია..... | 43 |
| 6 | პასუხისმგებელი პირები | 45 |
| 7 | ინფორმაცია ემიტენტის შესახებ | 47 |
| 8 | საემიანობის აღწერა | 49 |
| 9 | ორგანიზაციული სტრუქტურა | 68 |
| 10 | საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა..... | 69 |
| | კაპიტალიზაცია და დავალიანება..... | 81 |
| 11 | მარეგულირებელი გარემო. | 89 |
| 12 | ინფორმაცია ტენდენციების შესახებ..... | 97 |
| 13 | მოგების პროგნოზი და ვარაუდები..... | 97 |
| 14 | მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები; | 98 |
| 15 | მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა..... | 104 |
| 16 | მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). | 109 |
| 17 | ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან | 110 |
| 18 | ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია. | 110 |
| 19 | დამატებითი ინფორმაცია | 114 |
| 20 | მატერიალური ხელშეკრულებები. | 114 |
| 21 | გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი..... | 115 |
| 22 | მნიშვნელოვანი ინფორმაცია..... | 116 |
| 23 | ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს..... | 117 |
| 24 | საჯარო შეთავაზების პირობები. | 138 |

1 შესავალი

1.1 ზოგადი ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების თაობაზე

| | |
|---|---|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება: | აშშ დოლარის არა-უზრუნველყოფილი არა-სუბორდინირებული ობლიგაცია |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია: | სს „მისო ევრო კრედიტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404919102) მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N10 ელ. ფოსტა: info@eurocredit.ge ტელ.: +995 32 2 904 000 ვებ გვერდი: https://eurocredit.ge |
| განთავსების აგენტის/შეთავაზების განმხორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3 ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com ვებ გვერდი: https://www.alphacapitaladvisory.com |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2 ტელ: (995 32) 240 6120 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელ. ფოსტა: info@nbg.ge ვებ გვერდი: www.nbg.ge |
| დამტკიცების თარიღი: | |

1.2 მითითება იმის შესახებ, რომ შეთავაზების ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის წინასწარ თუ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს:

წინამდებარე ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს. ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან. ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესთავაზებულ ფასიან ქაღალდებში.

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება.

2 ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

2.1 ემიტენტის შესახებ მოკლე ინფორმაცია

2.1.1 ემიტენტის იურიდიული და არსებობის შემთხვევაში კომერციული დასახელება;

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის სს „მისო ევრო კრედიტი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404919102) (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“).

2.1.2 ემიტენტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა;

| | |
|------------------------------------|---|
| იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: | იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N10. ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N10. |
| სამართლებრივი ფორმა: | სააქციო საზოგადოება |
| რეგისტრაციის ქვეყანა: | საქართველო |
| მარეგულირებელი კანონმდებლობა: | საქართველო კანონმდებლობა |

2.1.3 ემიტენტის ძირითადი საქმიანობების, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული საქონლის კატეგორიების, ასევე იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია ემიტენტი;

სს „მისო ევრო კრედიტი“ არის სააქციო საზოგადოება, რომელიც 2011 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდა საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404919102.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე სესხების გაცემა საქართველოში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნდა 11 ფილიალი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში.

კომპანიის გუნდი შედგება 100-ზე მეტი პროფესიონალისგან, რომლებიც საქმის ექსპერტული ცოდნითა და დიდი გამოცდილებით გამოირჩევიან.

კომპანიის მისიას წარმოადგენს მომხმარებლებსა და თანამშრომლებზე ორიენტირებული ინოვაციური, სანდო და მუდმივად განვითარებადი გარემოს შექმნა - მიკროსაფინანსო სექტორში საუკეთესო მომსახურების შეთავაზების გზით.

2.1.4 ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების დასახელება, ვინ ფლობს, ან აკონტროლებს ემიტენტს პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობით.

„კომპანია“ მიეკუთვნება საერთაშორისო კომპანია - Zuk Group-ს, რომელიც ფლობს ბიზნესებს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, რუმინეთი, უკრაინა, საქართველო და სხვა.

ფასიანი ქაღალდების რეესტრის 2022 წლის 09 დეკემბრის ამონაწერის თანახმად, „კომპანიის“ კაპიტალი შეადგენს 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს, რომელიც დაყოფილია 10,000 (ათი ათასი) ცალ ჩვეულებრივ აქციად. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს. ამონაწერის თანახმად, აქციონერები არიან:

| N | აქციონერის სახელი | საიდენტიფიკაციო მონაცემები | აქციების რაოდენობა | პროცენტული წილი კაპიტალში |
|----|-------------------------------|----------------------------|--------------------|---------------------------|
| 1. | ბენიმ მენი | 23673004 | 500 | 5.00% |
| 2. | გრენიკასი იოსეფ რეუვენ | 10947788 | 650 | 6.50% |
| 3. | დუანიას ეიალ | 21890360 | 200 | 2.00% |
| 4. | დუანიას ორენ აბრაჰამ | 29036517 | 300 | 3.00% |
| 5. | Zuk China Stone Works Limited | 1574286 | 7,551 | 75.51% |
| 6. | D. Mody Properties LTD | 514223932 | 799 | 7.99% |

„კომპანიის“ აქციონერები არ სარგებლობენ უპირატესი შესყიდვის უფლებით.

მოშე ზუკი წარმოადგენდა „კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.1.5 თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურის აღწერა მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით.

ემიტენტი არ არის ჯგუფის წევრი.

2.1.6 ემიტენტის დირექტორების დასახელება პოზიციების მითითებით.

| | |
|--------------------|---|
| მიხეილ ნონიკაშვილი | საქართველოს მოქალაქე (24001004346) |
| მაიკლ კაგანოვიჩი | ისრაელის მოქალაქე (3-0422140-1, 39026786) |

2.1.7 ემიტენტის აუდიტორ(ებ)ისა და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე პირების ან ექსპერტების დასახელება, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მათი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში.

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი (პროსპექტი წარმოადგენილი 2020-2022 წლების ანგარიშების ფინანსური აუდიტორი): შპს „ბიდიო“. საიდენტიფიკაციო კოდი: 205145403. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ი. თარხნიშვილის ქ. 2. ელ-ფოსტა: bdo@bdo.ge

პროსპექტის მომზადებაში ჩართული იურიდიული პირები:

განთავსების აგენტი: შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721. მისამართი: ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3, თბილისი, საქართველო. ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com. ვებ გვერდი: www.alphacapitaladvisory.com

იურიდიული მრჩეველი: შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 211389291. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 129ა, სართული 4. ტელ.: (+995 32) 292 24 91. ვებ გვერდი: www.blc.ge

2.1.8 შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

| შეთავაზებაში ჩართული პირი | როლი შეთავაზებაში | ინტერესის აღწერა | ინტერესთა კონფლიქტის აღწერა |
|------------------------------------|---------------------------------|---|--|
| შპს „ალფა კაპიტალი ადვაიზორი“ | განთავსების აგენტი | წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია შპს „ალფა კაპიტალ ადვაიზორი“. | კომპანია და განთავსების აგენტი დაკავშირებული პირები არ არიან და არ არსებობს მათ შორის რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი. |
| შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“ (BLC) | იურიდიული მრჩეველი | BLC არის ტრანზაქციის იურიდიული მრჩეველი, რომელიც დაქირავებულია განთავსების აგენტის მიერ. მის კომპეტენციაშია კომპანიის სამართლებრივი შემოწმების დასრულება და შემოწმების შედეგების ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში ასახვა. კერძოდ, არსებითად BLC-ის მიერ მოხდა ემისიის პროსპექტის შემდეგი ნაწილების დაწერა: მიმდინარე სასამართლო დავები, არსებითი ხელშეკრულებები, კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურის აღწერა, ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი და ასევე, ობლიგაციების პირობები. ვინაიდან გამჟღავნებული ინფორმაცია ეყრდნობა კომპანიიდან მიღებულ მონაცემებს, მათ სისწორეზე პასუხისმგებლობას კისრულობს კომპანია. | მომსახურების ხელშეკრულების ეტაპზე მომსახურე იურიდიული ფირმის მიერ გადამოწმებული იქნა პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, რაც ამ ინდუსტრიაში დამკვიდრებული სტანდარტია. შესაბამისად, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი იურიდიულ მრჩეველსა და ემიტენტს შორის. |
| სს „პაშა ბანკი საქართველო“ | კალკულაციისა და გადახდის აგენტი | კალკულაციისა და გადახდის აგენტის მოვალეობაა კუპონისა და ძირი თანხის კალკულაცია და ანგარიშსწორება. | ემიტენტი და კალკულაციისა და გადახდის აგენტი დაკავშირებული პირები არ არიან და არ არსებობს მათ შორის რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი, გარდა სს „პაშა ბანკი საქართველოსა“ და ემიტენტს შორის არსებული მიმდინარე საკრედიტო |

| | | | |
|--|--|--|---|
| | | | ურთიერთობისა (დეტალები საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებზე მოცემულია წინამდებარე პროსპექტის 8.3.1.4. ქვეპუნქტში). |
|--|--|--|---|

2.2 ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.2.1 ემიტენტის შერჩეული ისტორიული ფინანსური ინფორმაცია ბოლო 2 ფინანსური წლისთვის, ამასთან თუ რელევანტურია, შუალედური ფინანსური ინფორმაცია შესაძარისი პერიოდის ინფორმაციასთან ერთად. რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ კომპონენტებს:

სრული შემოსავლების ანგარიშგება

| | 30 ივნისი 2023 არააუდი რებული | 30 ივნისი 2022 არააუდი რებული | 31 დეკემბერ ი 2022 აუდირებ ული | 31 დეკემბერ ი 2021 აუდირებ ული | 31 დეკემბერ ი 2020 აუდირებ ული |
|--|--|--|--|--|--|
| საპროცენტო შემოსავალი | 12,010,774 | 9,593,025 | 20,740,706 | 15,870,856 | 13,465,393 |
| საპროცენტო ხარჯი | -1,849,830 | -1,743,808 | -3,708,134 | -3,199,350 | -3,136,946 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე | 10,160,944 | 7,849,217 | 17,032,572 | 12,671,506 | 10,328,447 |
| გაუფასურების ხარჯი | -3,385,126 | -1,401,977 | -5,847,897 | -2,122,766 | -332,974 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 6,775,818 | 6,447,240 | 11,184,675 | 10,548,740 | 9,995,473 |
| სხვა შემოსავალი | 2,463,782 | 1,820,759 | 4,181,482 | 3,397,238 | 2,463,386 |
| ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება | -2,254,774 | -2,201,706 | -4,055,622 | -4,065,974 | -3,505,255 |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | -2,176,733 | -2,071,752 | -4,412,855 | -5,080,827 | -3,232,533 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | -426,680 | -416,481 | -859,810 | -841,852 | -897,600 |
| მოგება / (ზარალი) გაცვლითი კურსის სხვაობისგან | 554,798 | 1,059,205 | 2,926,176 | 517,262 | -2,621,479 |
| მოგება დაბეგვრამდე | 4,936,212 | 4,637,264 | 8,964,046 | 4,474,587 | 2,201,992 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | -1,040,574 | -695,590 | -601,571 | -1,173,046 | -12,237 |
| სულ სრული შემოსავალი | 3,895,637 | 3,941,675 | 8,362,475 | 3,301,541 | 2,189,755 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | 30 ივნისი 2023 | 30 ივნისი 2022 | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|--------------------------------------|---------------------------|---------------------------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| | არააუდი რებული | არააუდი რებული | არა- აუდირებ ული | აუდირებ ული | აუდირებ ული |
| აქტივები | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,973,127 | 2,845,047 | 1,383,154 | 4,266,053 | 1,686,981 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 59,371,532 | 53,488,871 | 56,513,261 | 46,324,013 | 33,330,827 |
| სხვა აქტივები | 599,579 | 237,645 | 477,189 | 192,898 | 184,265 |
| საგადასახადო აქტივი | 0 | 0 | 0 | - | 213,815 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 1,574,877 | 406 | 1,241,203 | 406 | 902,237 |
| აქტივის გამოყენების უფლება | 1,574,655 | 1,819,167 | 1,949,709 | 2,185,582 | 3,047,528 |
| ძირითადი საშუალებები | 444,217 | 421,542 | 411,031 | 393,362 | 465,040 |
| სულ აქტივები | 65,537,986 | 58,812,678 | 61,975,547 | 53,362,314 | 39,830,693 |
| ვალდებულებები | | | | | |
| სხვა ვალდებულებები | 220,760 | 278,425 | 331,281 | 269,430 | 601,434 |
| საგადასახადო ვალდებულება | 735,171 | 397,541 | 816,822 | 779,460 | - |
| საიჯარო ვალდებულებები | 1,210,209 | 1,723,198 | 1,611,016 | 2,168,672 | 3,177,814 |
| მიღებული სესხები | 9,024,709 | 9,156,529 | 9,015,948 | 8,707,190 | 0 |
| სუბორდინირებული სესხები | 17,991,135 | 19,217,421 | 17,740,310 | 17,339,867 | 19,083,694 |
| სულ ვალდებულებები | 29,181,983 | 30,773,115 | 29,515,377 | 29,264,619 | 22,862,942 |
| კაპიტალი | | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 1,000,000 | 1,000,000 | 1,000,000 | 1,000,000 | 1,000,000 |
| გუნაწილებელი მოგება | 35,356,003 | 27,039,563 | 31,460,170 | 23,097,695 | 15,967,751 |
| მთლიანი კაპიტალი | 36,356,003 | 28,039,563 | 32,460,170 | 24,097,695 | 16,967,751 |
| ვალდებულებები და კაპიტალი | 65,537,986 | 58,812,678 | 61,975,547 | 53,362,314 | 39,830,693 |

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

| | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|--|---------------------|-------------------------|-------------------|
| ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 16,191,255 | 17,191,255 |
| დამფუძნებელთან ოპერაცია | - | -2,413,259 | -2,413,259 |
| სულ სრული შემოსავალი | - | 2,189,755 | 2,189,755 |
| ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 15,967,751 | 16,967,751 |
| დამფუძნებელთან ოპერაცია | - | 3,828,403 | 3,828,403 |
| სულ სრული შემოსავალი | - | 3,301,541 | 3,301,541 |
| ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 23,097,695 | 24,097,695 |
| დამფუძნებელთან ოპერაცია | - | - | - |
| სულ სრული შემოსავალი | - | 8,362,475 | 8,362,475 |
| ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 31,460,170 | 32,460,170 |
| სულ სრული შემოსავალი | - | 3,895,637 | 3,895,637 |
| აუდიტის შესწორება | - | 194 | 194 |
| ბალანსი 2023 წლის 30 ივნისს (არააუდირებული) | 1,000,000 | 35,356,001 | 36,356,001 |

2.2.2 განმარტების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ მონაცემებს თან უნდა ახლდეს პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია, დანართი 6-ის მიხედვით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად.

„კომპანიას“ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის შესყიდვის ან გაერთიანების გარიგებაში, რის გამოც პრო-ფორმა ფინანსური მონაცემების საჭიროება არ არის.

2.2.3 თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტორის დასკვნის ტიპი (უპირობო, მოდიფიცირებული, პირობითი, უარყოფითი, უარი დასკვნის დაწერაზე) და პირობითი დასკვნის შემთხვევაში მიზეზების მოკლე აღწერა.

„კომპანიის“ 2022 და 2021 წლების ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ უპირობო დასკვნა გამოხატა შპს "ბიდიო საქართველო"-მ.

„კომპანიის“ 2020 და 2019 წლის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი დასკვნა გამოხატა შპს "ბიდიო საქართველო"-მ. 2020 და 2019 წლის აუდირებულ

ანგარიშგებებში პირობითი დასკვნის საფუძველი: აუდიტორმა ვერ მიიღო მტკიცებულება რომ დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხებისა და სუბორდინირებულ სესხების აღიარებული იყო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი აუდიტორული ფინანსური ანგარიშგებები.

2.2.4 მოგების პროგნოზირებული ციფრის მითითება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში ფიგურირებს ეს ციფრი და ხდება მისი პროგნოზი ან შეფასება.

„კომპანიის“ არ წარადგენს საპროგნოზო მონაცემებს.

2.2.5 ბოლო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, და/ან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა, რომელიც მატერიალური იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

არც ბოლო საანგარიშგებო პერიოდში და არც პროსპექტის წარდგენამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს რომელიც მატერიალური იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად .

კომპანიის ინფორმაციით მისი საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 13.93 მლნ ლარი. კომპანიის მენეჯმენტის შეხედულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მიხედვით არსებული საბრუნავი კაპიტალი შემდეგი ერთი წელი საკმარისია კომპანიის საქმიანობის დასაფინანსებლად.

2.2.6 არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მიერ ემიტენტის ან/და მისი ფასიანი ქაღალდებისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულები.

არც ემიტენტი და არც მისი რომელიმე ფასიანი ქაღალდი არ არის შეფასებული რომელიმე სარეიტინგო სააგენტოს მიერ. მომავალში კლიენტი გეგმავს საკრედიტო რეიტინგის მოძიებას.

2.2.7 ემიტენტის ბოლო 2 წლის აუდიტორული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ბაზაზე ამ წესის დანართი 9-ის შესაბამისად დათვლილი ფინანსური კოეფიციენტები. აღნიშნული და დამატებით სხვა კოეფიციენტების წარდგენა უნდა მოხდეს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ემიტენტის ბიზნეს მოდელისა და საქმიანობის ინდუსტრიისთვის.

| | | | | |
|--------------------------------|----------|----------|----------|----------|
| ემისიის შემდეგ ¹ | 30-06-23 | 31-12-22 | 31-12-21 | 31-12-20 |
|--------------------------------|----------|----------|----------|----------|

მომგებიანობის კოეფიციენტები

¹ დაშვება გაკეთდა რომ ობლიგაციების მოზიდვა განხორციელდა 30-06-2023 და გავლენა ექნება მხოლოდ 2022 წლის საბალანსო ანგარიშგების მუხლებზე და არა მოგება-ზარალის უწყისზე. დაშვების მიხედვით მოხდება ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული ორივე სესხი რეფინანსირება. .

| | | | | | |
|---|-------|-------|-------|-------|-------|
| უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე | 29.5% | 25.8% | 29.6% | 16.1% | 12.8% |
| უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე | 11.0% | 13.4% | 14.5% | 7.1% | 5.3% |
| წმინდა საპროცენტო მოგების მარჟა (NIM) | 20.4% | 20.4% | 21.8% | 26.5% | 29.8% |
| შეწონილი საპროცენტო განაკვეთები | 36.6% | 41.0% | 40.3% | 39.8% | 40.1% |
| ხარჯი/შემოსავალი კოეფიციენტი | 38.5% | 38.5% | 44.0% | 62.2% | 59.7% |
| დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე | 10.0% | 13.2% | 13.4% | 13.3% | 14.7% |
| საპროცენტო განაკვეთის სპრედი | 26.6% | 27.8% | 27.0% | 26.6% | 25.4% |
| საზედამხედველო მაჩვენებლები | | | | | |
| კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (სებ) >18% | 52.2% | 62.9% | 59.5% | 51.5% | 60.0% |
| ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სებ). >18% | 55.2% | 42.0% | 45.1% | 54.9% | 74.2% |
| ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ) <40% | 0.7% | 0.7% | 0.8% | 1.6% | 2.8% |
| დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ) <90% | 0.0% | 39.7% | 43.5% | 37.3% | 0.0% |
| ინვესტიციების კოეფიციენტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| აქტივების ხარისხი | | | | | |
| უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (IFRS) | 5.6% | 5.6% | 5.4% | 27.3% | 38.7% |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (IFRS) | 11.7% | 11.7% | 8.8% | 23.1% | 28.1% |
| უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (სებ) | 14.7% | 14.7% | 17.5% | 22.1% | 32.9% |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სებ) | 16.3% | 16.3% | 18.9% | 24% | 35.9% |
| PAR 90 მთლიან სესხებთან | 16.0% | 16.0% | 18.7% | 23.4% | 34.2% |
| პორტფელის ჩამოწერა/პორტფელთან | 15.5% | 15.5% | 23.6% | 2.2% | 0.8% |
| ჩამოწერილი პორტფელის ამოღება | 0.0% | 0.0% | 0% | 0% | 0% |
| პორტფელის რესტრუქტურისაცია/პორტფელ თან | 0.1% | 0.1% | 0.2% | 0.5% | 13.4% |
| ლიკვიდობა/ლევერიჯი | | | | | |
| ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები | 2.5% | 3.0% | 2.2% | 8.0% | 4.2% |

| | | | | | |
|---|-------|--------|-------|-------|--------|
| ფულადი სახსრები/მოკლევადიანი ვალდებულებები | 20.1% | 20.14% | 13.3% | 55.7% | 28.9% |
| სარეგულაციო კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი | 68.9% | 91.5% | 88.8% | 89.5% | 108.2% |
| მთლიანი ვალის კოეფიციენტი | 56.4% | 41.2% | 43.2% | 48.8% | 47.9% |
| მთლიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი | 1.38 | 0.74 | 0.82 | 1.08 | 1.12 |
| პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი | 3.8 | 3.8 | 3.6 | 2.6 | 1.9 |

მსესხებელ 1-თან² არსებული ფინანსური კოვენანტები 25-05-2022 ხელშეკრულების მიხედვით

| | | | | | |
|--|------|-------|-------|-------|--------|
| საოპერაციო ხარჯი/მემოსავალი <45% | ა.რ. | 30.6% | 34.0% | 47.5% | 42.3% |
| საოპერაციო ხარჯი/მთლიან პორტფელთან <20% | ა.რ. | 15.3% | 15.0% | 19.7% | 20.2% |
| არაუზრუნველყოფილი სესხების/მთლიან პორტფელთან < 20% | ა.რ. | 0.00% | 0% | 7.63% | 12.43% |
| PAR 30 / მთლიან სასესხო პორტფელთან < 35% (NPL-ბის ჩათვლით) | ა.რ. | 7.6% | 7.2% | 29.1% | 29.4% |
| PAR 90 / მთლიან სასესხო პორტფელთან < 33% (NPL-ბის ჩათვლით) | ა.რ. | 5.6% | 5.3% | 27.1% | 27.6% |
| რესტრუქტურირებული სესხები / მთლიან სესხებთან < 10% | ა.რ. | 0.1% | 0.2% | 0.5% | 13.4% |

მსესხებელ 2-თან³ არსებული ფინანსური კოვენანტები 28-06-2022 ხელშეკრულების მიხედვით

| | | | | | |
|--|------|-------|------|-------|--------|
| არაუზრუნველყოფილი სესხების/მთლიან პორტფელთან < 10% | ა.რ. | 0.00% | 0% | 7.63% | 12.43% |
| რესტრუქტურირებული სესხები / მთლიან სესხებთან < 5% | ა.რ. | 0.1% | 0.2% | 0.5% | 13.4% |
| ფინანსური ვალდებულებები / მთლიანი სასესხო პორტფელი < 0.175 | ა.რ. | 0.15 | 0.16 | 0.19 | 0.00 |
| ფინანსური ვალდებულებები / კაპიტალი < 0.5 | ა.რ. | 0.17 | 0.18 | 0.21 | 0.00 |
| PAR 30 / მთლიან სასესხო პორტფელთან < 26% | ა.რ. | 7.6% | 7.2% | 29.1% | 29.4% |

² მსესხებელ 1-თან 2022 წლის ბოლოს სესხის ძირის მოცულობა იყო 4.5 მლნ ლარი

³ მსესხებელ 2-თან 2022 წლის ბოლოს სესხის ძირის მოცულობა იყო 4.0 მლნ ლარი

| | | | | | |
|---|------|------|------|------|------|
| საპროცენტო და საკომისიო შემოსავალ / საპროცენტო, საგადასახადო და დაკავშირებული პირების ხარჯი > 1.2 | ა.რ. | 5.08 | 6.01 | 4.61 | 5.48 |
| საკრედიტო რეზერვები / PAR 30 და ზევით > 0.86 | ა.რ. | 1.53 | 1.23 | 0.80 | 0.96 |
| ობლიგაციის კოვენანტები | | | | | |
| წმინდა ფინანსური ვალდებულებები / მთლიან კაპიტალთან < 3 | | 0.85 | 0.46 | 0.51 | 0.53 |
| | | | 0.51 | 0.53 | 0.48 |

ამასთან, ყველა კოეფიციენტისათვის მითითებული უნდა იყოს გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ზოგადი შენიშვნები

1. ზემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ემიტენტის შეფასებით რელევანტურია მისი ბიზნეს საქმიანობისა და სპეციფიკის შესაფასებლად.
2. საოპერაციო მოგება არის მოგება ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების გამოკლებითა და მოგების გადასახადის დარიცხვამდე.
3. ზემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტებისა და დათქმების მიზნებისთვის საოპერაციო ხარჯები მოიცავს ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება და სხვა საოპერაციო ხარჯები
4. სებ-ის საზედამხებველო კოვენანტების განმარტებები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე - <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4245660?publication=0>
5. ზემოთ მოცემული კოეფიციენტების დათვლებისთვის საპროცენტო ხარჯიდან ამოღებულია იჯარის საპროცენტო ხარჯი.
6. მსესხებლების კოვენანტების დათვლის მიზნებისთვის საპროცენტო ხარჯი გულისხმობს მოგება-ზარალის შესაბამისი დასახელების მუხლს, ხოლო საპროცენტო ვალდებულებები გულისხმობს არა-სუბორდინირებულ სესხებსა და ობლიგაციებს.
7. ზემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტებისა და დათქმების მიზნებისთვის კაპიტალი არის მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული სესხები.
8. ზემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტებისა და დათქმების მიზნებისთვის მთლიანი სესხები არის მიღებულ სესხებს დამატებული სუბორდინირებული სესხები.

კოეფიციენტების ახსნა განმარტებები

1. **უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე** - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან
2. **უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე** - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან
3. **წმინდა საპროცენტო მოგების მარჟა** - წმინდა საპროცენტო მოგების ფარდობა უკანასკნელი ორი წლის საშუალო საპროცენტო შემოსავლის დამაგენერირებელ აქტივებთან
4. **შეწონილი საპროცენტო განაკვეთები** - საპროცენტო შემოსავალი გაყოფილი პერიოდის საშუალო ნეტ პორტფელზე (გაუფასურების შემდეგ) პორტფელზე.
5. **საოპერაციო ხარჯი/საოპერაციო შემოსავალი** - საოპერაციო ხარჯი შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან

6. **დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე** - საპროცენტო ხარჯი სესხებზე შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო ნასესხებ სახსრებთან.
7. **საპროცენტო განაკვეთის სპრედი** - საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო პორტფელთან გამოკლებული საპროცენტო ხარჯი შეფარდებული საშუალო ნასესხებ საშუალებებთან.
8. **კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (სებ)** - მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული ვალდებულებები, გამოკლებული ჯამური დაქვითვები (არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება), შეფარდებული მთლიან აქტივებს გამოკლებული ზემოაღნიშნული დაქვითვები.
9. **ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სებ)** – დეკემბრის თვის, ყოველდღიური ლიკვიდური აქტივების საშუალო (გამოთვლილი როგორც, ნაღდ ფულს დამატებული ანგარიშები კომერციულ ბანკებში და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, გამოკლებული გაცვლილი ფულადი სახსრები, დაჯავშნული/დაგირავებული დეპოზიტები და გამოუთხოვადი დეპოზიტები) შეფარდებული ამავე თვის ყოველდღიური მთლიანი საბალანსო ვალდებულებების ლიკვიდობის მიზნებისთვის, საშუალოზე (გამოთვლილი როგორც, ჯამურ საბალანსო ვალდებულებებს, გამოკლებული, 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სუბორდინირებული/კონვერტირებადი ვალდებულებები, ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სახსრები, გაცვლილი ფულადი სახსრების სანაცვლოდ ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები და ვალდებულებები ფულადი გზავნილების მიხედვით იმ ოდენობით, რაც არ აღემატება იგივე შინაარსის მოთხოვნებს ერთი კონტრაგენტის მიმართ.)
10. **ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)** – ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეფარდებული ჯამურ კაპიტალთან.
11. **დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ)** - დაგირავებული აქტივები, შეფარდებული ჯამურ კაპიტალს გამოკლებული აქტივების გადაფასების რეზერვი.
12. **უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (IFRS)** - უმოქმედო სესხები (ასევე მოიცავს რესტრუქტურირებულ სესხებს 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით) შეფარდებული მთლიან სესხებთან (ფასს-ის მიხედვით).
13. **სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (IFRS)** - სესხების რეზერვი შეფარდებული სესხების პორტფელთან (ფასს-ის მიხედვით).
14. **უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (სებ)** - უმოქმედო სესხები შეფარდებული მთლიან სესხებთან (სებ-ის მიხედვით)
15. **სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სებ)** - სესხების რეზერვი შეფარდებული სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით)
16. **PAR 90 მთლიან სესხებთან** - PAR 90 სესხების მოცულობა შეფარდებული მთლიან სესხების პორტფელთან
17. **პორტფელის ჩამოწერა/პორტფელთან** - ჩამოწერილი პორტფელი შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მთლიან სასესხო პორტფელთან
18. **ჩამოწერილი პორტფელის ამოღება** - ამოღებული პორტფელი შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მთლიან სასესხო პორტფელთან
19. **პორტფელის რესტრუქტურირაცია/პორტფელთან** - რესტრუქტურირებული სესხების შეფარდება მთლიან სასესხო პორტფელთან. კოეფიციენტის მიზნებისთვის, რესტრუქტურირებულ სესხებში იგულისხმება მხოლოდ მსესხებლის ფინანსური სირთულეების შედეგად სესხებზე პირობების ცვლილებას და გამორიცხავს სტანდარტული პირობების ცვლილებებს.
20. **ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები** - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
21. **ფულადი სახსრები/მოკლევადიანი ვალდებულებები** - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან

22. **კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი** - ჯამური კაპიტალი (სუბორდინირებული სესხების ჩათვლით) შეფარდებული წმინდა სასესხო პორტფელთან
23. **მთლიანი ვალის კოეფიციენტი** - კომპანიის სასესხო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
24. **მთლიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - კომპანიის სასესხო ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი - მოგება დაბეგვრამდე და საპროცენტო ხარჯამდე შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან

სასესხო კოვენანტების განმარტებები

საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი - ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება და სხვა საოპერაციო ხარჯების ჯამი გაყოფილი საპროცენტო შემოსავალს დამატებული სხვა შემოსავალი.

საოპერაციო ხარჯი/მთლიან პორტფელთან - ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება და სხვა საოპერაციო ხარჯების ჯამი გაყოფილი კლიენტებზე გაცემული სესხებზე.

არაუზრუნველყოფილი სესხების/მთლიან პორტფელთან - არაუზრუნველყოფილი გაყოფილი კლიენტებზე გაცემული სესხებზე.

PAR 30 / მთლიან სასესხო პორტფელთან (NPL-ბის ჩათვლით) – 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული სესხები (რესტრუქტურიზებული სესხების გამოკლებით) გაყოფილი გროს კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელზე.

PAR 90 / მთლიან სასესხო პორტფელთან (NPL-ბის ჩათვლით) – 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული სესხები (რესტრუქტურიზებული სესხების გამოკლებით) გაყოფილი გროს კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელზე.

რესტრუქტურიზებული სესხები / მთლიან სესხებთან - იგივე რაც პორტფელის რესტრუქტურიზაცია/პორტფელთან კოეფიციენტი.

ფინანსური ვალდებულებები / მთლიანი სასესხო პორტფელი - ფინანსური ვალდებულებები სუბორდინირებული სესხების გამოკლებით გაყოფილი კლიენტებზე გაცემული სესხებზე.

საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი / საპროცენტო, საგადასახადო და დაკავშირებული პირების ხარჯი - საპროცენტო შემოსავალის, შემოსავალი ჯარიმიდან და სესხების წინსწრებით დაფარვის საკომისიო ჯამი გაყოფილი საპროცენტო ხარჯს გამოკლებული იჯარის პროცენტის ხარჯი და დამატებული მოგების გადასახადის ჯამზე

საკრედიტო რეზერვები / PAR 30 და ზევით - კლიენტების სესხების მოსალოდნელი ზარალი გაყოფილი 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულ სესხებზე (რესტრუქტურიზებული სესხების გამოკლებით)

ასევე ქვევით შეგიძლიათ იხილოთ იმ დამატებითი კოეფიციენტების ცხრილი Scope Ratings-ის ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო სარეიტინგო მეთოდოლოგიის მიხედვით. აღნიშნული არანაირად არ მოიაზრებს, რომ რეიტინგის მოპოვების შემთხვევაში ემიტენტის ფინანსური კოეფიციენტები იგივე აღმოჩნდებოდა და საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრა არ უნდა მოხდეს მხოლოდ რაოდენობრივ ანალიზზე დაყრდნობით.

დამატებითი კოეფიციენტები

| | ემისიის შემდეგ ⁴ | 30-06- 2023 | 31-12- 2022 | 31-12- 2021 | 31-12- 2020 |
|---|--------------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| ამონაგები გროსს-სასესხო პორტფელზე (%) | 33.9% | 35.5% | 33.9% | 29.8% | 28.8% |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი/საოპერაციო შემოსავალთან (%) | 80.3% | 80.5% | 80.3% | 78.9% | 80.7% |
| წმინდა საკომისიოები / საოპერაციო შემოსავალთან (%) | 19.4% | 19.0% | 19.4% | 20.8% | 18.4% |
| ხარჯი/შემოსავალი კოეფიციენტი (%) | 44.0% | 38.5% | 44.0% | 62.2% | 59.7% |
| გაუფასურების ხარჯი/შემოსავალი გაუფასურებამდე (%) | 49.2% | 43.6% | 49.2% | 34.9% | 6.5% |
| მოსალოდნელი ზარალის რეზერვი/საშუალო გროს-სასესხო პორტფელი (%) | 9.6% | 5.0% | 9.6% | 4.0% | 0.7% |
| წმინდა სესხები/მთლიან აქტივებთან (%) | 93.1% | 90.6% | 91.2% | 86.8% | 83.7% |
| PAR 30 / მთლიანი კაპიტალს დამატებული რეზერვები (%) | 13.9% | 14.0% | 13.9% | 73.1% | 110.7% |
| PAR 30 / გროს სასესხო პორტფელი (%) | 7.3% | 7.6% | 7.3% | 29.2% | 40.5% |
| სესხების გაუფასურების 2 და 3 ეტაპის რეზერვი/PAR 30 (%) | 55.0% | 76.3% | 55.0% | 64.7% | 57.7% |
| წმინდა სესხების ზრდის კოეფიციენტი | 22.0% | 11.0% | 22.0% | 39.0% | -1.5% |

ამონაგები გროსს-სასესხო პორტფელზე - სასესხო პორტფელის საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული გროს სასესხო პორტფელთან

წმინდა საპროცენტო შემოსავალი/საოპერაციო შემოსავალთან - წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან

წმინდა საკომისიოები / საოპერაციო შემოსავალთან - ჯარიმები და საკომისიო შემოსავალი შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან

სავალუტო შემოსავალი / საოპერაციო შემოსავალთან - სავალუტო შემოსავალი შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან

ხარჯი/შემოსავალი კოეფიციენტი - საოპერაციო ხარჯი შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან

გაუფასურების ხარჯი/შემოსავალი გაუფასურებამდე - გაუფასურების რეზერვები შეფარდებული გაუფასურებამდე შემოსავალთან

მოსალოდნელი ზარალის რეზერვი/საშუალო გროს-სასესხო პორტფელი - მოსალოდნელი ზარალის რეზერვი შეფარდებული საშუალო გროს-სასესხო პორტფელთან

⁴ დაშვება გაკეთდა რომ ობლიგაციების მოზიდვა განხორციელდა 31-12-2022 და გავლენა ექნება მხოლოდ 2022 წლის საბალანსო ანგარიშგების მუხლებზე. დაშვების მიხედვით მოხდება ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული ორივე სესხი რეფინანსირება.

წმინდა სესხები/მთლიან აქტივებთან - წმინდა სესხების ფარდობა მთლიან აქტივებთან

PAR 30 / მთლიანი კაპიტალს დამატებული რეზერვები - 30 დღეზე მეტი დავალიანების მქონე სესხების ფარდობა მთლიანი კაპიტალს დამატებული რეზერვები

PAR 30 / გროს სასესხო პორტფელი - 30 დღეზე მეტი დავალიანების მქონე სესხების ფარდობა გროს სასესხო პორტფელთან

სესხების გაუფასურების 2 და 3 ეტაპის რეზერვი/PAR 30 - სესხების გაუფასურების 2 და 3 ეტაპის რეზერვების ფარდობა 30 დღეზე მეტი დავალიანების მქონე სესხებთან

წმინდა სესხების ზრდის კოეფიციენტი - წმინდა სესხების ზრდა წინა პერიოდთან შეფარდებით

3 მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

3.1 მოკლე ინფორმაცია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ.

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა
 - 1.1. პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;
 - 1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა.
 - 1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან და სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.
 - 1.4. ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.
2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები
 - 2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე.
 - 2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;
3. კონკურენციასა და ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები
 - 3.1. საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში არსებულმა მწვავე კონკურენციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ამჟამინდელ ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.
 - 3.2. ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან სწრაფად მორგების უუნარობა უარყოფითად აისახება კომპანიის მომგებიანობაზე.
4. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები
 - 4.1. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.
 - 4.2. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.
 - 4.3. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.
5. საზედამხედველო ჩარჩოსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

- 5.1. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავების და დახვეწის პროცესშია; მარეგულირებელ ჩარჩოში ხშირ ცვლილებებთან სწრაფად მორგების საჭიროებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.
- 5.2. არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობამ შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა
- 5.3. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.
- 5.4. კომპანია ობლიგაციების ემისიის შემდეგ გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე დამატებითი რეგულაციები და ანგარიშგების მოთხოვნები გავრცელდება
- 5.5. შეუსაბამობა "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის რეპუტაციაზე და ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

3.2 მოკლე ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ

1. ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები
 - 1.1. კომპანიის უუნარობამ, მოიზიდოს საკმარისი ფულადი სახსრები ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე.
 - 1.2. არსებულმა და მომავალმა კოვენანტებმა შესაძლოა ფინანსური და საოპერაციო შეზღუდვები დააწესოს კომპანიის საქმიანობაზე.
2. საკრედიტო რისკები
 - 2.1. პოტენციური მსესხებლების საკრედიტო რისკის სამართლიანად შეფასებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.
 - 2.2. აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად.
 - 2.3. გირაო ან გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია გაცემული სესხები შესაძლოა არ იყოს საკმარისი პოტენციური დანაკარგების დასაფარად ან არ იქნეს სრულად რეალიზებული.
3. საოპერაციო რისკები
 - 3.1. თუ კომპანია ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.
 - 3.2. ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე.
4. საბაზრო რისკები
 - 4.1. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია
5. რეპუტაციული რისკები
 - 5.1. კომპანიის საფირმო ნიშნის და რეპუტაციის შელახვამ ან მომსახურების ხარისხის გაუარესებამ შეიძლება შეასუსტოს კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები.
 - 5.2. საზოგადოებაში ბიზნესის ნეგატიურმა აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის შემცირება და ბიზნეს ოპერაციების გაუარესება.
6. სტრატეგიული განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები
 - 6.1. კომპანიის ბიზნესი დაზარალდება, თუ ის ვერ მოახერხებს მოიზიდოს ან შეინარჩუნოს ძირითადი მენეჯმენტი, თანამშრომლები ან სხვა კვალიფიციური პერსონალი.
 - 6.2. კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.
7. მოულოდნელ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები:

7.1. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები და ა.შ. შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

3.3 მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის.

1. „ობლიგაციების“ საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები
 - 1.1. „ობლიგაციების“ საბაზრო ფასი და ლიკვიდურობა შეიძლება იყოს ცვალებადი;
 - 1.2. ობლიგაციები არის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკების საგანი;
 - 1.3. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი;
 - 1.4. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში ცვლილებების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად;
2. "ობლიგაციების" უფლებებთან დაკავშირებული რისკები
 - 2.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.
 - 2.2. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.
 - 2.3. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.
 - 2.4. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე.
 - 2.5. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია, რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის.
3. „ობლიგაციების“, მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული და სხვა რისკები
 - 3.1. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელის პროცედურებს.
 - 3.2. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგრვაზე.
 - 3.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას.
 - 3.4. საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.
 - 3.5. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
 - 3.6. ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.

4 რისკ ფაქტორები

4.1 მოკლე ინფორმაცია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ.

ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს გარკვეულ რისკებს. ინვესტირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში მოცემული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებამდე, ყურადღებით უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და ინვესტიციისათა მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილი რისკებიდან ნებისმიერს შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. ნებისმიერი ამ

რისკის რეალურად წარმოქმნის შემთხვევაში ობლიგაციების საბაზრო ღირებულებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება განიცადოს. გარდა ამისა, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შესაფასებლად. და თუმცა კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შესაძლოა წარმოიქმნას დამატებითი რისკები და გაურკვეველი ვითარება, რომლებიც კომპანიას ამჟამად არ მიაჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა შესახებ არა აქვს ინფორმაცია, და ნებისმიერს ამ რისკთაგან და გაურკვეველი გარემოებებიდან შესაძლოა მოჰყვეს ქვემოთ აღწერილის მსგავსი ზემოქმედება. შესაბამისად, კომპანია არ ამტკიცებს, რომ ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემული რისკების შესახებ განცხადებები ამომწურავია.

2022 წლის მთავარი გამოწვევა რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენებია. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინას შორის დაიწყო შეიარაღებული ომი. დღეის მდგომარეობით ომის შედეგად ორივე მხარემ საკმაოდ დიდი ზარალი განიცადა. რუსეთს მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა დაუწესეს სანქციები და შეუზღუდეს წვდომა უცხოურ ვალუტასა და საბანკო ტრანზაქციებზე. ომმა საქართველოზეც იქონია გავლენა, იმდენად, რამდენადაც ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორები სწორედ რუსეთი და უკრაინა არიან.

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის მეორე ნახევრისთვის სიტუაცია საქართველოს მასშტაბით შედარებით დასტაბილურებულია, მაინც არსებობს რისკები, რადგან მიმდინარე მოვლენებს შესაძლოა უარყოფითი არაპირდაპირი გავლენა ჰქონდეს კომპანიასზე. ემისიის პერიოდში, 2023 წლის პირველ ნახევარში, აღნიშნული რუსეთ-უკრაინის ომი კვლავ გრძელდებოდა, რაც არაერთი რისკის შემცველია. პირდაპირი გავლენით, რუსეთ-უკრაინის ომი საფრთხეს არ წარმოადგენს სს ევროკრედიტისთვის, რადგან ის მომხმარებლები რომელთა შემოსავლის წყარო უკავშირდება რუსეთს და უკრაინას (ექსპორტი, იმპორტი, გზავნილები) პორტფელში დაბალი არამატერიალური კონცენტრაციით არიან წარმოდგენილნი. არაპირდაპირი გავლენა კი შესაძლოა გამოიხატოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელებაში, ასევე კომპანიის საკრედიტო პორტფელის ზრდის შენელებაში ან/და არსებული პორტფელის ხარისხის გაუარესებაში, დაფინანსების მოძიების გართულებაში და ა.შ.

4.1.1 ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა

4.1.1.1 *პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.*

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებაა. თუმცა ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა აღარ გაგრძელდეს ან უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავრობის მოქმედების გაგრძელებასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების

გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების შეკვეცას. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს) ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ 150 წევრიან პარლამენტში მიიღო 90 მანდატი, 36 მანდატი მოიპოვა ოპოზიციურმა პარტიამ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, დანარჩენი კი სხვა პარტიებმა. თუმცა პარლამენტში ოპოზიციური სპექტრი არ შევიდა და საპროტესტო რეჟიმში გადავიდნენ. პოლიტიკური დაძაბულობის გასანეიტრალებლად ორმხრივ მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირის და აშშ-ს წარმომადგენლები, რომელთაც მიადწიეს შეთანხმებას და 2021 წლის გვიან გაზაფხულზე პარლამენტში ყველა პარტია შევიდა. მოკლევადიანმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ნოემბრიდან დაიწყო გარკვეული გავლენა იქონია ეკონომიკურ და საინვესტიციო აქტიურობაზე. ამასთან, 2021 წლის ივლისში პრესის წარმომადგენლებზე თავდასხმამ და მმართველი პარტიის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული 2021 წლის 19 აპრილის ხელშეკრულებიდან გამოსვლამ ან შესაბამისად, ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე.

4.1.1.2 არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა.

განვითარებად ბაზრებს ახასიათებს უფრო დიდი არასტაბილურობა, მეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გადა ამისა, საერთაშორისო ინვესტირების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭური ეფექტი“ ხასიათდება, როდესაც ინვესტირები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (პოზიტიური მოლოდინი) - რეიტინგი მინიჭებულია 2023 წლის 27 იანვარი;
- Moody’s – Ba2 (ნეგატიური მოლოდინი) - რეიტინგი მინიჭებულია 2022 წლის 28 აპრილს;

- S&P Global Ratings – BB (სტაბილური მოლოდინი) - რეიტინგი მინიჭებულია 2022 წლის 25 თებერვალს;
- Scope Ratings – BB (სტაბილური მოლოდინი) - რეიტინგი მინიჭებულია 2022 წლის 2 აგვისტოს.

4.1.1.3 კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან და სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 4.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2022 წლის ბოლოსთვის. მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომლითაც ქვეყანას შეუძლია თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვა, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 აშშ დოლარზე 3.48 ლარს, მიაღწია), რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარება დაიწყო და აღიდგინა ყველა ის დანაკარგი, რომელიც თებერვალსა და მარტში მიიღო. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივი ვალუტის სიმყარის შენარჩუნებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკითაც შეუწყო ხელი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლის დასაწყისიდან ლარი 12.5%-ითაა გამყარებული.

აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2018 წელს 2.6%, 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6% და 2022 წელს 9.8% იყო. 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2022 წლის დეკემბერში წლიურმა საშუალო ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2021 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში ოთხჯერ გაზარდა, ჯამურად 250 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერჯის რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. ამის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 0.5 პროცენტული ერთეულით, 11%-მდე გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის არსებული მაღალი დონე გლობალური ფენომენია და ძირითადად გამოწვეულია მიწოდების მხარის ფაქტორებით, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა დაეხმარება სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე შემცირებაში მას შემდეგ, რაც ფასების მიმართ წნეხი შედარებით შესუსტდება.

ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

4.1.1.4 ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.

კომპანიის შემოსავლები დამოკიდებულია საქართველოზე, შესაბამისად კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები. განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან გამომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა (რეალური მშპ) 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.5%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 3.0%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმის აღდგენა სტაბილური ტემპით მიმდინარეობს ნედლეულის ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც თავის მხრივ ნედლეულის სწრაფად მზარდი ფასებითაა გამოწვეული. ადგილობრივ ბაზარზე მთლიანი მოთხოვნა მყარი რჩება, რასაც ცხადყოფს მთლიანი საკრედიტო პორტფელების ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ს წლიური ზრდა 15.0% იყო 2022 წლის პირველ კვარტალში, მეორე კვარტალში 7.2% და მესამე კვარტალში 9.8%. მსოფლიო ბანკის პროგნოზით საქართველოს ეკონომიკა 2022 წელს 8.8%-ით გაიზრდება, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი 9.0%-იან ზრდას ვარაუდობს. საქართველოს ეროვნული ბანკი 10.0%-იან ზრდას ელის 2022-ში, ხოლო 2023 წელს - 4.0%-იან ზრდას. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5%-ით, 2018 და 2017 წლებში - 4.8%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში საშუალოდ 3%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყვანოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან მიკროკრედიტებზე მოთხოვნა შეამციროს და სერიოზული

უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ვირუსიდან მომდინარე გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

4.1.2 მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები

4.1.2.1 რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე.

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დაძაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დაძაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლ ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულში რუსეთის სასაზღვრო ძალებმა მავთულხლართის ღობეები აღმართეს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სადემარკაციო ხაზის ზოგიერთი ნაწილის გასწვრივ. მომავალში თუ ასეთი ქმედებები განმეორდება დაძაბულობა შეიძლება გამწვავდეს. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

ამასთან, აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აჩენდა უარყოფით მოლოდინებს 2021 წლის რეგიონის ეკონომიკების აღდგენის პროცესზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა, რომ ამ ქვეყანამ დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. საბოლოოდ, 10 ნოემბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა, რომელმაც შემოატრიალა სიტუაცია - ჩააცნო რეგიონში პოლიტიკური დაძაბულობა და შესაბამისად გაანეიტრალა უარყოფითი მოლოდინებიც. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო კონფლიქტის ერთეული შემთხვევებში 2022 წლის განმავლობაშიც და ემისიის პერიოდშიც გრძელდებოდა.

ყარაბაღის კონფლიქტის გაგრძელებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონში და მათ შორის საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასა და ტურიზმის სექტორზე.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ პირდაპირი ფრენები აღდგა 2023 წლის მე-2 კვარტალში. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან 2019 წელს დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან,

აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში შეიძლება ასევე მოახდინოს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული და ეკოლოგიური კრიზისი და მოუტანა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების, არამედ - რეგიონისა და გლობალურ ეკონომიკასაც. რუსეთ-უკრაინის ომი ემისიის პერიოდშიც გრძელდება. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანაც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. მოსალოდნელია, რომ ამ ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, მოსალოდნელია, რომ დასავლური ცენტრალური ბანკები გაზრდიან საპროცენტო განაკვეთებს, რაც გამოიწვევს უფრო გამკაცრებულ გლობალურ ფინანსურ მდგომარეობას. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია ან გადადებული რეზოლუცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოს ურთიერთობისა რუსეთთან, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილურობისათვის.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საქსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

4.1.2.2 საქართველოს მუშობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებზე. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2020 წელს შეადგინა 13.2% და 5.6%, შესაბამისად. 2021 წელს კი აზერბაიჯანის წილი მცირედით შემცირდა, ხოლო სომხეთის წილი მცირედით გაიზარდა საქართველოს მთლიან ექსპორტში და შესაბამისად შეადგინა 12.5% და 6.0%. რაც შეეხება 2022 წელს აზერბაიჯანის და სომხეთის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში შეადგენდა 12.5% და 10.5% შესაბამისად. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 200 წელს 13.2%-ს, 2021 წელს - 14.4%-ს, ხოლო 2022 წელს - 11.7%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორს საქართველოსთვის, და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 17.5%-ს 2020 წელს, 18.1%-ს 2021 წელს, ხოლო 17.6%-ს 2022

წელს. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.5%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. შესაბამისად რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების კუთხით საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 2021 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონლის ღირებულება, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა რუსი ვიზიტორებისგან და რუსეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა ჯამში მშპ-ს 6.3% შეადგინა. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე გარკვეული რისკების მატარებელია, რომლებიც მატერიალიზდა 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არაა ცხადი, ზუსტად რა მასშტაბის უარყოფითი გავლენა ჰქონდა ამ ფაქტს საქართველოს ეკონომიკაზე. ეს დამოკიდებული იქნება ომის ხანგრძლივობასა და კრიზისის მომავალ ესკალაციაზე, რასაც, თავის მხრივ, ექნება უარყოფითი არსებითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

კორონავირუსის პანდემიის გავრცელებამ საქართველოში და რეგიონის ქვეყნებში, რომელიც 2020 წლის გაზაფხულიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება, უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკურ აქტივობებზე როგორც რეგიონში, ასევე საქართველოში.

4.1.3 კონკურენციასა და ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

4.1.3.1 საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში არსებულმა მწვავე კონკურენციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ამჟამინდელ ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.

მიკროსაფინანსო ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია და კომპანიასაც ბევრი ბიზნეს კონკურენტი ჰყავს. მიკროსაფინანსო ბაზრის მოთამაშეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ბიზნეს მოდელებით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკებს. კომპანიის სამიზნე მომხმარებელი განსხვავდება კომერციული ბანკების სამიზნე კლიენტისგან, თუმცა, დაკრედიტების გამკაცრებულმა სტანდარტებმა და შემცირებულმა დასაკრედიტებელმა მომხმარებელთა ბაზამ საფინანსო სექტორში კონკურენცია კიდევ უფრო გაამძაფრა, მათ შორის საბანკო სექტორს უბიძგა სამიზნედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტებიც გაეხადა.

არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია წარმატებით გაუწევს მეტოქეობას, რომელიმე ან ყველა მის ამჟამინდელ, თუ მომავალ კონკურენტს. ამ კონკურენციის შედეგად შესაძლოა კომპანიას ზრდის ტემპი და შემოსავლები შეუმცირდეს, რაც იმოქმედებს კომპანიის შესაძლებლობაზე, მიიღოს საკმარისი დაფინანსება საკუთარი ვალდებულებების მომსახურების ან ოპერაციების დაფინანსებისთვის.

4.1.3.2 ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან სწრაფად მორგების უუნარობა უარყოფითად აისახება კომპანიის მომგებიანობაზე.

მიკროსაფინანსო სექტორი შედარებით ახალი და ძალიან დინამიური სფეროა. კომპანიამ ფეხი უნდა აუწყოს სწრაფად ცვალებად სამომხმარებლო ჩვევებს, საბაზრო მიკროკრედიტის განაკვეთებს და საკანონმდებლო ცვლილებებს.

მომხმარებელთა ცვალებადი პრეფერენციების საპასუხოდ, კომპანია მათ სთავაზობს ახალ პროდუქტებსა და სერვისებს. თუმცა არსებობს რისკი, რომ ახალი პროდუქტების და სერვისების შემოღება შესაძლოა

წარუმატებელი აღმოჩნდეს და უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესის მომგებიანობაზე. პროდუქტებზე მოთხოვნის კლებას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის შემოსავლებზე. კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით შეიცვალოს. ასეთ ფაქტორებს შორისაა, მარეგულირებელი შეზღუდვები, რომლებიც აფერხებს მომხმარებლის წვდომას კონკრეტულ ფინანსურ სერვისთან; კონკურენტული ფინანსური პროდუქტის ხელმისაწვდომობის ან მიმზიდველობის ზრდა; მომხმარებელთა მოლოდინების და ხარჯვის ცვლილება; ცვლილებები კომპანიის არსებული მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობაში, რაც უზიძგებს მათ, სხვა საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიიღონ უფრო იაფი და/ან დიდი მოცულობის სესხები ან პირიქით, საერთოდ გავიდნენ საკრედიტო ბაზრიდან. თუ კომპანია ვერ შეძლებს ახალ საბაზრო ტენდენციებისთვის ფეხის აწყობას და ახალი სერვისების და პროდუქტების დანერგვას, რომლებიც ფინანსურ ბაზარზე ჩნდება, ეს უარყოფითად აისახება მის ოპერაციებზე. ამასთანავე, ახალი სერვისების და პროდუქტების შემოღება შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს და მომხმარებლებმა არ მიიღონ ისინი. ამრიგად, პროდუქტის დივერსიფიკაცია ან ცვლილება არანაირ გარანტიას არ იძლევა, რომ ეს დადებითად იმოქმედებს ბიზნეს ოპერაციებზე და შესაძლოა შემოსავლების დაკარგვა გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

4.1.4 საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები

4.1.4.1 საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში, ხოლო რამდენიმე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი (როგორცაა საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არბიტრაჟის შესახებ კანონი და ა.შ.) რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, შეიცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობას, ეფექტურობასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შეერთებული შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს

სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად. გაურკვევლობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

4.1.4.2 შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ფინანსური სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

4.1.4.3 საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის

შესაძლებლობას, გადასახადის გადამხდელების მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. „კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

4.1.5 საზედამხედველო ჩარჩოსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

4.1.5.1 *კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავების და დახვეწის პროცესშია; მარეგულირებელ ჩარჩოში ხშირ ცვლილებებთან სწრაფად მორგების საჭიროებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.*

კომპანიის ბიზნესი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან დროულ შესაბამისობას, ასევე, ბიზნეს ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ყველა პირობების დაცვას ან/და თუ საქართველოს ეროვნული ბანკი აღმოაჩენს დარღვევებს და მარეგულირებელ ჩარჩოსთან შეუსაბამობებს, კომპანიას შეიძლება დაეკისროს არსებითი საურავები და ჯარიმები ან უფრო მაკარი სანქციები, მათ შორის კომპანიის ბიზნეს აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეწყვეტა, რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება ან/და სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება მომუშავე თანამშრომლების მიმართ.

თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, კომპანიას შესაძლოა აეკრძალოს სესხების გაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისთვის იყენებს კომერციულ ბანკებთან შედარებით მსუბუქ საზედამხედველო რეჟიმს, ნებისმიერი ცვლილება მარეგულირებელ ჩარჩოში და ამ ცვლილებებთან დროული შეუსაბამობა რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის მომავალ ოპერაციებს. მოსალოდნელია ცვლილებები არსებულ რეგულაციებში, მიმდინარეობს ცვლილების პროექტების განხილვა. (მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „მარეგულირებელი გარემო“).

4.1.5.2 *არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობამ შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა*

სექტორში ოპერირებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ ეროვნული ბანკის მოთხოვნები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ მთავარი მოთხოვნებია: 1) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარი, 2) კაპიტალის კოეფიციენტი - საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა დაქვითვის შემდგომ მთლიან აქტივებთან - მინიმუმ 18%, 3) ლიკვიდობის კოეფიციენტი - საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან თანაფარდობა მინიმუმ 18% და სხვა. (მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ „მარეგულირებელი გარემო“)

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ უფლებამოსილება მომხმარებლებს მიაწოდონ როგორც საკრედიტო ისე საოპერაციო პროდუქტები (კომუნალური გადახდები, ფულადი გზავნილები და სავალუტო ოპერაციები), ასევე ფიზიკური პირებისგან და ფინანსური ინსტიტუტებისგან სესხების მიღების უფლებამოსილება, თუმცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონით განსაზღვრული საქმიანობა არ მოიცავს მომხმარებლისგან დეპოზიტების მიღებას.

აქტიური ცვლილებები მარეგულირებელ ჩარჩოში 2016 წლიდან დაიწყო და ეტაპობრივად ამოქმედდა. 2017 წლის იანვრიდან ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე ზედა ზღვრის 100%-ის დაწესების შედეგად რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა, მიზეზი მნიშვნელოვნად შემცირებული მოგების მარჟა და ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგების ვერ დაგენერირება გახდა. 2018 წლის სექტემბრიდან აღნიშნული ზღვარი განახევრდა და 50%-მდე შემცირდა, რამაც სექტორის კიდევ უფრო მეტი მოთამაშე აიძულა დაეტოვებინა ბაზარი, რადგან ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგებას ვეღარ იღებდა. ამრიგად, არსებულ მოთხოვნებში რაიმე ცვლილებამ ან ახალი მოთხოვნების შემოღებამ შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ოპერირება მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო ან იმის გამო, რომ ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს ამგვარ მკაცრ მოთხოვნებს.

2018 წლის სექტემბრიდან ასევე ამოქმედდა ეროვნული ბანკის შემუშავებული ორი ახალი წესი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“ და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესი“. ასევე მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც ძალაში 2019 წლის იანვრიდან შევიდა და შეეხო ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციას, მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, უკავშირდება ფიზიკური პირების პასუხისმგებლიან დაკრედიტებას. სესხის გამცემი ორგანიზაციები ვერ გასცემენ სესხებს ფიზიკურ პირებზე თუ ისინი ვერ აკმაყოფილებენ დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ ამ დებულებით არის დადგენილი, მეტი დეტალისთვის იხ. „მარეგულირებელი გარემო“.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 10 მარტიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“, რომლითაც კანონმდებლობამ მოაწესრიგა ისეთი ახალი ფინანსური ინსტიტუტის საზედამხედველო ჩარჩო, როგორც არის მიკრობანკები. მიკრო ბანკის კანონით განსაზღვრული მანდატი - ძირითადად დააკრედიტოს სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის სექტორი, გაზრდის მოსახლეობის ფინანსურ ჩართულობას, განსაკუთრებით რეგიონებში. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ მიკრო ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან შედარებით მნიშვნელოვნად შეუმცირდება დანახარჯები და გაეზრდება რესურსებზე ხელმისაწვდომობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული, კი თავის მხრივ, სავარაუდოდ ხელს შეუწყობს საკრედიტო პროდუქტების გაიაფებას და ბაზარზე, შესაბამისად, თავისუფალი კონკურენციის ზრდას. კომერციულ ბანკთან მიახლოებული რეგულირების ჩარჩოთი და მკაფიოდ განსაზღვრული ნებადართული საქმიანობის მიმართულებებით, მიკრო ბანკის ბიზნეს მოდელმა შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესების ზრდაც.

არსებობს რისკი, რომ არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო შეფერხდეს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გაუარესდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

4.1.5.3 ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

საქართველოში მოქმედებს „კონკურენციის შესახებ კანონი“, რომელიც არეგულირებს ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სამართლიანი ვაჭრობისა და კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზით იზღუდება, მათ შორის, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის სამართლიანი კონკურენციის პრინციპთან შესაბამისად გარიგებების დადება და მათი საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია. ეს უკანასკნელი კი გამოიხატება ვალდებულებაში ეკონომიკურმა აგენტებმა მოიპოვონ კონკურენციის სააგენტოს წინასწარი თანხმობა შერწყმის ან ერთი ეკონომიკური

აგენტის მიერ მეორე კონკურენტი ეკონომიკური აგენტის შექმნის შემთხვევაში. გარდა ამისა, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“ სანქცირება. ყოველივე აღნიშნულის ერთობლიობამ კი შესაძლოა არსებითად დააბრკოლოს კომპანიის განვითარება ან არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საოპერაციო შედეგებზე.

4.1.5.4 კომპანია ობლიგაციების ემისიის შემდეგ განდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე დამატებითი რეგულაციები და ანგარიშგების მოთხოვნები გავრცელდება

ემისიის შედეგად, „კომპანია“ განდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე გავრცელდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონითა, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებითა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული გამჭვირვალობის, ანგარიშგების და კორპორაციული მართვის სტანდარტები. მსგავსმა სტანდარტებმა შესაძლოა შეანელოს „კომპანიის“ მართვის პროცესები და მოითხოვოს დამატებითი ფინანსური ან ადამიანური რესურსები, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობის შედეგებსა და „ობლიგაციონერების“ უნარზე მიიღონ „ობლიგაციების“ პირობებით გათვალისწინებული თანხები.

4.1.5.5 შეუსაბამობა "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის რეპუტაციაზე და ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

ბიზნესზე თანდაყოლილად ვრცელდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები. შესაბამისად, კომპანიას, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მოეთხოვება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობისთვის არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობა, კომპანიას დანერგილი აქვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები და პოლიტიკა/პროცედურები შიდა კონტროლის ეფექტურად განსახორციელებლად. თუმცა, რიგ შემთხვევებში აღნიშნულმა ზომებმა შეიძლება ვერ აღკვეთოს საკანონმდებლო მოთხოვნების ყველა შესაძლო დარღვევა. თუ კომპანიაში არსებული ნებისმიერი პროცესი არ იქნა წარმართული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მასზე შესაძლოა გავრცელდეს სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის სანქციები და სხვა გამოსასწორებელი ზომები, მათ შორის: წერილობითი გაფრთხილება, უფლებამოსილი/პასუხისმგებელი პირის (ადმინისტრატორის) ხელმოწერის შეჩერება ან თანამდებობიდან გათავისუფლება, მაკონტროლებელი პირისათვის კონტროლის გაუქმება, გარკვეული ტიპის ოპერაციების/საქმიანობის აკრძალვა/შეზღუდვა, ფულადი ჯარიმა, დროებით ადმინისტრაციული რეჟიმი, ლიცენზიის ჩამორთმევა/რეგისტრაციის გაუქმება და ა.შ. ნებისმიერი სანქცია, გამოსასწორებელი ზომა ან გამოძიება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონის სავარაუდო დარღვევისთვის შელახავს კომპანიის რეპუტაციას და არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე, პერსპექტივებსა ან პოტენციურ ინვესტიციებზე.

4.2 ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები

4.2.1 ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

4.2.1.1 კომპანიის უუნარობამ, მოიზიდოს საკმარისი ფულადი სახსრები ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე.

2018 წლის სექტემბრის თვეში ამოქმედებული ორი ახალი რეგულაცია, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“ და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესი“ არეგულირებს კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებლებს (დეტალებისთვის გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „მარეგულირებელი გარემო“). გარდა ეროვნული ბანკის მიერ მიღებული რეგულაციისა, კომპანიის ლიკვიდურობაზე და საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნებს ასევე განაპირობებს საკრედიტო პროდუქტებზე სესხებზე მოთხოვნა, კერძოდ მომხმარებლის მხრიდან სესხზე მოთხოვნის ზრდა ან კლება. კომპანიის მომავალი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი უნარი, მართოს ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელი ლიკვიდურობის რისკები. თუ ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადები და არსებული საკრედიტო ხაზები არ იქნება საკმარისი მიმდინარე ფულადი საჭიროებების დასაფინანსებლად, კომპანიას, ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, შესაძლოა მოუხდეს დამატებითი საკრედიტო ინსტრუმენტების, ასევე, დამატებითი კაპიტალის პოტენციური წყაროების მოძიება. ასევე,

ეკონომიკის ან ინფლაციის დადმასვლამ შეიძლება პრობლემური სესხების დონე გაზარდოს. ვალის ამოღების მნიშვნელოვანი გაუარესება გავლენას მოახდენს ფულის ნაკადზე და საბრუნავ კაპიტალზე და ასევე უარყოფითად იმოქმედებს კომპანიისთვის მისაცემი დაფინანსების ღირებულებაზე ან ხელმისაწვდომობაზე.

თუ კომპანიის ფინანსური რესურსები არ იქნება საკმარისი ფინანსებზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კომპანიას დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა მოუწევს. კომპანიამ შესაძლოა ვერ მოიზიდოს საკმარისი დამატებითი ფულადი სახსრები ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობებით. თუ კომპანია ვერ შეძლებს ფულის მოზიდვას, მნიშვნელოვნად შეიზღუდება მისი შესაძლებლობა, დააფინანსოს მიმდინარე ოპერაციები, ისარგებლოს სტრატეგიული უპირატესობებით ან სხვაგვარად მოახდინოს რეაგირება კონკურენციის ზეწოლაზე, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

მომავალში, კომპანიის უუნარობამ, მართოს ლიკვიდურობის რისკი, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის ოპერაციებზე.

ასევე, ბიზნეს ოპერაციებში არსებობს საპროცენტო განაკვეთის მერყეობის რისკი. როდესაც ბაზრის საპროცენტო განაკვეთები მოქმედებს კომპანიის შემოსავლების ნაკადებზე, რომლებიც საპროცენტო შემოსავლის სახით მიიღება, და კომპანიის საპროცენტო ხარჯებზე, რომლებითაც ხდება მისი დავალიანებების დაფარვა, ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი მერყეობები პირდაპირ ზემოქმედებს კომპანიის დაფინანსების ღირებულებაზე, საპროცენტო შემოსავალზე, წმინდა საპროცენტო მარჟაზე, კომპანიის მოგების მარჟაზე და მთლიანად ფინანსურ მდგომარეობაზე. ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მერყეობებს განაპირობებს კომპანიის კონტროლს მიღმა არსებული სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად, სექტორების მარეგულირებელი ჩარჩო და ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო საქართველოში.

4.2.1.2 არსებულმა და მომავალმა კოვენანტებმა შესაძლოა ფინანსური და საოპერაციო შეზღუდვები დააწესოს კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანიის არსებული დაფინანსების პირობები შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ჩვეულებრივ შემზღუდავ ვალდებულებას, რომლებიც ეხება ლევერიჯს (ფინანსურ რისკს), ბიზნესის პროფილის შეცვლას, კონტროლის შეცვლას, დივიდენდების გადახდის პოლიტიკას, აქტივების შეძენას, რეალიზაციას, პორტფელის გირავნობას და სხვა. ამ ვალდებულებებმა შეიძლება შეზღუდოს კომპანიის შესაძლებლობა, დააფინანსოს თავისი ოპერაციები ან განახორციელოს კაპიტალური ხარჯები, შესყიდვები ან სხვა ინვესტიციები მომავალში. არსებული და მომავალი დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე ასეთ ვალდებულებასთან შეუსაბამობა შეიძლება დეფოლტად ჩაითვალოს, რაც კრედიტორებს, სხვა უფლებებთან ერთად, აძლევს უფლებას, შეწყვიტონ მომავალი კრედიტის ხელმისაწვდომობა, გაზარდონ საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ ვალზე ან/და შეამცირონ დაუფარავი ვალდებულებების დაფარვის ვადა. მომავალში ვალდებულების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში კომპანია დადგება იმ რისკის წინაშე რომ შესაძლოა დაარღვიოს არსებული კოვენანტი, რაც გამოიწვევს კრედიტორისგან დაფინანსებაზე წვდომის შეზღუდვას და არსებული დაფინანსების გამოთხოვას. მომავალში ვალდებულებების ზრდის გამო, ნებისმიერი ასეთი დეფოლტი სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

4.2.2 საკრედიტო რისკები

4.2.2.1 პოტენციური მსესხებლების საკრედიტო რისკის სამართლიანად შეფასებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.

კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს თითოეული პოტენციური მსესხებლის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის და მისი გადახდისუნარიანობის სწორად შეფასება. გადაწყვეტილებები ნაწილობრივ ემყარება იმ ინფორმაციას, რომელსაც სესხზე განაცხადის შემომტანი წარმოადგენს. პოტენციურმა მსესხებლებმა შესაძლოა თაღლითური გზით წარმოადგინონ არასწორი ინფორმაცია და თუ ეს თაღლითობა შეუმჩნეველი დარჩა, საკრედიტო კომიტეტმა შესაძლოა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით არასწორად განსაზღვროს მომხმარებლის საკრედიტო რისკები. პოტენციური მომხმარებლების საკრედიტო რისკის არასწორად შეფასება - მოხდება ეს მომხმარებლის არასათანადოდ შეფასების თუ მომხმარებლის მიერ თაღლითურად წარმოდგენილი არასწორი ინფორმაციის გამო - სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე და შეიძლება მარეგულირებელი სანქციების დაკისრებაც კი გამოიწვიოს (მათ შორის საურავები და ჯარიმები, ფუნქციონირების შეჩერება ან არსებული რეგისტრაციის გაუქმება).

საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის სესხების დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნა და პორტფელის დივერსიფიკაცია. კომპანიამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო რისკის სწორი შეფასება, დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნა და/ან საკრედიტო პორტფელის საკმარისი დივერსიფიკაცია, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

4.2.2.2 აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად.

კომპანია თავისი სესხების გაუფასურების რეზერვს ადრიცხავს ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესი“ 2018 წლის 1 სექტემბრიდან აამოქმედა, მიუხედავად იმისა რომ მანამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ

კომპანიამ შეიძლება სათანადოდ ვერ შეაფასოს მომავალი რისკები და ამდენად, რეზერვი შეიძლება არაადეკვატური იყოს ფაქტობრივი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად. კომპანიის რეზერვი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, თუ საქართველოს ეკონომიკაში გაუთვალისწინებელი ან არასასურველი ცვლილებები მოხდება, ან კანონებსა და რეგულაციებში მოხდება ცვლილებები ან თუ სხვა მოვლენები უარყოფითად იმოქმედებს კონკრეტულ მსესხებელზე, დარგზე ან ბაზარზე. ასეთ გარემოებებში კომპანიას შესაძლოა დამატებითი რეზერვის შექმნა დასჭირდეს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კომპანიის მოგებას და მატერიალურად და უარყოფითად იმოქმედებს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

4.2.2.3 გირაო ან გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია გაცემული სესხები შესაძლოა არ იყოს საკმარისი პოტენციური დანაკარგების დასაფარად ან არ იქნეს სრულად რეალიზებულნი.

კომპანიის ინფორმაციით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სასესხო პორტფელი სრულად 100% უზრუნველყოფილია, საკრედიტო რისკების და პოტენციური დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით. კომპანიის ინფორმაციით, კომპანიის სესხების პორტფელში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საშუალო შეწონილი LTV კოეფიციენტი 27%-ს უტოლდება, ხოლო სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხების შესაბამისი კოეფიციენტი 46%. საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში კომპანიას აქვს უფლება, აამოქმედოს თავისი უზრუნველყოფის უფლებები ასეთი გირაოს მიმართ და/ან ამოიღოს სესხის უზრუნველყოფილი აქტივების გაყიდვის გზით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია გირაოს ამოწმებს სესხის დამტკიცების წინა ეტაპზე, გირაოს ღირებულება შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს და მასზე სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორმა, როგორცაა ზარალი, დანაკარგები, ჭარბი მიწოდება, დევალვაცია ან საბაზრო მოთხოვნის კლება.

თუ სესხის უზრუნველყოფი გირაოს ღირებულება არასაკმარისი აღმოჩნდა, შესაბამისი სესხების გადაუხდელობით მიღებული დანაკარგების კომპენსაციისთვის კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვება მსესხებლისგან ან სხვა წყაროებიდან. თუმცა, არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ კომპანია ამას შეძლებს. სესხის უზრუნველყოფი გირაოს ღირებულების ნებისმიერმა შემცირებამ ან კომპანიის წარუმატებლობამ, მოიპოვოს დამატებითი უზრუნველყოფა შესაძლოა კომპანია აიძულოს, შექმნას დამატებითი რეზერვები კომპანიის გადაუხდელი სესხების დასაფარად ან ჩამოწეროს ისინი, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნეს ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ასევე, კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს დეფოლტისთანავე უზრუნველყოფილი აქტივების ლიკვიდირება ან სხვაგვარად რეალიზაცია; გირაოს ღირებულების ლიკვიდირების ან სხვაგვარად რეალიზების პროცედურები შეიძლება გახანგრძლივდეს; ასევე, ასეთი გირაო ლიკვიდური შესაძლოა არც იყოს. ამიტომ, გართულება ასეთი უზრუნველყოფის თუ გირაოს აღსრულება.

4.2.3 საოპერაციო რისკები

4.2.3.1 *თუ კომპანია ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.*

კომპანია დგამს ნაბიჯებს ბიზნესის შესაფერისი შიდა კონტროლის გაძლიერებისთვის, თუმცა შეუძლებელია შეცდომებისა და თაღლითობის რისკის სრულად აღმოფხვრა. თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის შიდა კონტროლის სისტემის გამართულად მუშაობას, ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს პროცესების/ოპერაციების ეფექტიანად წარმართვაზე, შეცდომებისა და თაღლითობის პრევენციაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად გახარჯვასა და კომპანიის შედეგების ანგარიშგების სიზუსტეზე.

4.2.3.2 *ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე.*

ინფორმაციული აქტივები და საინფორმაციო სისტემები მოწყვლადია რამდენიმე თანდაყოლილი რისკ ფაქტორის მიმართ, მათ შორის კომპიუტერული ვირუსების, არაავტორიზებული წვდომის, სერვერის ფიზიკური დაზიანების და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობის წინაშე. საინფორმაციო სისტემების ნებისმიერმა შეფერხებამ ან მათი უსაფრთხოების დარღვევამ შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს ისეთ ბიზნეს ოპერაციებზე, როგორცაა მომხმარებლის დროული მომსახურება, ფინანსური მონაცემების სწორად აღრიცხვა და ბიზნესის და მომხმარებლის დაცვა ფინანსური თაღლითობის თუ ქურდობისგან. კომპანიის ბიზნეს ოპერაციების შესახებ მონაცემების მოპოვების ან/და გამყვანების შემთხვევაში, შესაძლოა დაზარალდეს კომპანიის რეპუტაცია, შემცირდეს კლიენტის ნდობა ბიზნესის მიმართ და შედეგად, კომპანიამ მიიღოს მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები.

გარდა ამისა, არსებობს რისკის იმისა, რომ კომპანია ფინანსური თუ ტექნიკური შეზღუდვების გამო, ვერ შეძლებს, ფეხი აუწყოს უახლეს ტექნოლოგიურ განვითარებას. თუ კომპანია ვერ შეძლებს წარმატებით განახორციელოს ან დაასრულოს კომპანიის საინფორმაციო სისტემების და ინფრასტრუქტურის განახლება ან/და ბიზნეს ოპერაციების და პროგრამული უზრუნველყოფის ადაპტირება მისი საჭიროებების, ან მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, ამან შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფად განვითარების პირობებში, კომპანია განსაზღვრავს, ნერგავს და აახლებს სხვადასხვა მიდგომებს, რათა უზრუნველყოს ინფორმაციული აქტივების და საინფორმაციო სისტემების დაცულობა და უსაფრთხოება. ქსელის დაცვის სისტემების ფარგლებში, კომპანია ახდენს ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომებისგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, საინფორმაციო სისტემების შეფერხებისა და მოწყვლადობის რისკი მაინც არსებობს.

4.2.4 საბაზრო რისკები

4.2.4.1 *კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია*

კომპანიის ბალანსზეა საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები. არსებობს რისკი, რომ კომპანიის საპროცენტო განაკვეთის მატარებელ ვალდებულებებზე (სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები) გაეზრდება საპროცენტო განაკვეთი და ის ვერ მოახერხებს რომ

შესაბამისად ან საერთოდ გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებზე. ამან შესაძლოა გამოიწვიოს წმინდა საპროცენტო მარჟის შემცირება, რაც უარყოფით შედეგს იქონიებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ვალდებულებების ნაწილი (ჯამური ფინანსური ვალდებულებების 31.8% 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით), რომლებიც დენომინირებულია ლარში ცვლადია და მიბმულია რეფინანსირების განაკვეთის ინდექსზე, რაც დამატებით ქმნის საპროცენტო განაკვეთის რისკს. ინდექსის ზრდის შემთხვევაში იზრდება საპროცენტო ხარჯი.

დამატებით, 2023 წლის 30 ივნისის არააუდირებული მონაცემებით, კომპანიის უმეტესი ფინანსური აქტივები დენომინირებულია ლარებში, ხოლო ვალდებულებები ნაწილი აშშ დოლარში.

| ფინანსური აქტივები | ლარი | დოლარი |
|--------------------------------------|-------------------|--------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,706,415 | 266,712 |
| გაცემული სესხები | 59,371,532 | - |
| სულ ფინანსური აქტივები | 61,077,947 | 266,712 |
| ფინანსური ვალდებულებები | | |
| მიღებული სესხები | 8,517,669 | 507,040 |
| სუბორდინირებული სესხები | - | 17,991,135 |
| საიჯარო ვალდებულებები | 105,859 | 1,104,350 |
| სხვა ვალდებულებები | 220,760 | - |
| სრული ფინანსური ვალდებულებები | 8,844,288 | 19,602,525 |
| ღია საბალანსო პოზიცია | 52,233,659 | -19,335,813 |

იმ მომენტისათვის, არსებობდა რისკი, რომ სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის რყევებს არასახარბიელო შედეგი ექონიათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მისი ყველა უცხოურ ვალუტაში არსებული სასესხო ვალდებულება დააკონვერტირა ლარებში (დეტალური ინფორმაცია იხილეთ 8.3.2 ქვეთავში „ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია, მისი ტიპების, წყაროების, ფასების ცვლადობის/სტაბილურობის მითითებით“) და სავალუტო რისკები მნიშვნელოვნად შემცირა.

გამომდინარე იქიდან რომ ემისია დენომინირებულია აშშ დოლარში, ის ზეგავლენას იქონიებს კომპანიის სავალუტო პოზიციაზე, რამაც, ბაზარზე გაცვლითი კურსის რყევის შემთხვევაში, შესაძლებელია უარყოფითი შედეგი იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4.2.5 რეპუტაციული რისკები

4.2.5.1 კომპანიის საფირმო ნიშნის და რეპუტაციის შელახვამ ან მომსახურების ხარისხის გაუარესებამ შეიძლება შეასუსტოს კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები.

კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები გარკვეულწილად დამოკიდებულია მის რეპუტაციაზე, საფირმო ნიშნის აღიარებაზე, ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაზე. ტექნიკური სირთულეების, მარეგულირებელი სანქციების, მომსახურების

მიწოდების შეფერხების, მომსახურების ხარისხის გაუარესების და სხვა თანდაყოლილი გარემოებების შედეგად, კომპანიის საფირმო ნიშანი და რეპუტაცია შესაძლოა შეილახოს, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

4.2.5.2 საზოგადოებაში ბიზნესის ნეგატიურმა აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის შემცირება და ბიზნეს ოპერაციების გაუარესება.

სექტორი, რომელშიც კომპანია ოპერირებს, არ არის დაცული საზოგადოების ანტიპათიის და ნეგატიური მედია-გაშუქებისგან. ბოლო წლებში ინტერესი სექტორის მიმართ იზრდება, რადგან ამ სექტორის საკრედიტო პორტფელის მოცულობა თითქმის გაექვსმადა (1,360 მილიონი ლარი 2021 წლის ბოლოს შედეგებით მაშინ, როდესაც 2010 წლის ბოლოს ის მხოლოდ 229 მილიონი ლარის ტოლი იყო⁵). სხვადასხვა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები მოითხოვდნენ მთავრობისგან ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც დაიცავდა მომხმარებლებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არაპროპორციულად მაღალი საპროცენტო განაკვეთებისგან და დააწესებდა მკაცრ შეზღუდვებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაზე. მარეგულირებელი ჩარჩოს ცვლილებამ და ოპერირებისთვის სტანდარტული წესების შემოღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სექტორის კვალიფიკაცია და გამჭვირვალობა, რაც სექტორის მიმართ მომხმარებელთა ნდობის ზრდის აუცილებელი წინაპირობაა.

კომპანიის უნარი, მოიზიდოს ახალი მომხმარებლები და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის მარკეტინგული კამპანიების წარმატებასა და მის რეპუტაციაზე საზოგადოებაში. მიკროსაფინანსოების დაკრედიტების უარყოფითმა აღქმამ ან გაშუქებამ შეიძლება შეამციროს კომპანიისადმი ნდობა და შელახოს კომპანიის რეპუტაცია არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს შორის, რაც გაართულებს მომხმარებელთა ბაზის შენარჩუნებას თუ გაფართოებას ან შეამცირებს მოთხოვნას ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებზე, რამაც შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

4.2.6 სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები

4.2.6.1 კომპანიის ბიზნესი დაზარალდება, თუ ის ვერ მოახერხებს მოიზიდოს ან შეინარჩუნოს ძირითადი მენეჯმენტი, თანამშრომლები ან სხვა კვალიფიციური პერსონალი.

2023 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით კომპანიას 116 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი ჰყავდა. კომპანიის ბიზნეს მოდელის წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია ძირითადი მენეჯმენტის და თანამშრომლების საქმიანობის უწყვეტობაზე და კომპანიის უნარზე, მოიზიდოს, შეინარჩუნოს და წახალისოს კვალიფიციური პერსონალი. გარდა ამისა, კომპანიის ძირითად მენეჯმენტს და სხვა პერსონალს დამყარებული აქვთ მნიშვნელოვანი სამუშაო ურთიერთობები მარეგულირებლებთან და კარგად იცნობენ კომპანიას და იმ ბაზარს, რომელშიც კომპანია ოპერირებს. კომპანიის წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება მის უნარზე, შეინარჩუნოს ასეთი პერსონალი და საჭიროებისამებრ დაიქირაოს კვალიფიციური პერსონალი. არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ კომპანია შეძლებს, მოიზიდოს, დაიქირაოს და შეინარჩუნოს საკმარისად კვალიფიციური პერსონალი. ამის

⁵ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შეუძლებლობა სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

4.2.6.2 კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.

კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საკონტრაქტო მოთხოვნებმა, საჩივრებმა და სასამართლო პროცესმა, რომლებიც პარტნიორებთან, მომხმარებლებთან, კონკურენტებსა თუ მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, ასევე ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ კომპანიის შესახებ. ნებისმიერმა ასეთმა სასამართლო პროცესმა, საჩივარმა ან ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

4.2.7 მოულოდნელ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

4.2.7.1 მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები და ა.შ. შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა და ა.შ. შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციებზე, ზიანი მიაყენოს მის ქონებას ან სხვაგვარად, ნეგატიურად იმოქმედოს მის საქმიანობაზე.

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ Covid-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არავინ იცის, როდის მოხდება ვირუსის აღმოფხვრა. ასევე, არ არსებობს შესაძარისი ისტორიული მაგალითი, რაც ართულებს ეკონომიკის პროგნოზირებას. აღნიშნულმა კრიზისმა მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია როგორც მოთხოვნის ისე მიწოდების შემცირება (წარმოების შემცირების და მიწოდების ჯაჭვის შეფერხების გამო). პანდემიით გამოწვეულ კრიზისს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ტურიზმის სექტორზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკის შედარებით მაღალ წილს იკავებს. ამან თავის მხრივ გავლენა იქონია მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 2019 წელთან შედარებით 6,8%-ით შემცირდა. რამაც, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკური სექტორების უმრავლესობაზე.

პანდემიის დაწყებისთანავე, 2020 წლის პირველ თვეებში, მკაცრმა „ლოქდაუნმა“ შეანელა ვირუსის გავრცელება; თუმცა, 2020 წლის გაზაფხულზე შეზღუდვების თანდათანობითი შემსუბუქებით, წლის მეორე ნახევარში საქართველოში პანდემიის მეორე ტალღა დაიწყო. 2020 წლის ნოემბრის ბოლოდან 2021 წლის თებერვლის დასაწყისამდე მთავრობამ შემოიღო ნაწილობრივი შეზღუდვები, მათ შორის კომენდანტის საათი 21:00 საათიდან 05:00 საათამდე, დახურა რესტორნები და კვების სხვა ობიექტები, შეაჩერა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ა.შ. ამან შეამცირა ინფიცირების შემთხვევები, რამაც მთავრობას მისცა საშუალება ეტაპობრივად გაეხსნა ეკონომიკა 2021 წლის მარტიდან.

კორონავირუსის პანდემიის გავრცელებამ საქართველოში და რეგიონის ქვეყნებში, რომელიც 2020 წლის გაზაფხულიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება, უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკურ აქტივობებზე როგორც რეგიონში, ასევე საქართველოში.

2021 წლის ივლისსა და აგვისტოში Covid-19-ის შემთხვევები კვლავ გაიზარდა. შედეგად, გამკაცრდა გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის სავალდებულო გახდა გარეთ ნიღბების ტარება, აიკრძალა ფართო შეკრებები, შეჩერდა მუნიციპალური ტრანსპორტი და ა.შ. ივლისიდან, მოსახლეობის აცრის პროცესში

შესამჩნევი ჩართულობა შეიმჩნეოდა, ამასთან მთავრობას ჰქონდა საკმარისი რაოდენობის ვაქცინა. 2021 წლის ბოლოსთვის გაჩნდა კორონავირუსის ახალი ვარიანტი სახელწოდებით „ომიკრონი“, პროსპექტის წარდგენის მომენტისთვის აღნიშნული ვარიანტი საქართველოშიც დაფიქსირდა. Covid-19-ის ახალი ვარიანტების წარმოშობა წარმოადგენს ახალ რისკ ფაქტორებს და ზრდის ახალი შეზღუდვების დაწესების რისკს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე. 2022 წელს Covid-19 ინფიცირების შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მთავრობამ გააუქმა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების უდიდესი ნაწილი.

4.3 მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის.

4.3.1 „ობლიგაციების“ საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები.

4.3.1.1 *„ობლიგაციების“ საბაზრო ფასი და ლიკვიდურობა შეიძლება იყოს ცვალებადი.*

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). საქართველოში ობლიგაციებს ინვესტორები ობლიგაციებს უმეტესად მათი მთლიანი ვალის განმავლობაში ფლობენ და შედეგად, ვაჭრობის მოცულობა დაბალია. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულება არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

4.3.1.2 *ობლიგაციები არის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკების საგანი.*

„ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს იმის რისკს, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიონ „ობლიგაციების“ ღირებულებაზე და გადაყიდვის ფასზე.

4.3.1.3 *ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი.*

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სემენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ლარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებით სავაჭროდ შესაძლოა არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორც საქართველოა.

4.3.1.4 ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში ცვლილებების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად.

„კომპანია“ „ობლიგაციების“ ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის დოლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტიციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია დოლარის გარდა სხვა ვალუტაში („ინვესტორის ვალუტა“). აღნიშნული რისკები მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს (დოლარის გაუფასურების ან „ინვესტორის ვალუტის“ რევალვაციის ჩათვლით) და რისკს, რომ „ინვესტორის ვალუტაზე“ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები. „ინვესტორის ვალუტის“ დოლართან მიმართებით ღირებულების ზრდა შეამცირებს: (i) „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ სარგებელს „ობლიგაციებზე“; (ii) „ობლიგაციებზე“ გადასახდელ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ ძირ თანხას; და (iii) „ობლიგაციების“ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ საბაზრო ღირებულებას. მთავრობებმა და სავალუტო ორგანოებმა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში) შეიძლება დააწესონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები, რომლებმაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს გამოსაყენებელ გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

4.3.2 "ობლიგაციების" უფლებებთან დაკავშირებული რისკები.

4.3.2.1 „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

4.3.2.2 ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

„ობლიგაციების“ პირობებით არ არის გათვალისწინებული ინვესტორების უფლებების უზრუნველყოფა „კომპანიის“ საკუთრებაში არსებული რომელიმე აქტივის გირავნობით, იპოთეკით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე სხვა ფორმით. გარდა ამისა, „კომპანიას“ ჰყავს

უზრუნველყოფილი კრედიტორები, რომლებსაც აქვთ უფლება უპირატესად მიიღონ დაკმაყოფილება უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონებიდან (რაც შესაძლოა იყოს „კომპანიის“ აქტივების უმეტესი ნაწილი). ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ „კომპანიის“ გადახდისუნარობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ კრედიტორებს ექნებათ უპირატესი უფლება შესაბამის აქტივებზე. რაც შეეხება „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნებს, „კომპანიის“ გადახდისუნარობის შემთხვევაში, ისინი არაუზრუნველყოფილ ვალდებულებად ჩაითვლება და დაკმაყოფილდება შესაბამისი რიგითობით (საპროცესო, მართვის ხარჯებისა და პრეფერენციული მოთხოვნების შემდეგ).

4.3.2.3 *ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.*

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის („აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

4.3.2.4 *მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე.*

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილული იქნეს ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენს ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ქვეპუნქტი 23.6.6. „ობლიგაციონერთა კრება“).

4.2.2.5. *ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია, რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის.*

ობლიგაციების ემისიის თარიღიდან 24 (ოცდაოთხი) თვის შემდეგ, „ემიტენტს“ ექნება უფლება გამოისყიდოს ობლიგაციები სრულად წინამდებარე ემისიის პროსპექტის 23.6.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობებით, ხოლო ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციების მფლობელი ვალდებული იქნება ობლიგაციები კომპანიას მიჰყიდოს „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 102.0%-ით. „ემიტენტის“ მიერ ხსენებული გამოსყიდვის ოფციის განხორციელების შემთხვევაში, ობლიგაციონერების მიერ ფასიანი ქაღალდებისთვის მიღებული ფასი შესაძლოა იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში.

4.3.3 „ობლიგაციების“, მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული და სხვა რისკები.

4.3.3.1 *ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელის პროცედურებს.*

„კომპანია“ „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია დაეყრდნოს „რეგისტრატორის“, „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

4.3.3.2 *საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე.*

ობლიგაციების პირობები ეფუძნება საქართველოს წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე სასამართლო გადაწყვეტილება, ცვლილება კანონმდებლობაში ან ადმინისტრაციულ პრაქტიკაში წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღის შემდეგ.

მომავალში, ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღებ წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები, მათ შორის გამორიცხული არ არის შევიდეს ისეთი სახის ცვლილებებიც, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებებზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე გარიგებების დადების და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საბირჟო, ასევე არასაბირჟო მეორად ბაზარზე.

4.3.3.3 *ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას.*

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შექმნას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

4.3.3.4 საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომელიმე დამფინანსებელი ბანკი ან სხვა კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

4.3.3.5 ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე წინამდებარე პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ ამგვარი განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ და „განთავსების აგენტი“ თავისი შეხედულებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „საჯარო შეთავაზების პირობები“.

4.3.3.6 ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.

არსებული ფინანსური დათქმები და შეზღუდვა პირობები (იხ. შეთავაზების პირობების დოკუმენტის თავი 2.5. „ფასიანი ქაღალდის დეტალები“, ასევე, წინამდებარე პროსპექტის 23.6.1. „ვალდებულებები“) შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

5 შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია

5.1 განთავსების აგენტის შესახებ ინფორმაცია

5.1.1 განთავსების აგენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო ნომერი, აგრეთვე მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3
ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3
რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო
მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა
ტელ: (+995) 555 08 88 88
ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com
ვებ გვერდი: www.alphacapitaladvisory.com

5.1.2 განთავსების აგენტთან ხელშეკრულების ძირითადი პირობები (Firm Commitment, Best Effort, Standby Commitments, Other); თუ სრულად ან საერთოდ არ ხდება ემისიის შექმნა, დარჩენილი ნაწილის რაოდენობა/წილი.

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ („განთავსების აგენტი“), 2022 წლის 10 ნოემბრის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ იგი დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არა-გარანტირებული საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

5.2 მიღებული სახსრების გამოყენება.

5.2.1 შეთავაზების მიზნების აღწერა.

კომპანია წარმატებით ვითარდება და საქმიანობის განხორციელების ფარგლებში მუდმივად სჭირდება დაფინანსება, რის საფუძველზეც იგი ახორციელებს დაკრედიტებას. შეთავაზების მიზნები არის კომპანიის მორიგი განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების მოზიდვა დაკრედიტებისათვისა და არსებული ვალდებულებების სრული/ნაწილობრივი რეფინანსირებისათვის.

5.2.2 მიღებული სახსრების გამოყენება.

„ემიტენტი“ წარმოადგენს კომპანიას, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე სესხების გაცემა საქართველოში. ამასთან, საკუთარი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში, საოპერაციო და სხვა საჭიროებებისათვის, „კომპანია“ კისრულობს სხვადასხვა სასესხო ვალდებულებებს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისაგან თუ კომპანიებისაგან.

შესაბამისად, ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები (მათ შორის, მიღებული სახსრების გამოყენების მიზნებისთვის, იგულისხმება ობლიგაციების ემისიის თარიღიდან 12 თვემდე ნებისმიერ კონკრეტულ პერიოდში ობლიგაციების გამოშვების შედეგად ფაქტობრივად მოზიდული წმინდა სახსრები) გამოყენებული იქნება კომპანიის მიერ შემდგომი დაკრედიტების განსახორციელებლად და მოხმარდება სასესხო პორტფელის დაგენერირებასა და კომპანიის ვალდებულებების დაფარვას წინამდებარე პროსპექტით ნებადართული წესითა და ოდენობით, ემიტენტის შეხედულებისამებრ.

ემისიის სრულად განთავსების შემთხვევაში, კომპანია გეგმავს მოზიდული სახსრები მოხმარდეს საბანკო სესხების სრულად დაფარვას, რაც 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 8.5 მლნ ლარს. ობლიგაციის ემისიით მოზიდული დანარჩენი თანხები მოხმარდება სასესხო პორტფელის დაგენერირებას.

იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდა ობლიგაციების გამოშვების შედეგად სახსრების სრულად მოზიდვა, კომპანიის სასესხო პორტფელის ზრდა დაფინანსდება ჩვეულებრივი ბიზნესის ოპერირების ფარგლებში და მოხდება საბანკო სესხების ნაწილობრივი ან/და სრული რეფინანსირება.

5.2.3 ყველა იმ ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ შეთავაზებას; მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის.

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“. კომპანია და განთავსების აგენტი დაკავშირებული პირები არ არიან და არ არსებობს მათ შორის რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი.

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის კალკულაციისა და გადახდის აგენტს წარმოადგენს სს „პაშა ბანკი საქართველო“. ამავდროულად, სს „პაშა ბანკი საქართველოსა“ და ემიტენტს შორის არსებობს მიმდინარე საკრედიტო ურთიერთობა. კერძოდ, 2021 წლის 02 აგვისტოს სს „პაშა ბანკი საქართველოსა“ და ემიტენტს შორის გაფორმდა საკრედიტო მომსახურებაზე გენერალური ხელშეკრულება (ასევე მის ფარგლებში სხვა დაკავშირებული ხელშეკრულებები), რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრა 20 წელი, ხოლო ზღვრულ ლიმიტად - 10,000,000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით (დეტალები საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებზე მოცემულია წინამდებარე პროსპექტის 8.3.1.4. ქვეპუნქტში). ამასთან, ხსენებული საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში სს „პაშა ბანკი საქართველოს“ მხრიდან ემიტენტის მიმართ დაწესებულია რიგი სახელშეკრულებო კორპორატიული, ფინანსური და საოპერაციო კოვენანტები და შეზღუდვები. აღნიშნულმა გარემოებებმა კი, შესაძლოა, შემდგომში გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ემიტენტი და კალკულაციისა და გადახდის აგენტი დაკავშირებული პირები არ არიან და არ არსებობს მათ შორის რაიმე სხვა სახის ინტერესთა კონფლიქტი.

6 პასუხისმგებელი პირები

6.1 სარეგისტრაციო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ყველა იმ პირის დასახელებას, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული დოკუმენტის ან მისი რომელიმე ნაწილის შინაარსზე დაკავებული თანამდებობის მითითებით.

დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

ამირამ შარაბი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ ნონიკაშვილი - დირექტორი


ირაკლი გურგენიძე - ფინანსური დირექტორი

6.2 დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გაკეთებული განაცხადი იმის შესახებ, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე. არსებობის შემთხვევაში, იგივე განაცხადი უნდა გაკეთდეს ცალკეულ ნაწილებზე პასუხისმგებელი პირების მიერაც.

ჩვენ, ამირამ შარაბი, მიხეილ ნონიკაშვილი და ირაკლი გურგენიძე, ვმოქმედებთ-რა როგორც ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დირექტორი და ფინანსური დირექტორი (შესაბამისად), ვაცხადებთ, რომ წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:

ხელმოწერის თარიღი:

ხელმოწერები:



დირექტორი



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



ფინანსური დირექტორი

6.3 ემიტენტის აუდიტორის დასახელება და მისამართი წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის; ამასთან, თუ წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე მოხდა აუდიტორის შეცვლა, უნდა აღიწეროს მიზეზები.

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი 2019, 2020 და 2021 წლის მანძილზე იყო შპს “ბიდიო”.
საიდენტიფიკაციო კოდი: 205145403. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ი. თარხნიშვილის ქ. 2. ელ-ფოსტა: bdo@bdo.ge

6.4 როდესაც რეგისტრაციის დოკუმენტში გამოყენებულია ნებისმიერი მესამე პირის ან ექსპერტის დასკვნა, უნდა მიეთითოს მისი სახელი, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მისი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში.

რეგისტრაციის დოკუმენტში არ არის გამოყენებული მესამე პირის ან ექსპერტის დასკვნა.

6.5 როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, უნდა მიეთითოს წყარო და გაკეთდეს დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ასევე, უნდა მოხდეს განცხადება, რომ რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტა და შეცდომაში შემყვანს.

„ემისიის პროსპექტის“ სხვადასხვა ნაწილებში მოცემული სტატისტიკური მონაცემები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოპოვებულ იქნა „სებ“-დან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან („ფინანსთა სამინისტრო“), ტურიზმის ეროვნული სააგენტო, და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან („საქსტატი“). აღნიშნული წყაროების მიერ დაცული სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ლარში (საქართველოს ეროვნული ვალუტა) ან აშშ დოლარში. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოცემულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში, კონვერტირებულია ლარში, „ემისიის პროსპექტში“ მითითებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა წყაროებიდან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული წყაროს მიერ გამოყენებული მეთოდები, დაშვებები და მიღებული შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მართალია, ყველა ზომა მიღებულ იქნა იმისათვის, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ყოფილიყო ყველაზე სანდო და თანმიმდევრული მონაცემები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მონაცემები შედგენილ იქნა და მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

„კომპანიის“ მიერ „სებ“-დან, „ფინანსთა სამინისტროდან“, „საქსტატიდან“ და სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია ზუსტად იქნა ასახული „ემისიის პროსპექტში“ და „კომპანია“ და „განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ აცხადებენ, რომ, მათი ინფორმაციით და ამგვარი წყაროების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ემისიის პროსპექტში“ არ იქნა გამოტოვებული ისეთი ფაქტები, რაც გამოიწვევდა ასახული ინფორმაციის უზუსტობას ან უსწორობას. „ემისიის პროსპექტში“ მესამე პირის ინფორმაციის გამოყენებისას, ამგვარი ინფორმაციის წყარო იდენტიფიცირებულ იქნა.

7 ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

7.1 ემიტენტის იურიდიული და კომერციული დასახელება, ცვლილების შემთხვევაში ძველი სახელწოდებაც.

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის სს „მისო ევრო კრედიტი“.

7.2 ემიტენტის სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის ქვეყანა, კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც აწარმოებს საქმიანობას, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ვებ-გვერდის მისამართი.

სს „მისო ევრო კრედიტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404919102), რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N11 ელ. ფოსტა: info@eurocredit.ge ტელ.: +995 32 2 904 000. ვებ-გვერდი: <https://eurocredit.ge>.

7.3 დაარსების თარიღი და საქმიანობის ისტორია.

კომპანია დაფუძნდა 2011 წლის 22 ნოემბერს.

საქმიანობის მოკლე ისტორია:

ევროკრედიტი არის ერთ-ერთი პირველი კომპანია, რომელმაც ქართულ ბაზარზე ავტოსესხი წარმოადგინა. კომპანია დაფუძნების დღიდან სთავაზობს მომხმარებლებს მირკოსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ნებადართული საქმიანობის ფარგლებში ისეთ პროდუქტებს როგორცაა სესხები 100 000 ლარამდე, მეტწილად კი მოძრავი და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს, მათ შორის სესხებს სამეწარმეო მიზნობრივობით. ევროკრედიტს აქვს 11 ფილიალი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში.

7.4 არსებობის შემთხვევაში, იმ მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა, რამაც მატერიალური გავლენა შეიძლება მოახდინოს ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე.

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

7.5 არსებობის შემთხვევაში, კომპანიის საკრედიტო რეიტინგი.

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რეიტინგი.

7.6 ინფორმაცია ემიტენტის სასესხო და დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ ბოლო ფინანსური წლის მანძილზე; ამასთან, მისი საქმიანობის მომავალი პერიოდების სავარაუდო დაფინანსების წყაროების აღწერა.

2022 წელს კომპანიამ აიღო დამატებითი საბანკო სესხი ადგილობრივი ბანკიდან. კომპანია გეგმავს მომავალში დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას საბანკო სესხის, სუბორდინირებული სესხისა და სავალო ფასიანი ქაღალდების მიმართულებით.

8 საქმიანობის აღწერა

8.1 ძირითადი საქმიანობა.

8.1.1 ემიტენტის საქმიანობის ტიპიდან და ბიზნეს-ოპერაციებიდან გამომდინარე, მის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების, ასევე, ფინანსურ მონაცემებში მოყვანილი ყოველი წლისთვის წარმოებული პროდუქტების და/ან გაწეული მომსახურების ძირითადი კატეგორიების მოკლე აღწერა.

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი” („კომპანია“ ან „ემიტენტი“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც 2011 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდა საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404919102.

კომპანია მიეკუთვნება საერთაშორისო კომპანია: Zuk Group-ს, რომელიც ფლობს ბიზნესებს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, რუმინეთი, უკრაინა, საქართველო და სხვა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერების შემადგენლობა შემდეგნაირია:

- შპს ZUK CHINA STONE WORKS LIMITED (კერძო ორგანიზაცია, დაფუძნებული ჰონკონგის კანონმდებლობის შესაბამისად): 75.51%
- D. Mody Properties Ltd (კერძო ორგანიზაცია, დაფუძნებული ისრაელის კანონმდებლობის შესაბამისად): 7.99%
- იოსებ რუჟვენ გრენიკასი (ფიზიკური პირი): 6.5%
- ბენიშ მენი (ფიზიკური პირი): 5%
- ორენ დუანიას (ფიზიკური პირი): 3%
- ეიალ დუანიას (ფიზიკური პირი): 2%

მოშე ზუკი წარმოადგენდა კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე სესხების გაცემა საქართველოში. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა მიკროსაფინანსო პროდუქტებს:

- ავტოსესხი
- ბიზნესსესხი (აღნიშნული პროდუქტი კომპანიას 2023 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს და მისი მომხმარებლებზე შეთავაზება იგეგმება 2023 წლის მეორე ნახევრიდან)

ჩამოთვლილი სესხების ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ქვემოთ:

| პროდუქტის სახელი | სესხის თანხა (ლარი) | ვალუტა | ვადა (თვე) | წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | ასაკობრივი შეზღუდვა (წელი) | პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეზე | მიზნობრიობა | უზრუნველყოფა |
|--|------------------------------------|--------|------------|--|----------------------------|---|---|--|
| ავტომანქანით უზრუნველყოფილი სესხი (ავტო სესხი) | მინ: 1,500 ლარი; მაქს. 50,000 ლარი | ლარი | 6 – 72 თვე | საპროცენტო დამოკიდებული ა სესხის თანხის მოცულობაზე და მის ვადაზე, რომელსაც ავტომატურად ითვლის კალკულატორი. | 21 - 75 | ერთჯერადად 20 ლარი, ყოველდღიურად ვადაგადაცილებული ძირის 0.27% | პირადი საჭიროებებისთვის, არ კონტროლდება კომპანიის მხრიდან | ავტომანქანა, რომლის ღირებულება საკმარისია, შეადგენდეს მინ. 4700 ლარს |

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნდა 11 ფილიალი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში.

კომპანიის გუნდი შედგება 100-ზე მეტი პროფესიონალისგან, რომლებიც საქმის ექსპერტული ცოდნითა და ღიმილი გამოცდილებით გამოირჩევიან.

კომპანიის მისიას წარმოადგენს მომხმარებლებსა და თანამშრომლებზე ორიენტირებული ინოვაციური, სანდო და მუდმივად განვითარებადი გარემოს შექმნა - მიკროსაფინანსო სექტორში საუკეთესო მომსახურების შეთავაზების გზით.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N11

კომპანიის ელ. ფოსტა: info@eurocredit.ge

სესხის გაცემის პროცედურა

სესხის განაცხადის მიღება:

ახალი მომხმარებლის შემთხვევაში, პირველ რიგში, ხდება მისი იდენტიფიცირება, მონაცემების დარეგისტრირება კომპანიის პროგრამულ უზრუნველყოფაში. შემდეგ იწყება სესხის განაცხადის შევსების პროცესი.

არსებული მომხმარებლის შემთხვევაში - ხდება სესხის განაცხადის შევსება/მონაცემების განახლება, ვინაიდან მისი მონაცემები პროგრამაში რეგისტრირებულია.

მას შემდეგ, რაც მომხმარებელი მიმართავს კომპანიას სესხის აღების მოთხოვნით, სერვის ადმინისტრატორთან კონსულტაციის დასრულებისას (სადაც ხდება ზოგადი ინფორმაციის გაცვლა პოტენციურ მომხმარებელსა და თანამშრომელს შორის) მისამართდება მომსახურების ოფიცერთან, სესხის პირობების გაცნობის მიზნით.

უზრუნველყოფის შეფასება:

სატრანსპორტო საშუალების შეფასება: ავტომანქანის შეფასება ხდება შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ანალოგებს. ინფორმაცია ანალოგებზე მოძიებული უნდა იყოს Myauto.ge, Thub.ge და სხვა მსგავსი საიტებიდან.

რეკომენდირებულია, სატრანსპორტო საშუალების ვინკოდის დახმარებით Google-ში მოძიება, რომ ინახოს თუ რა მდგომარეობაში იყო ის აუქციონზე გაყიდვის დროს. მოძიებული ინფორმაცია, თავისთავად, ზეგავლენას ახდენს უზრუნველყოფის საგნის შეფასებაზე.

საკრედიტო რისკების ოფიცერი, ანალოგებზე დაყრდნობით, იღებს გადაწყვეტილებას შეფასებასთან დაკავშირებით (საორიენტაციოდ ადებულია საშუალო ფასი). კალკულაციაში დამატებით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა პარამეტრები, როგორცაა:

- სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური მხარე
- გარბენი
- საჭის მხარე
- გადაცემათა კოლოფი (ავტომატური / მექანიკური)
- ლიკვიდურობის სტატუსი (დაბალი, საშუალო , მაღალი)

თუ უზრუნველყოფის საგნის ღირებულება 4,700 ლარზე ნაკლებად შეფასდა, სტანდარტის მიხედვით სესხის განაცხადი უარდება.

შეფასების დამტკიცებული წესიდან გადახვევა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ დირექტორის დასტურით.

შეფასების პოლიტიკის დოკუმენტის მინიმუმ 2 წელიწადში ერთხელ გადახედვის პასუხისმგებლობა შესაძლო ცვლილებებისთვის უკისრება რისკების დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

ნებისმიერი ცვლილება შეფასების წესში ძალაში შედის დირექტორთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

საჭირო დოკუმენტაციის საკრედიტო კომიტეტისთვის გადაგზავნა, სესხის დამტკიცება და საოპერაციო მომსახურება:

საკრედიტო პროცესი კომპლექსურია, საჭიროებს მრავალი დოკუმენტის გადამოწმებას და სესხის დამტკიცების პროცესში ხორციელდება მრავალი საფეხურის გავლა.

სესხის განაცხადის შევსების მომენტში საჭიროა მომხმარებლის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრული გარკვეული მონაცემები, რაც უნდა გადამოწმდეს საკრედიტო ოფიცრის მიერ დეტალურად სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში.

მას შემდეგ, რაც დასრულდება მომხმარებლის რეგისტრაცია და მისი მონაცემების გადამოწმება სხვადასხვა ვებ-გვერდებზე - მომსახურების ოფიცერი ახდენს:

- ავტომატური დასურათება/შეფასებას ავტომობილის დასურათების სტანდარტის მიხედვით
- ავტომატური საშუალო საბაზრო ღირებულების დადგენის ანალოგების მეშვეობით

შემდგომ ხდება სესხის კალკულატორში შესაბამისი მონაცემების შეყვანა, რაც აგენერირებს მომხმარებელზე გასაცემი მაქსიმალური თანხის მოცულობას

მას შემდეგ, რაც საკრედიტო ოფიცერი იღებს თანხმობას მომხმარებლისთვის სასურველ სესხის მოცულობასთან/ანგარიშსწორების ფორმებთან (ნაღდი/უნაღლო) დაკავშირებით, ხორციელდება გარკვეული ცნობების დაგენერირება საჯარო საიტებიდან, რომლებიც ადასტურებს ავტომატურად დავალიანების და/ან ყადაღის არ არსებობას და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ ცნობა ნაკლიანია (ყადაღა/სხვა კომპანიის გირავნობა/მოვალეთა რეესტრი) - კომპანია არ გასცემს სესხს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო/საბიუჯეტო დავალიანება აქვს მომხმარებელს, მხოლოდ შესაბამისი დავალიანების დაფარვის შემდეგ (შედარების აქტისა და გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ) მოხდება განაცხადის განხილვა.

შემდგომ საკრედიტო ოფიცერი აგზავნის განაცხადს დეტალური დოკუმენტაციასთან (ყველა საბუთის ატვირთვა მომსახურების ოფიცრის მიერ უნდა მოხდეს შიდა საინფორმაციო პორტალზე) ერთად რისკების დეპარტამენტში, საიდანაც მაქსიმუმ 15 წუთის მანძილზე უბრუნდება პასუხი სესხის დამტკიცების თანხმობის ან უარყოფის თაობაზე.

მას შემდეგ, როცა დადებითი გადაწყვეტილება გამოიგზავნება რისკების დეპარტამენტის მხრიდან, მომსახურების ოფიცერი ახდენს პროგრამულ უზრუნველყოფაში „ალტა“ - სესხის განაცხადის გენერაციას.

მას შემდეგ, რაც სესხი პროგრამულადაც დამტკიცდება რისკების დეპარტამენტის მიერ, ხდება ხელშეკრულებების გაფორმება/ბეჭდვა/ხელმოწერა. ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ ხდება ავტომატური დაგირავება მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდზე: <https://auto.sa.gov.ge/>.

სესხის გაცემას პროგრამულად - ახდენს მომსახურების ოფიცერი. იმ შემთხვევაში, თუ უნაღლო ანგარიშსწორებით გაიცემა სესხის თანხა, ფილიალის მმართველი ახდენს გადარიცხვაზე მოთხოვნის

გაგზავნას ფინანსურ განყოფილებაში. თავის მხრივ, ფინანსური განყოფილება ახდენს ფილიალის მმართველის მიერ მითითებულ ანგარიშზე სესხის თანხის ჩარიცხვას. იმ შემთხვევაში, თუ ნაღდი ანგარიშსწორებით გაიცემა სესხის თანხა, ანგარიშსწორება ხდება სალაროში. სესხის გაცემის პროცესის დასრულების შემდეგ, მომსახურების ოფიცერი ადგენს მომსახურების სააგენტოსთვის გადასაცემი დოკუმენტების ფაილინგს.

კომპანიის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

კომპანია ქართულ ბაზარზე 2011 წლიდან ოპერირებს. ევროკრედიტი არის ერთ-ერთი პირველი კომპანია, რომელმაც ქართულ ბაზარზე ავტოსესხი წარმოადგინა.

2017 წელს ევროკრედიტმა შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და დარეგისტრირდა ახალ კომპანიად: სააქციო საზოგადოება „მისო ევრო კრედიტი“.

ამ მომენტისთვის კომპანიას აქვს 11 ფილიალი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში.

დღეის მდგომარეობით სს „მისო ევრო კრედიტი“ სულ დასაქმებულია 133 თანამშრომელი. (შრომითი, სტაჟირების და მომსახურების ხელშეკრულებებით). ევროკრედიტში შექმნილია კომფორტული და მოქნილი სამუშაო გარემო. კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს დამატებითი ბენეფიტებსაც. კომპანია, ასევე, ზრუნავს თანამშრომლების განვითარებაზე და მათთვის პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა სახის ტრენინგები და ვორქშოპები. კომპანიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია ევროკრედიტში იყოს გუნდური გარემო.

კომპანიის ქსელისა და პროდუქტების განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები მოკლედ აღწერილია ქვემოთ:

- 2011 წელს გაიხსნა ჯერ ქუთაისის და შემდგომ ბათუმის ფილიალები.
- კომპანიამ თავდაპირველად საქმიანობა დაიწყო იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხების გაცემით, ხოლო 2013 წლიდან პროდუქტების სიას დაამატა ავტოსესხები.
- რუსთავის ფილიალი გაიხსნა 2012 წელს.
- 2018 წელს გაიხსნა ლილოს ფილიალი, რომელიც შემდგომში დაიხურა.
- 2018 წელს გაიხსნა გლდანის ფილიალი.
- 2019 წელს გაიხსნა გორის და ზუგდიდის ფილიალები. ამავე წელს გაიხსნა თბილისის ვარკეთილის სერვის ცენტრი.
- 2020 წელს გაიხსნა თბილისის წერეთლისა და ისნის სერვის ცენტრები.

2021 წელს კომპანიამ დაიწყო ფინანსურ-ტექნოლოგიურ, ე.წ. ფინტექ კომპანიად ტრანსფორმაცია და დისტანციური მიკროსაფინანსო პროდუქტების დანერგვა. შედეგად, პირველად საქართველოში, მომხმარებელს ავტოსესხის განმეორებით აღება, ან თანხის დამატება დისტანციურად შეუძლია. ამასთან ერთად, მოხდა რობოტიზაციის სისტემის დანერგვა საოპერაციო ნაწილში, რამაც პროცესები უფრო მარტივი და დროის კუთხით ეფექტური გახადა.

ბოლო პროექტი/სიახლე, რაც განხორციელდა კომპანიაში, არის რობოტიზაცია. ის სამუშაოები, რაც ამ დრომდე ხელით სრულდებოდა, ახლა ხორციელდება რობოტიზაციის გზით. შესაბამისად, თანამშრომლებს მოაკლდათ რუტინული საქმე და მეტი დრო აქვთ შემოქმედებით სამუშაოების შესასრულებლად. პროცესების რობოტიზაციამ განაპირობა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უფრო მცირე დროში, შეამცირა ზედმეტი დანახარჯები, დაზოგა ადამიანური რესურსი/დრო და შემცირდა ოპერაციული შეცდომების რისკი.

კომპანიას დაგეგმილი აქვს 2023 წელს შემდეგი სიახლეების დანერგვა:

- მობილური აპლიკაცია. მობილური აპლიკაციის დანერგვით კომპანია გეგმავს საკუთარ მომხარებელს გაუმარტივოს კომპანიასთან ურთიერთობა. მობილური აპლიკაციის მეშვეობით მომხარებელს შეეძლება სესხის შესახებ ინფორმაციის ნახვა, ფილიალების ადგილმდებარეობის ნახვა, ასევე მიიღოს სხვადასხვა სახის შეტყობინებები, მ.შ. გადასახადის თაობაზე და შეთავაზებების შესახებ.
- მომხმარებლის დისტანციურად იდენტიფიკაციის პროცესის დანერგვა. კომპანია მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული ციფრული სერვისების დანერგვას განაგრძობს. უახლოეს პერიოდში გაეშვება ვიდეო იდენტიფიკაცია, რა დროსაც მომხმარებლებს შეეძლებათ ფილიალში მოუსვლელად გაიარონ იდენტიფიკაცია და მოითხოვონ სესხი.
- CRM სისტემის დანერგვა. კომპანია გეგმავს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემის დანერგვას, რაც მიზნად ისახავს მომხმარებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას და მათი ზრდას. სისტემის დანერგვის მოხდება სარეკლამო კამპანიების დაგეგმვა და შესაბამისი ანალიტიკის დამუშავება.

რაც შეეხება ცვლილებებს პროდუქტების ჭრილში, პირველი ძირეული გადაწყვეტილება ონლაინ ავტოსესხის პროდუქტის დანერგვა იყო, რის შედეგადაც, მომხმარებელს ავტოსესხის აღება აპლიკაციით, დისტანციურად (სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად) შეუძლია. კომპანიის განცხადებით, ის პირველი ვინც ეს ფორმატი შესთავაზა მომხმარებელს ბაზარზე.

კომპანია აგრძელებს მუშაობას იმაზე, რომ მომხმარებელს კომუნიკაცია მაქსიმალურად გამარტივდეს.

კომპანიის მიზნები და სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებები:

კომპანიის მიზანია წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და აქციონერთა კაპიტალის ღირებულების შექმნაში, ბიზნესების ზრდის მხარდაჭერითა და ფიზიკური პირების ფინანსური ინკლუზიურობის ხელშეწყობით.

კომპანია არ შემოიფარგლება მხოლოდ მომხმარებლების ფინანსური ინკლუზიურობით - მისი თანამშრომლების 70%-ზე მეტი ქალბატონია.

კომპანიის ხედვაა: ჩვენი უმაღლესი სტანდარტების ერთგულების მეშვეობით, ჩვენი მიზანია ვიყოთ ლიდერები მიკროსაფინანსო სექტორში, რაც ხელშესახებ სარგებელს მოუტანს ჩვენს პარტნიორებს და დადებით ზეგავლენას იქონიებს იმ პირებზე და საზოგადოებაზე, რომლებსაც ვემსახურებით.

კომპანიის მისიაა: ჩვენი კომპანია მიზანმიმართულია გაწიოს განსაკუთრებული მიკროსაფინანსო მომსახურება, მუდმივი ინოვაციისა და საიმედოობის უზრუნველყოფით. ჩვენ პირველ რიგში ვაყენებთ ჩვენი მომხმარებლებისა და თანამშრომლების საჭიროებებს და მუდმივად მივისწრაფით მომხმარებელზე ორიენტირებული კულტურის დანერგვისკენ, რომელიც ხელს უწყობს ზრდას, ნდობას და ურთიერთპატივისცემას.

8.1.2 არსებობის შემთხვევაში, ახალი პროდუქტის ან მომსახურების მითითება და განვითარების სტადიის აღწერა.

კომპანია გეგმავს 2023 წლის მეორე ნახევრიდან ბაზარზე მომხმარებლებს შესთავაზოს ბიზნეს სესხის პროდუქტი მცირე და საშუალო ბიზნესებს.

ზემოთაღნიშნული სესხები განკუთვნილია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და მიკრობიზნესის დაფინანსების უზრუნველსაყოფად; ეს სესხები, როგორც წესი, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით არის შეთავაზებული, ვიდრე ტრადიციული სესხები, რაც ასახავს მცირე ბიზნესის დაკრედიტებასთან დაკავშირებულ მაღალ რისკს.

კომპანიას მიაჩნია რომ ამ ტიპის დაკრედიტებას შეიძლება ჰქონდეს დადებითი სოციალური გავლენა მცირე ბიზნესებისათვის და მიკრო მეწარმეებისათვის დაკრედიტების ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით.

მიკრო და მცირე/საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას თან ახლავს გარკვეული რისკები. თუმცა, ამ რისკების შერბილება საფუძვლიანი სათანადო ექსპერტიზის ჩატარებით და მიკრო და მცირე/საშუალო ბიზნესის სესხების ღირსიფიცირებულ პორტფელში ინვესტიციით სავსებით მიღწევადი მიზანია.

კომპანიას მიაჩნია, რომ მცირე/საშუალო ბიზნესის სესხების ბაზარზე არის დიდი კონკურენცია, თუმცა მას კარგად ჰყავს შესწავლილი კონკურენტული გარემო და თვლის რომ კომპანიის პროდუქტი მიზიდველი იქნება ახალი მომხმარებლებისათვის.

ობლიგაციის ემისიის მომენტში, კომპანიაში მიმდინარეობს პროდუქტის მახასიათებლების საბოლოო შეთანხმება და ახალი პროდუქტის დანერგვის მიზნისათვის შესაბამისი კადრებით (სესხის ოფიცრებით, ჯგუფის უფროსებითა და საკრედიტო ადმინისტრატორებით) დაკომპლექტება.

8.1.3 არსებობის შემთხვევაში, ბიზნესის სეზონურობის აღწერა.

არ არსებობს.

8.2 გასაღების ბაზრები (ძირითადი ბაზრები).

8.2.1 იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, სადაც ემიტენტი ოპერირებს საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ახორციელებს ექსპორტს, მიღებული შემოსავლების ჩამლა გეოგრაფიული მდებარეობის მითითებით, პროსპექტში წარმოდგენილი თითოეული ფინანსური წლისთვის;


საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორი წარმოადგენს კონკურენტულ რეგულირებულ არასაბანკო საფინანსო ბაზარს, რომელიც 2023 წლის იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია 36 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით. მიკროსაფინანსო ბაზარი, საქართველოს საბანკო ბაზართან შედარებით შედარებით ნაკლებად არის კონცენტრირებული: მიკროსაფინანსო ბაზრის ტოპ 2 მოთამაშის ჯამური აქტივების წილი მთლიანი ბაზრის დაახლ. 54%-ს შეადგენს. ბაზარი კონკურენციას უწევს როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ასევე საბანკო დაწესებულებებს რომლებიც ასევე მონაწილეობენ მიკროსაფინანსო სეგმენტში.

საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორი დასაბამს 2006 წლიდან იღებს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ. შემდეგი ათწლეულის განმავლობაში მიკროსაფინანსო სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სექტორის მთლიანი აქტივების საშუალო ზრდის ტემპმა (CAGR) 2006-16 წლებში 36.7% შეადგინა, ხოლო, მთლიანი სესხების პორტფელის საშუალო ზრდის მაჩვენებელი (CAGR) ამავე პერიოდში 35.9% იყო. თუმცა, 2017-20 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების (მათ შორის: ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე 50%-იანი ზღვარის დაწესება, უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემის შეზღუდვა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტების შემოღება, კაპიტალისა და ლიკვიდობის მინიმალური მოთხოვნების დაწესება და ა.შ.)

გამო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა განახევრდა და 2023 წლის იანვრის მდგომარეობით 36 შეადგინა. დამატებით, სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი „სს კრედო“ 2017 წლის დასაწყისში გახდა კომერციული ბანკი, რამაც საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, დიდი ზეგავლენა მოახდინა მიკროსაფინანსო სექტორის აგრეგირებულ ინდიკატორებზე.

2022 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები 1,879,170,674 ლარია (წლიური 15.0%-იანი ზრდა), მთლიანი ვალდებულებები - 1,216,177,035 ლარი (წლიური 14.4%-იანი ზრდა), ხოლო მთლიანი საკუთარი კაპიტალი - 662,993,639 ლარი (წლიური 16.1%-იანი ზრდა).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი კაპიტალისა და ვალდებულებების დინამიკა, მლნ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გამკაცრებული რეგულაციების ფონზე, მიკროსაფინანსო სექტორის შემოსავლიანობა 2016 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2018 წელს შემოსავლიანობის ზრდა ერთჯერადი ეფექტია და გამოწვეულია წლის ბოლოს ზოგიერთი მიკროსაფინანსოს (ძირითადად ყოფილი ონლაინ სესხების გამცემი სუბიექტების) ბაზრიდან გასვლით და პორტფელის შემცირებით, მაშინ, როდესაც ზემოთხსენებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საპროცენტო შემოსავლები სექტორის ჯამურ შემოსავალში აღირიცხა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახსრების ღირებულება სტაბილურია და 2018-22 წლებში საშუალოდ 11%-ს შეადგენს, სპრედი კი საშუალოდ 21%-ია ამავე პერიოდში.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოსავლიანობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: შემოსავლიანობის მრუდი ასახავს საპროცენტო შემოსავლებისა და ჯარიმებიდან/საურავებიდან მიღებული შემოსავლის ფარდობას საშუალო სასესხო პორტფელთან, ხოლო ეფექტური შემოსავლიანობა დამატებით მოიცავს საკომისიო და სხვა შემოსავალსაც. სახსრების ღირებულება ასახავს მთლიანი საპროცენტო ხარჯის ფარდობას მთლიან საპროცენტო ვალდებულებებთან.

2022 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჯამური წმინდა სესხები შეადგენდა 1,573,998,080 ლარს (წლიური 15.7%-იანი ზრდა). მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სესხების პორტფელი სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა 2017 წლამდე, სანამ სექტორის ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშე „სს კრედო“ კომერციულ ბანკად გადაკეთდებოდა. ამ ფაქტთან ერთად, მიკროსაფინანსო სექტორის საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულმა ზემოთ ხსენებულმა ძირეულმა ცვლილებებმა შეანელა საკრედიტო პორტფელის ზრდა, თუმცა ამავდროულად, მნიშვნელოვნად შეამცირა სექტორში არსებული რისკები და გააჯანსაღა საკრედიტო პორტფელი.

მიკროსაფინანსო სექტორის დაკრედიტების ძირითადი მიმართულება ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებია. 2022 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები შეადგენდა მთლიანი დაკრედიტების 98%-ს. ფიზიკური პირებისათვის გაცემული სესხების ჭრილში ყველაზე მსხვილი მიკროსაფინანსო პროდუქტები იყო სალომბარდე სესხები, სამომხმარებლო სესხები და ვაჭრობისა და მომსახურებისათვის გაცემული სესხები, რაც, აღნიშნული პერიოდისთვის, წარმოადგენდა სექტორის ჯამური საკრედიტო პორტფელის 50%-ს, 26%-ს და 12%-ს, შესაბამისად. სოფლის მეურნეობის სექტორში გაცემული სესხების მოცულობა 104 მლნ ლარი იყო 2022 წლის 12 თვის მდგომარეობით.


მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელი პროდუქტების მიხედვით, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელი თითქმის სრულად ეროვნულ ვალუტაშია წარმოდგენილი, რაც „ლარიზაციის“ რეგულაციის დამსახურებაა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებების დაფინანსებაში უცხოური ვალუტის წილი შედარებით მაღალია, თუმცა კლებადი ტენდენციით გამოირჩევა. ამ რეგულაციის თანახმად, 2017 წლიდან ფინანსურ ინსტიტუტებს აკრძალა 100,000 ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა, ეს ზღვარი 2019 წლიდან 200,000 ლარამდე გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ერთ მსესხებელზე შეუძლიათ მხოლოდ 100,000 ლარამდე სესხის გაცემა, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი მთლიან პორტფელში უმნიშვნელოა.


მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელი გადანაწილება ვალუტის მიხედვით და უცხოური ვალუტის წილი მთლიან ვალდებულებებში, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების დაფინანსების ძირითადი წყარო ნასესხები სახსრებია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანმა ნასესხებმა სახსრებმა 2022 წლის 12 თვის მდგომარეობით 1,099,720,344 ლარი შეადგინა, რომლის 45% (492 მლნ ლარი) კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები იყო. საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან ითხოვს, რომ სახსრები ნაკლებად ინფორმირებული ფიზიკური პირების ნაცვლად უფრო კვალიფიციური ინვესტორებისგან მოიზიდონ, ერთ-ერთი რეგულაცია, რომელიც ამ მიზანს ემსახურება 2017 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში და კრძალავს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან ფინანსების მოზიდვას, თუ თითოეული ინდივიდისგან მოზიდული თანხა ნაკლებია 100,000 ლარზე. შედეგად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნასესხებ სახსრებში იზრდება კომერციული ბანკებისგან მოზიდული სახსრები, ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრები კი კლებადი ტენდენციით ხასიათდება.


მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი ნასესხები სახსრები წყაროების მიხედვით, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორი ზოგადად საბანკო სექტორთან შედარებით მაღალი მომგებიანობით ხასიათდებოდა პროდუქტებზე არსებული მაღალი მარჟების გამო, 2016 წელს ვალუტის გაცვლითმა კურსმა, საპროცენტო განაკვეთებისა და მარჟის კლებამ უარყოფითად იმოქმედა მომგებიანობის ინდიკატორებზე, რაც ნაწილობრივ დაკომპენსირდა 2016 წლის დეკემბერში ონლაინ საკრედიტო კომპანიების მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად დარეგისტრირებით. 2017-19 წლებში მომგებიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შეამცირა მარეგულირებელი ჩარჩოს გამკაცრებამ, 2020-2022 წლებში მომგებიანობის ზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის, პანდემიის ეფექტის გამოკლებით, სამომხმარებლო საკრედიტო პორტფელის ზრდამ, პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებამ და ნასესხები სახსრების ღირებულების სტაბილურობამ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის მაჩვენებლები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მომგებიანობის მაჩვენებლები 2019 წელს შემცირებულია, რაც განაპირობა გამკაცრებულმა კანონმდებლობამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორში. კერძოდ, 2019 წელს დაწესდა გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ლიმიტი, რამაც სექტორში კომპანიებს მომგებიანობა საგრძნობლად შეუმცირა. 2020 წელს აბსოლუტური წმინდა მოგების სიმცირე განპირობებულია კოვიდ-პანდემიის ეფექტით. შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლიდან სექტორი უბრუნდება ნორმალური ოპერირების გარემოს ახალი მარეგულირებელი გარემოს ფარგლებში.

8.3 ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა.

8.3.1 სამომავლო სტრატეგია და მიზნები.

8.3.1.1 ემიტენტის ბიზნესის სტრატეგიისა და მიზნების აღწერა, მათ შორის ფინანსური და არაფინანსური. ამასთან, კომპანიის სამომავლო გეგმების აღწერა.

კომპანიის სტრატეგიული ამოცანაა უზრუნველყოს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და საკუთარი პოზიციის გამყარება საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზარზე, შემდეგი ოთხი სტრატეგიული მიზნის მიღწევით:

- დიფერენციაცია: ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის გამო, ევროკრედიტი მის სტრატეგიული მიზნების მიღწევას გეგმავს შემდეგი მიმართულებების დიფერენციაციის მეშვეობით: უფრო მოქნილი პროდუქტები, პროცესის გამარტივება, სწრაფი გარიგებები და მაღალი ხარისხის კლიენტების მომსახურება. მაგალითად, სესხის გაცემის დრო უნდა არა აღემატებოდეს 30 წუთს, რაც ბაზარზე ყველაზე სწრაფ ნიშნულს წარმოადგენს კომპანიის მენეჯმენტის გაცხადებით.
- მომხმარებელზე ორიენტირებულობა: კომპანია მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ მომხმარებელი არის მისი ყველაზე ღირებული აქტივი. კომპანია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მომხმარებელთა უკუკავშირსა და კმაყოფილებას. შემდეგი სამი წლის მანძილზე, კომპანია გეგმავს მომხმარებელთა კმაყოფილების ქულის 83%-დან 90%-მდე გაზრდას.
- ტექნოლოგიური ინოვაციები: სახის ამოცნობისა და ონლაინ იდენტიფიკაციის ტექნოლოგია დაეხმარება კომპანიას გამარტივოს საკუთარი ვებ-აპლიკაციით მომხმარებლების ონბორდინგის პროცესი. გარდა ამისა, აპლიკაცია საშუალებას მისცემს მომხმარებელს აიღონ სესხი მარტივად და ფილიალში მიუსვლელად.
- ფოკუსი მომხმარებლების გრძელვადიან შენარჩუნებასა და კმაყოფილებაზე: კომპანია გეგმავს გააძლიეროს საკუთარი პოლიტიკა განმეორებად კლიენტებზე, დაწეროს მოქნილი პირობების

ლოიალური მომხმარებლების მიმართ, შენარჩუნების და დაბრუნების პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული კომპანიას ასევე დაეხმარება მომხმარებლის მოზიდვის და სესხის ღირებულების ოპტიმიზაციაში. კომპანიას 2023 წლის მანძილზე 30%-იანი შენარჩუნების მაჩვენებელი აქვს დაგეგმილი.

კომპანიის ბიზნეს მიზნები მოიცავს შემდეგ ძირითად სამ მიმართულებას:

- სტრატეგიული მიზნები: დიფერენციაციის უზრუნველყოფით კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება გრძელ ვადაში და ოპერაციული უპირატესობა - სწრაფი და მოქნილი ოპერაციები.
- ტაქტიკური მიზნები: კომპანია მიზნად ისახავს ბაზარზე გააკეთოს სპეციალიზირებული პროდუქტებისა და მომსახურებების შეთავაზება. კომპანიის მიზანია უმაღლესი სტანდარტის მომსახურების გაწევა მომხმარებელთა ლოიალურობის შესანარჩუნებლად და ბიზნესის ზრდის უზრუნველსაყოფად. კომპანია განაგრძობს ინოვაციაში ინვესტირებას, რათა უზრუნველყოს საკუთარი კონკურენტული უპირატესობა სექტორის სხვა მოთამაშებთან მიმართებაში.
- ოპერაციული მიზნები: კომპანიის მიზანია მომხმარებლების უკუკავშირის მუდმივი მონიტორინგი და მის შესაბამისად სტრატეგიის დაკორექტირება. კომპანიის ამოცანა ასევე მუდმივად ზომოს საკუთარი შედეგები და დანერგოს ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები. კომპანიის ამოცანაა ფოკუსი გააკეთოს ახალ ტექნოლოგიებზე რათა გააუმჯობესოს და უფრო ეფექტური გახადოს საკუთარი ოპერაციები მომხმარებლისთვის უნიკალური ციფრული მომსახურების შეთავაზების გზით.

კომპანიის ბიზნეს გეგმა ფარავს შემდეგ მიმართულებებს:

- დივერსიფიკაცია: კომპანია უზრუნველყოფს სასესხო პორტფელის დივერსიფიცირებას სხვადასხვა სექტორში მომხმარებლების დაკრედიტების კუთხით. აღნიშნული მოიცავს ბიზნეს სესხებს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის და აგრო სესხებს ფერმერებისათვის.
- ფინანსური ტექნოლოგიები და გაციფრულება: კომპანიის გარკვეული პროცესები უკვე ავტომატიზირებული რობო ავტომატიზაციის მეშვეობით. კომპანია იყო პირველი მოთამაშე ბაზარზე რომელმაც მომხმარებლებს შესთავაზა ონლაინ ავტომობილის სესხი. კომპანია აგრძელებს ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვას, რაც ხელს უწყობს ოპერაციული დანახარჯების შემცირებასა და მომხმარებლების კმაყოფილების ზრდას.
- მოქნილობა: კომპანია გეგმავს მომხმარებლებს შესთავაზოს გადახდის პირობების კუთხით მოქნილი საკრედიტო პროდუქტები, რათა უპასუხოს მომხმარებლების უნიკალურ საჭიროებებს. კომპანიას აღნიშნულის მიღწევაში დაეხმარება მობილური აპლიკაციის განვითარება.
- რისკის მართვა: კომპანია დეტალურად აფასებს მისი მსესხებლების კრედიტუნარიანობას და ახორციელებს რისკის მართვას ცენტრალიზებული ანდერრაითინგისა და მკაცრი საკრედიტო მონიტორინგის მეშვეობით.

კომპანია გეგმავს, არსებული ავტო და ონლაინ სესხის პროდუქტის სიას, შემდეგი ახალი პროდუქტების დაამატოს 2023 წლის მანძილზე:

- უძრავი ქონების ე.წ. ბრიჯ სესხები;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები;
- დაკრედიტება მობილური აპლიკაციის მეშვეობით.

კომპანიის არსებული ციფრული გარემო მოიცავს მომხმარებელთა ციფრული გამოცდილების შემდეგ მიმართულებებს:

- კომპანიის ვებ-გვერდის (www.eurocredit.ge) მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია დამოუკიდებლად და სრულიად ციფრულად გაიაროს დაკრედიტების პროცესი.

- WallyPay-ის, კომპანიის პარტნიორი ფინტექ კომპანიის, მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მიიღოს სესხის განახლებისა და/ან სესხის ლიმიტის ზრდის მომსახურება მობილური აპლიკაციით, ფილიალში მიუსვლელად.

- SMS-ის და/ან ავტომატური სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სესხის გრაფიკსა თუ სესხთან დაკავშირებული სხვა შეტყობინებების შესახებ.

მომავალში იგეგმება, რომ განხორციელდეს მომხმარებლის დისტანციური იდენტიფიცირება ციფრული არხების მეშვეობით და კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს ციფრული მომსახურებები.

კომპანიის მიზანია შემდგომი 3 წლის განმავლობაში, 2025 წლისთვის, მიაღწიოს წმინდა მოგების დაახლოებით 75%-იან ზრდას, ხოლო სასესხო პორტფელის კუთხით - დაახლოებით 50%-იან ზრდას. კომპანიის მიზანია ასევე, რომ კომპანიის რისკის მაჩვენებელი (PAR 30) მიაღწიოს 10%-იან ნიშნულს 2025 წელს.

კომპანიის განცხადებით, მას გააჩნია საკმარისი კაპიტალი უახლოეს 4 წლიან პერიოდისთვის და არ გეგმავს მოიზიდოს დამატებითი სახსრები ამ ემისიის გარდა; დაგეგმილი ზრდის უზრუნველყოფა შესაძლებელია ობლიგაციის თანხითა და საკუთარი სახსრებით.

8.3.1.2 არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მიერ ბიზნესების შესყიდვებისა და შერწყმების შესახებ ინფორმაცია.

წარსული ბიზნესების შესყიდვებისა და შერწყმების ისტორია არ არსებობს.

8.3.1.3 არსებობის შემთხვევაში, კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუნარიანობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევების აღწერა.

მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს.

8.3.1.4 თუ ემიტენტის ბიზნესის სპეციფიკისა და მომგებიანობისთვის მნიშვნელოვანია, ინფორმაცია ძირითადი პატენტების, ლიცენზიების, კომერციული ან ფინანსური კონტრაქტების ან წარმოების ახალი პროცესების შესახებ;

1. 2021 წლის 02 აგვისტოს სს „პაშა ბანკი საქართველოსა“ და „კომპანიას“ შორის გაფორმდა საკრედიტო მომსახურებაზე გენერალური ხელშეკრულება და ამავე თარიღში, მის ფარგლებში გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება. გენერალური ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 20 წელი, ხოლო ზღვრულ ლიმიტად - 10,000,000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. საკრედიტო ხელშეკრულებით კრედიტის მოცულობად განისაზღვრა 4,500,000 ლარი, ხოლო კრედიტის ვადად 18 თვე, სესხის მიღების მიზნად საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულია საკრედიტო პორტფელის გაზრდა. 2022 წლის 25 მაისს მხარეებს შორის გაფორმდა ახალი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის კრედიტის მოცულობად განისაზღვრა 4,500,000 ლარი, კრედიტის ვადად 24 თვე, ხოლო სესხის მიღების მიზნად სს „პაშა ბანკი საქართველოში“ არსებული საკრედიტო რესურსის რეფინანსირება და საბრუნავი კაპიტალის გაზრდა (სასესხო პორტფელის გაზრდა).

გენერალური ხელშეკრულების თანახმად, სს „პაშა ბანკი საქართველოს“ წინასწარი თანხმობის გარეშე „კომპანია“ არ არის უფლებამოსილი: იკისროს დამატებითი ფინანსური ვალდებულებები და განახორციელოს საკუთარი მოძრავი ან უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვა. საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად კი, სს „პაშა ბანკი საქართველოს“ წინასწარი თანხმობის გარეშე „კომპანია“ არ არის უფლებამოსილი: გაანაწილოს დივიდენდები; გადაიხადოს შპს „ევრო კრედიტ“-სთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებები; დააგირავოს „კომპანიის“ სახსრები მესამე პირთა სასარგებლოდ (მათ შორის, სასესხო პორტფელი); განახორციელოს ინვესტიციები, რომლებიც აღემატება „კომპანიის“ კაპიტალის 5%-ს; განახორციელოს პარტნიორთა სტრუქტურაში მაკონტროლებელი წილის ოდენობის ცვლილება.

მხარეებს შორის გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილია ზემოთ ხსენებული გენერალური ხელშეკრულებიდან და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე „კომპანიის“ ვალდებულებები. გირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში დაგირავებულია „კომპანიის“ საკუთრებაში არსებული და მომავალში შექმნილი კონკრეტული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (ფინანსური გირავნობის საგანი, კერძოდ „კომპანიის“ არსებული და სამომავლო მოთხოვნები, რომელიც გამომდინარეობს დაგირავებლის სასესხო პორტფელიდან). ფინანსური გირავნობის საგნით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობა შეადგენს 9,000,000 ლარს.

2. 2022 წლის 28 ივნისს სს „საქართველოს ბანკსა“ და „კომპანიას“ შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, რომლის თანახმად საკრედიტო ლიმიტად განისაზღვრა 10,000,000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში, ხოლო ხელშეკრულების ვადად 240 თვე.

ამავე თარიღში მხარეებმა გააფორმეს გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილია მხარეებს შორის 2022 წლის 28 ივნისს გაფორმებული მაღლა ხსენებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები. უზრუნველყოფილი ვალდებულებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 7,500,000 ლარის ოდენობით. გირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში დაგირავებულია „კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე გაცემული/გასაცემი სესხებიდან წარმოშობილი არსებული და სამომავლო მოთხოვნები, რომელიც ჯამურად შეადგენს 7,500,000 ლარს, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელიც წარმოადგენს სს „პაშა ბანკის“ სასარგებლოდ წარმოშობილი ფინანსური გირავნობის უზრუნველყოფის საგანს. „კომპანიის“ მიერ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ფულადი ვალდებულებები ასევე დამატებით უზრუნველყოფილია 2022 წლის 26 სექტემბერს მხარეებს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებით. კერძოდ, ბანკის სასარგებლოდ დაგირავებულია: „კომპანიის“ ბანკში არსებული ყველა/ნებისმიერ მიმდინარე ანგარიშზე არსებული და სამომავლო თანხის მოცულობა (პასუხისმგებლობის მაქსიმალური მოცულობა: 10,000,000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში); „კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე გაცემული/გასაცემი სესხებიდან წარმოშობილი არსებული ან/და სამომავლო მოთხოვნები, რომელიც ჯამურად შეადგენს 2,500,000 ლარს, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელიც წარმოადგენს სს „პაშა ბანკის“ სასარგებლოდ წარმოშობილი ფინანსური გირავნობის უზრუნველყოფის საგანს (პასუხისმგებლობის მაქსიმალური მოცულობა: 2,500,000 ლარი).

ზემოთ აღნიშნული გირავნობის ხელშეკრულებების თანახმად, „კომპანია“ არ არის უფლებამოსილი განკარგოს დაგირავებული ქონება სს „საქართველოს ბანკის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში „კომპანიამ“ გააფორმა შემდეგი საკრედიტო ხელშეკრულებები: 2022 წლის 28 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე „კომპანიამ“ აიღო კრედიტი 3,000,000 ლარის ოდენობით, კრედიტის ვადად განისაზღვრა 27.06.2024 წელი. კრედიტის მიღების მიზნად საკრედიტო ხელშეკრულებით

განსაზღვრულია საოპერაციო კაპიტალის დაფინანსება (პორტფელის გაზრდა); 2022 წლის 26 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე „კომპანია“ აიღო კრედიტი 1,000,000 ლარის ოდენობით, კრედიტის ვადად განისაზღვრა 27.09.2024 წელი. კრედიტის მიღების მიზნად საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულია საბრუნავი საშუალებების დაფინანსება.

გენერალური ხელშეკრულება შეიცავს რიგ ფინანსურ, კორპორატიულ და საოპერაციო კოვენანტებს, რომლის თანახმად, კონკრეტული ოპერაციების/განკარგვების განხორციელებამდე „კომპანია“ უნდა მოიპოვოს სს „საქართველოს ბანკისგან“ წინასწარი წერილობითი ნებართვა. მათ შორის, „კომპანია“ არ არის უფლებამოსილი განახორციელოს ინვესტიციები, აიღოს რაიმე ვალდებულებები ან/და გაწიოს დანახარჯები სს „საქართველოს ბანკის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული გამომდინარეობს მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების მიზნიდან ან/და ხორციელდება „კომპანიის“ ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში.

მხარეებს შორის გაფორმებულია სუბორდინაციის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „ევრო კრედიტ“-სთან „კომპანიის“ მიერ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებები სუბორდინირებულია სს „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მიმართ.

3. „კომპანიას“ შპს „ევრო კრედიტ“-თან (შპს „ევრო კრედიტ“ წარმოადგენს ემიტენტთან დაკავშირებულ პირს, ორივე კომპანიას ჰყავს საერთო პარტნიორები: მათ შორის ZUK CHINA STONE WORKS LIMITED, რომელიც შპს „ევრო კრედიტ“-ის 80.01% წილის მესაკუთრეა) აქვს გაფორმებული სხვადასხვა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე სხვადასხვა თარიღებში „კომპანია“ შპს „ევრო კრედიტ“-სგან მიიღო ვადიანი არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხები, ჯამში 6,556,999 აშშ დოლარის ოდენობით. ხოლო „კომპანიასა“ და შპს „ევრო კრედიტ“-ს შორის არსებული საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში „კომპანიის“ არსებული არასუბორდინირებული დავალიანება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 182,580 აშშ დოლარს.
4. 2014 წლის 15 აპრილის საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულებით, „კომპანია“ რეგისტრირებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციად. „კომპანიის“ საკუთრებაში 13.10.2021 წლიდან, ასევე, რეგისტრირებულია კომბინირებული სასაქონლო ნიშანი (ნიშნის სიტყვიერი ნაწილი: ევროკრედიტი EUROCREDIT), რომლის რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეადგენს 10 წელს.

8.3.2 ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია, მისი ტიპების, წყაროების, ფასების ცვალებადობის/სტაბილურობის მითითებით.

ემიტენტის საკუთარი საქმიანობისათვის იყენებს შემდეგ რესურსებს: საკუთარ კაპიტალსა და მოზიდული სახსრებს.

კომპანიის კაპიტალი (არაუდირებული):

| | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---------------------------------------|---------------------|-------------------------|-------------------|
| ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 31,460,170 | 32,460,170 |
| სულ სრული შემოსავალი | - | 3,895,637 | 3,895,637 |

| | | | |
|------------------------------------|------------------|-------------------|-------------------|
| აუდიტის შესწორება | - | 194 | 194 |
| ბალანსი 2023 წლის 30 ივნისს | 1,000,000 | 35,356,001 | 36,356,001 |

კომპანიის მიერ მოზიდული სახსრები:

2023 წლის 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე, კომპანიამ სავალუტო რისკის შემცირების მიზნებისთვის მოახდინა მისი ყველა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სასესხო ვალდებულების კონვერტაცია ლარში. შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია არააუდირებული მიღებული სესხები 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით:

| | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | დამატებითი ინფორმაცია | ვალუტა | 30 სექტემბერი 2023 | |
|---------------------|--|---------------|---|--------|--------------------|--------------------|
| | | | | | სესხის ძირი | დარიცხული პროცენტი |
| ადგილობრივი ბანკი 1 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 7.5% | 25-მაი-24 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს გადახდით | ლ | 4,500,000 | 11,546 |
| ადგილობრივი ბანკი 2 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 6.5% | 27-ივნ-24 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს გადახდით | ლ | 3,000,000 | 5,507 |
| ადგილობრივი ბანკი 2 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 6.5% | 27-სექ-24 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს გადახდით | ლ | 1,000,000 | 1,370 |
| ევროკრედიტი + | 20% | 26-იან-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს გადახდით | ლ | 1,368,517 | 35,974 |
| | | | | | 9,868,517 | 54,396 |

შემდეგ ცხრილში მოცემულია არააუდირებული სუბორდინირებული სესხები 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით:

| | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | დამატებითი ინფორმაცია | ვალუტა | 30 სექტემბერი 2023 | |
|---------------------------|----------------------|---------------|----------------------------|--------|--------------------|--------------------|
| | | | | | სესხის ძირი | დარიცხული პროცენტი |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 1) | 20% | 1-დეკ-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის | ლ | 3,444,773 | 115,140 |

| | | | | | | |
|------------------------------|-----|-----------|--|---|-------------------|----------------|
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 2) | 20% | 1-დეკ-24 | ბოლოს გადახდით არაუზრუნველყო ფილი პერიოდის ბოლოს | ლ | 3,444,773 | 90,917 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 3) | 20% | 12-მარ-26 | ბოლოს გადახდით არაუზრუნველყო ფილი პერიოდის ბოლოს | ლ | 3,957,613 | 132,282 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 4) | 20% | 1-ივნ-26 | ბოლოს გადახდით არაუზრუნველყო ფილი პერიოდის ბოლოს | ლ | 3,830,827 | 128,044 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 5) | 20% | 1-მაი-28 | ბოლოს გადახდით არაუზრუნველყო ფილი პერიოდის ბოლოს | ლ | 2,581,347 | 86,281 |
| | | | | | 17,259,332 | 552,664 |

8.3.3 არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული ან მომავალში გამოსაყენებელი ტექნოლოგიების აღწერა.

კომპანიის ინფორმაციით მიმდინარე 1 წლის მანძილზე განხორციელდება შემდეგი მნიშვნელოვანი ტექნიკური პროექტები:

- დისტანციური იდენტიფიკაცია: მომხმარებელს შეეძლება ფილიალში მოუსვლელად გაიაროს ვებ გვერდზე იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია;
- დისტანციურად სესხის დამტკიცება: მომხმარებელს შეეძლება დისტანციურად მოითხოვოს სესხი და იქვე 5 წუთში მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გაზრდის ციფრული სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას;
- მობილური აპლიკაცია: ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან ნახოს მისი პროფილი, არსებულ სესხებზე ინფორმაცია, უახლოესი ფილიალის მდებარეობა, მიმდინარე აქციები; მოითხოვოს სესხი და ა.შ.;
- ფილიალიდან სესხის გაცემის პროცესის ავტომატიზაცია: მიმდინარე პროცესის ცვლილება ისე, რომ მომსახურების დრო შემცირდეს 25 წუთამდე.

8.3.4 ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურების აღწერა.

იხილეთ სექცია „სესხის გაცემის პროცედურა“.

8.3.5 მარკეტინგული პროგრამის აღწერა.

2023 წლის მარკეტინგული გეგმა და ამოცანები

2023 წელს მარკეტინგის ძირითადი ამოცანაა მოხდეს ბრენდის კიდევ უფრო მეტად „გაადამიანურება“. ბრენდმა უნდა აჩვენოს ჩვეულებრივი, ახლობელი ადამიანური და დადებითი თვისებები, შეაყვაროს თავი მომხმარებელს და არ გამოაჩინოს ტრაფარეტული გმირები. კომპანიამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ხელოვნური ელფერის მქონე და რთულად გასაგები, ფორმალური პასუხები.

მთლიანობაში 2023 წლის მარკეტინგული კამპანიები აგებულია იმაზე, რომ ევროკრედიტი დაპოზიციონირდეს, როგორც „ადამიანური“, ახლობელი ბრენდი.

კომუნიკაციაში მკვეთრად უნდა ჩანდეს, რომ ბრენდს აქვს ფინანსური ექსპერტული შესაძლებლობები და შესაბამისად მაღალი სანდოობა. მიუხედავად ამის, ურთიერთობა მსუბუქი და მარტივია.

ბრენდის ძირითადი კონცეპტი უცვლელი რჩება, მომხმარებელს ევროკრედიტი უნდა ანსენდებოდეს პირველ რიგში, როდესაც რაღაც ბარიერის/პრობლემის წინაშე დგება.

კომპანიის 2023 წლის მარკეტინგული გეგმის ძირითადი მიმართულებებია:

1. ცნობადობის გაზრდა
2. კონკრეტული საიმიჯო პარამეტრების გამყარება და საინფორმაციო ველის შექმნა
3. გაყიდვების სტიმულირება
4. ლოიალობის გარდაზე მუშაობა

კომპანიის ძირითადი საკომუნიკაციო არხებია:

- სოციალური მედია (Facebook, Instagram, LinkedIn, Youtube)
- ციფრული არხები (ვებ-ბანერები, Google ads, Google search, pre-roll campaigns)
- BTL (ფლაერინგი, სპეც. შეთავაზებები პარტნიორ კომპანიებში, ივენტები)
- OOH (ბილბორდები, მონიტორები)
- TV (ინტეგრაციები/სტუმრობები, სასპონსორო პაკეტები)
- Print (ჟურნალებში სტატიები)
- პირდაპირი მარკეტინგი (sms, სატელეფონო ზარები, E-mail კამპანიები)

კრეატიული მარკეტინგული კამპანიები აგებული სამი ძირითადი მიმართულების მიხედვით:

1. ბრენდ პერსონა (BRAND PERSONA) - კომპანია აშენებს სასურველ საიმიჯო პარამეტრებს;
2. პროდუქტი და სიახლეები (PRODUCT, NEWS) - კომპანიას აქვს აქტიური კომუნიკაცია მომხმარებლებთან არსებული და ახალ პროდუქტების, და სიახლეების შესახებ; ასევე კომპანია მომხმარებლების ინფორმირებით ახდენს გაყიდვების სტიმულირებას;
3. ექსპერტიზა (EXPERTISE) - საგანმანათლებლო, ბრენდის ექსპერტული მხარე - „მეგობარი7 რომელსაც აქვს დარგში ცოდნა და კომპეტენცია“.

8.3.6 ძირითადი მომხმარებლებისა და მომწოდებლების აღწერა მათი წილების მითითებით (შემოსავლის/შესყიდვების 10%-ის ტოლი ან მეტი).

კომპანიას არ გააჩნია ისეთი მომხმარებლები და მომწოდებლები რომელთა წილი შემოსავლების/შესყიდვების 10%-ის ტოლი ან მეტია.

კომპანიას, მიმდინარე პერიოდში, ჰყავს სამი მსესხებელი, რომლებსაც თითოეულს აქვს მთლიანი სესხების 10%-ზე მეტი თანხა მიცემული კომპანიაზე სესხად:

- **შპს „ევრო კრედიტ+“:** შპს „ევრო კრედიტ+“ წარმოადგენს ემიტენტთან დაკავშირებულ პირს, ორივე კომპანიას ჰყავს საერთო პარტნიორები: მათ შორის ZUK CHINA STONE WORKS LIMITED, რომელიც შპს „ევრო კრედიტ+“-ის 80.01% წილის მესაკუთრეა.
- **სს „პაშა ბანკი საქართველო“:** სს „პაშა ბანკი საქართველო“ წარმოადგენს კომპანიის კრედიტორს და საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს.
- **სს „საქართველოს ბანკი“:** სს „საქართველოს ბანკი“ წარმოადგენს კომპანიის კრედიტორს და საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 8.3.4.1 ქვეთავში.

8.4 ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა, ასევე ამ პოზიციის საფუძვლის აღწერა.

2022 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო სექტორი შედგება 36 კომპანიის, 396 სერვის ცენტრის და 4,323 თანამშრომლისგან. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კლიენტებს სთავაზობენ სწრაფ/ონლაინ სესხებს, სამომხმარებლო სესხებს, იპოთეკურ სესხებს, ავტოსესხებს, ბიზნეს სესხებსა და სალომბარდე სესხებს; ზოგი კომპანია სპეციალიზებულია მხოლოდ ერთ-ერთი ტიპის სესხის გაცემაში.

კომპანია, ტოპ 10 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის, მომგებიანობით რიგით მე-3, მთლიანი აქტივების მიხედვით რიგით მე-8, წმინდა საკრედიტო პორტფელით რიგით მე-8, ფილიალების რაოდენობით რიგით მე-10 (რაც მის ეფექტურობას მიუთითებს), ხოლო თანამშრომლების რაოდენობით მე-9 (რას მის ეფექტურობას მიუთითებს) კომპანიაა მიკროსაფინანსო სექტორში 2022 წლის 12 თვის მდგომარეობით. წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით ტოპ 10 კომპანია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები „კრისტალი“ და „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (იგივე MBC) აპირებენ შესაბამისი კანონმდებლობის მიღების შემდეგ მიკრო ბანკად გადაკეთებას.

წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით ტოპ 10 მიკროსაფინანსო კომპანია, 2022 წლის 12 თვე, წმინდა მოგების მიხედვით

| # | მიკროსაფინანსო ორგანიზაცია | წმინდა მოგება, მილიონი ლარი | წმინდა საკრედიტო პორტფელი, მილიონი ლარი | მთლიანი აქტივები, მილიონი ლარი | ფილიალების რაოდენობა | თანამშრომლების რაოდენობა |
|----|----------------------------|-----------------------------|---|--------------------------------|----------------------|--------------------------|
| 1 | რიკო ექსპრესი | 56.2 | 414.1 | 566.9 | 53 | 607 |
| 2 | სვის კაპიტალი | 12.9 | 154.5 | 180.0 | 29 | 393 |
| 3 | ევრო კრედიტი | 11.3 | 58.0 | 62.2 | 11 | 120 |
| 4 | კრისტალი | 6.2 | 391.6 | 455.0 | 50 | 1,045 |
| 5 | სმარტ ფინანსი | 5.9 | 68.8 | 74.0 | 13 | 103 |
| 6 | ინტელექსპრესი | 5.5 | 16.9 | 60.4 | 23 | 216 |
| 7 | კრედიტსერვისი+ | 4.0 | 35.4 | 43.2 | 49 | 341 |
| 8 | ლიდერ კრედიტი | 3.2 | 71.1 | 83.1 | 27 | 240 |
| 9 | მიკრო ბიზნეს კაპიტალი | 0.4 | 89.2 | 105.2 | 18 | 248 |
| 10 | ლაზიკა კაპიტალი | 0.4 | 68.3 | 75.5 | 20 | 278 |

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, კვარტლური ანგარიშგებები (მომზადებული ეროვნული ბანკის საზელამხედველო მოთხოვნების შესაბამისად).

8.5 ინვესტიციები

8.5.1 ემიტენტის მიერ განხორციელებული მატერიალური ინვესტიციების აღწერა (თანხების მითითებით) თითოეული იმ პერიოდისთვის, რომელიც პროსპექტში წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებშია მითითებული.

ემიტენტს არ განუხორციელებია მატერიალური ინვესტიციები პროსპექტში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების პერიოდის განმავლობაში.

8.5.2 ემიტენტის მიერ განხორციელებული იმ მატერიალური ინვესტიციების აღწერა, რომლებიც მიმდინარეობს პროცესშია, მათი გეოგრაფიული მდებარეობისა (ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ) და დაფინანსების სტრუქტურის (შიდა თუ მოზიდული სახსრებით) მიხედვით.

ემისიის მომენტისათვის კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე მატერიალური ინვესტიციების პროექტი.

8.5.3 ინფორმაცია, ისეთი კომპანიების შესახებ, მათი წილების მითითებით, რომლებშიც ემიტენტი ფლობს წილს და რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და/ან მოგება-ზარალის შეფასებაზე (იგულისხმება შვილობილების გარდა არსებული წილების ფლობა).

კომპანია არ ფლობს წილს სხვა კომპანიაში, რომელიც არ არის მისი შვილობილი.

9 ორგანიზაციული სტრუქტურა

9.1 თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურისა და საქმიანობის მიმოხილვა, მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით; სიცხადისა და აღქმადობისთვის უმჯობესია ორგანიზაციული სტრუქტურის დიაგრამის გამოყენება.

მენეჯმენტის განცხადებით, კომპანია არ არის ჯგუფის წევრი.

9.2 ემიტენტის შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი, მათი სახელების, დაარსებისა და საქმიანობის ქვეყნის, მათში წილობრივი ფლობისა და ხმის უფლების მითითებით. ასევე, თუ ემიტენტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ჯგუფში შემავალ რომელიმე წევრზე, ამ დამოკიდებულების აღწერა.

კომპანია არ ფლობს წილს სხვა კომპანიაში, რომელიც არ არის მისი შვილობილი.

10 საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა.

10.1 საოპერაციო შედეგები.

სრული შემოსავლების ანგარიშგება

| | 30 ივნისი 2023 არააუდირე ბული | 30 ივნისი 2022 არააუდი რებული | 31 დეკემბერი 2022 აუდირებუ ლი | 31 დეკემბერი 2021 აუდირებუ ლი | 31 დეკემბერი 2020 აუდირებუ ლი |
|--|--|--|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 12,010,774 | 9,593,025 | 20,740,706 | 15,870,856 | 13,465,393 |
| საპროცენტო ხარჯი | -1,849,830 | -1,743,808 | -3,708,134 | -3,199,350 | -3,136,946 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე | 10,160,944 | 7,849,217 | 17,032,572 | 12,671,506 | 10,328,447 |
| გაუფასურების ხარჯი | -3,385,126 | -1,401,977 | -5,847,897 | -2,122,766 | -332,974 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 6,775,818 | 6,447,240 | 11,184,675 | 10,548,740 | 9,995,473 |
| სხვა შემოსავალი | 2,463,782 | 1,820,759 | 4,181,482 | 3,397,238 | 2,463,386 |
| ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება | -2,254,774 | -2,201,706 | -4,055,622 | -4,065,974 | -3,505,255 |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | -2,176,733 | -2,071,752 | -4,412,855 | -5,080,827 | -3,232,533 |
| ცვთა და ამორტიზაცია | -426,680 | -416,481 | -859,810 | -841,852 | -897,600 |
| მოგება / (ზარალი) გაცვლითი კურსის სხვაობისგან | 554,798 | 1,059,205 | 2,926,176 | 517,262 | -2,621,479 |
| მოგება დაბეგვრამდე | 4,936,212 | 4,637,264 | 8,964,046 | 4,474,587 | 2,201,992 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | -1,040,574 | -695,590 | -601,571 | -1,173,046 | -12,237 |
| სულ სრული შემოსავალი | 3,895,637 | 3,941,675 | 8,362,475 | 3,301,541 | 2,189,755 |

მოგების გადასახადის ხარჯი

| | 30 ივნისი 2023 არააუდირ ებული | 30 ივნისი 2022 არააუდირ ებული | 31 დეკემბერ ი 2022 აუდირებუ ლი | 31 დეკემბერ ი 2021 აუდირებუ ლი | 31 დეკემბერი 2020 აუდირებუ ლი |
|--|--|--|--|--|---|
| მოგება დაბეგვრამდე | 4,936,212 | 4,637,264 | 8,964,046 | 4,474,587 | 1,413,279 |
| საგადასახადო განაკვეთი | 20% | 15% | 15% | 15% | 15% |
| თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) | (987,242) | (695,590) | (1,792,809) | (671,188) | (211,992) |

წინა პერიოდში აუდიარებული
 საგადასახადო აქტივის ეფექტი
 მუდმივი სხვაობების ეფექტი
 მოგების გადასახადის ხარჯი

| | | | | |
|--------------------|------------------|------------------|--------------------|-----------------|
| - | - | - | - | 732,941 |
| (53,332) | - | 1,191,238 | (501,858) | (533,186) |
| (1,040,574) | (695,590) | (601,571) | (1,173,046) | (12,237) |

სხვა შემოსავლები

| | 30 ივნისი 2023 არააუდი რებული | 30 ივნისი 2022 არააუდი რებული | 31 დეკემბერი 2022 აუდირებულ ი | 31 დეკემბერი 2021 აუდირებულ ი | 31 დეკემბერი 2020 აუდირებულ ი |
|---|--|--|---|---|---|
| შემოსავალი ჯარიმიდან სესხების წინსწრებით დაფარვის საკომისიო | 2,103,309 | 1,495,283 | 3,504,260 | 2,801,041 | 2,130,012 |
| საიჯარო შეღავათი სხვა შემოსავლები | 291,557 | 264,229 | 604,239 | 543,227 | 224,253 |
| | - | - | - | - | 56,919 |
| | 68,917 | 61,247 | 72,983 | 52,970 | 52,202 |
| სულ სხვა შემოსავალი | 2,463,782 | 1,820,759 | 4,181,482 | 3,397,238 | 2,463,386 |

სხვა საოპერაციო ხარჯები

| | 30 ივნისი 2023 არააუდი რებული | 30 ივნისი 2023 არააუდი რებული | 31 დეკემბერი 2022 აუდირებულ ი | 31 დეკემბერი 2021 აუდირებულ ი | 31 დეკემბერი 2020 აუდირებულ ი |
|--|--|--|---|---|---|
| მარკეტინგული ხარჯები | (686,662) | (653,681) | (1,389,152) | (1,744,861) | (773,152) |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები | (204,170) | (262,402) | (551,452) | (554,845) | (507,521) |
| იურიდიული ხარჯები | (120,544) | (167,399) | (294,402) | (520,560) | (348,751) |
| სესხების ამოღების ხარჯები | (220,000) | (226,000) | (431,168) | (361,249) | (219,965) |
| გირავნობის საკომისიო | - | - | (52,515) | (337,256) | (98,988) |
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიული სერვისის ხარჯები | (291,749) | (175,574) | (381,513) | (284,995) | (81,610) |
| საკომუნიკაციო ხარჯები | (94,173) | (82,306) | (171,676) | (177,671) | (175,188) |
| განაცხადების შემოწმების ხარჯები | (74,317) | (73,465) | (145,033) | (143,612) | (144,784) |
| კომუნალური ხარჯები | (72,983) | (74,240) | (125,033) | (127,997) | (79,695) |
| საწვავის ხარჯი | (38,586) | (36,959) | (89,805) | (127,695) | (74,477) |
| დაცვის ხარჯები | (66,767) | (62,440) | (125,979) | (117,585) | (136,843) |
| ოფისის ხარჯები | (44,736) | (43,282) | (98,719) | (96,063) | (124,205) |
| მივლინების ხარჯები | (46,794) | (34,184) | (97,813) | (94,605) | (120,385) |
| ბანკის საკომისიო | (19,334) | (49,502) | (65,368) | (78,333) | (27,157) |
| ჩამორთმეული მანქანებთან დაკავშირებული ხარჯები | (38,664) | (25,698) | (89,079) | (63,603) | (64,091) |
| სხვა ხარჯები | (157,254) | (104,620) | (304,148) | (249,897) | (255,721) |
| სულ სხვა საოპერაციო ხარჯები | (2,176,733) | (2,071,752) | (4,412,855) | (5,080,827) | (3,232,533) |

საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები მოიცავს ფინანსური აუდიტის საფასურს 53,323 ლარის და 57,121 ლარის ოდენობით 2022 და 2021 წლებისთვის, შესაბამისად.

10.2 ფინანსური მდგომარეობა

ემიტენტის ფინანსური მდგომარეობის, მასში მომხდარი ცვლილებებისა და საოპერაციო შედეგების აღწერა ყოველი წლისა და შუალედური პერიოდისთვის, რომელთათვისაც წარდგენილია ისტორიული ფინანსური ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს წლიდან წლამდე ფინანსურ ინფორმაციაში მომხდარი მატერიალური ცვლილებების მიზეზები და ანალიზი. ანალიზი უნდა მოიცავდეს ფინანსური მაჩვენებლების და თუ რელევანტურია, არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


| | 30 ივნისი 2023 არააუდი რებული | 30 ივნისი 2022 არააუდი რებული | 31 დეკემბერ ი 2022 არა- აუდირებ ული | 31 დეკემბერი 2021 აუდირებ ული | 31 დეკემბერი 2020 აუდირებ ული |
|-------------------------------------|--|--|--|---|---|
| აქტივები | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,973,127 | 2,845,047 | 1,383,154 | 4,266,053 | 1,686,981 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 59,371,532 | 53,488,871 | 56,513,261 | 46,324,013 | 33,330,827 |
| სხვა აქტივები | 599,579 | 237,645 | 477,189 | 192,898 | 184,265 |
| საგადასახადო აქტივი | 0 | 0 | 0 | - | 213,815 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 1,574,877 | 406 | 1,241,203 | 406 | 902,237 |
| აქტივის გამოყენების უფლება | 1,574,655 | 1,819,167 | 1,949,709 | 2,185,582 | 3,047,528 |
| ძირითადი საშუალებები | 444,217 | 421,542 | 411,031 | 393,362 | 465,040 |
| სულ აქტივები | 65,537,986 | 58,812,678 | 61,975,547 | 53,362,314 | 39,830,693 |
| ვალდებულებები | | | | | |
| სხვა ვალდებულებები | 220,760 | 278,425 | 331,281 | 269,430 | 601,434 |
| საგადასახადო ვალდებულება | 735,171 | 397,541 | 816,822 | 779,460 | - |
| საიჯარო ვალდებულებები | 1,210,209 | 1,723,198 | 1,611,016 | 2,168,672 | 3,177,814 |
| მიღებული სესხები | 9,024,709 | 9,156,529 | 9,015,948 | 8,707,190 | 0 |
| სუბორდინირებული სესხები | 17,991,135 | 19,217,421 | 17,740,310 | 17,339,867 | 19,083,694 |
| სულ ვალდებულებები | 29,181,983 | 30,773,115 | 29,515,377 | 29,264,619 | 22,862,942 |

კაპიტალი


| | | | | | |
|----------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| სააქციო კაპიტალი | 1,000,000 | 1,000,000 | 1,000,000 | 1,000,000 | 1,000,000 |
| გაუნაწილებელი მოგება | 35,356,003 | 27,039,563 | 31,460,170 | 23,097,695 | 15,967,751 |
| მთლიანი კაპიტალი | 36,356,003 | 28,039,563 | 32,460,170 | 24,097,695 | 16,967,751 |
| ვალდებულებები და კაპიტალი | 65,537,986 | 58,812,678 | 61,975,547 | 53,362,314 | 39,830,693 |

საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

2019 წლიდან 2022 წლამდე კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელი გაიზარდა დაახლოებით 23 მლნ ლარით და ასევე ყოველთვიურად პორტფელი განაგრძობს ზრდას, რამაც გამოიწვია პორტფელის 33მლნ ლარიდან 56მლნ ლარამდე გაზრდა.

კომპანიის აქტივების დინამიკა კატეგორიების მიხედვით


კომპანიის 2022 წლის აქტივები პროცენტული განაწილება



კლიენტებზე გაცემული სესხები

| | 30 ივნისი 2023 | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|-------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| მთლიანი გაცემული სესხები | 67,214,541 | 61,999,429 | 60,270,051 | 46,360,115 |
| მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | (7,843,009) | (5,486,168) | (13,946,038) | (13,029,288) |
| სულ გაცემული სესხები | 59,371,532 | 56,513,261 | 46,324,013 | 33,330,827 |

კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით 2022 წლის დასასრულისთვის ყველა ის სესხი რომელსაც ვადაგადაცილება ჰქონდა 730 დღეზე მეტი მთლიანად ჩამოიწერა (მიახლოებით 14 მლნ ლარი), რამაც საგრძნობლად შეამცირა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვები. ასეთ ჩამოწერებს წინა წლებში ადგილი არ ჰქონია.

გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით 2023 წლის 30 ივნისიდან 2019 წლების 31 დეკემბერს მიხედვით.

| | | | 30 ივნისი 2023 არააუღირებული | | |
|-------------------------------------|----------|-----------|------------------------------|-----------------------|-----------------------------|
| გაცემული ხარისხი | სესხების | საკრედიტო | სესხები გაუფასურებამ და | მოსალოდნელი ზარალი, % | სესხები გაუფასურების შემდეგ |
| სესხები ინდივიდუალური ნიშნის გარეშე | | | 58,774,382 | (3,430,163) | 55,344,219 |

| | | | |
|--------------------------------------|-------------------|--------------------|-------------------|
| 30 დღემდე გადაცილება | 3,286,622 | (515,323) | 2,771,298 |
| 30–60 დღის ვადაგადაცილება | 681,302 | (220,628) | 460,674 |
| 60–90 დღის ვადაგადაცილება | 660,731 | (307,143) | 353,588 |
| 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | 27,885 | (5,116) | 22,768 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე ნაკლები) | 53,746 | (34,129) | 19,617 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე მეტი) | 3,729,874 | (3,330,507) | 399,366 |
| სულ გაცემული სესხები | 67,214,541 | (7,843,009) | 59,371,532 |

31 დეკემბერი 2022 აუდირებული

| გაცემული სესხების ხარისხი | სესხების საკრედიტო | სესხები გაუფასურებამდე | მოსალოდნელი ზარალი, % | სესხები გაუფასურების შემდეგ |
|--------------------------------------|--------------------|------------------------|-----------------------|-----------------------------|
| სესხები ინდივიდუალური ნიშნის გარეშე | | 54,415,704 | (2,604,853) | 51,810,851 |
| 30 დღემდე გადაცილება | | 3,015,528 | (387,387) | 2,628,141 |
| 30–60 დღის ვადაგადაცილება | | 785,277 | (205,858) | 579,419 |
| 60–90 დღის ვადაგადაცილება | | 383,285 | (145,279) | 238,006 |
| 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | | 3,304,227 | (2,103,473) | 1,200,754 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე ნაკლები) | | 43,016 | (6,049) | 36,967 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე მეტი) | | 52,392 | (33,269) | 19,123 |
| სულ გაცემული სესხები | | 61,999,429 | (5,486,168) | 56,513,261 |

31 დეკემბერი 2021 აუდირებული

| გაცემული სესხების ხარისხი | სესხების საკრედიტო | სესხები გაუფასურებამდე | მოსალოდნელი ზარალი, % | სესხები გაუფასურების შემდეგ |
|--------------------------------------|--------------------|------------------------|-----------------------|-----------------------------|
| სესხები ინდივიდუალური ნიშნის გარეშე | | 40,485,665 | (5,096,521) | 35,389,144 |
| 30 დღემდე გადაცილება | | 1,943,961 | (300,515) | 1,643,446 |
| 30–60 დღის ვადაგადაცილება | | 708,755 | (195,914) | 512,841 |
| 60–90 დღის ვადაგადაცილება | | 468,923 | (185,122) | 283,801 |
| 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | | 16,348,529 | (8,062,760) | 8,285,769 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე ნაკლები) | | 233,456 | (52,289) | 181,167 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე მეტი) | | 80,762 | (52,917) | 27,845 |
| სულ გაცემული სესხები | | 60,270,051 | (13,946,038) | 46,324,013 |

31 დეკემბერი 2020 აუდირებული

| გაცემული სესხების ხარისხი | სესხების საკრედიტო | სესხები გაუფასურებამდე | მოსალოდნელი ზარალი, % | სესხები გაუფასურების შემდეგ |
|-------------------------------------|--------------------|------------------------|-----------------------|-----------------------------|
| სესხები ინდივიდუალური ნიშნის გარეშე | | 25,158,793 | (1,962,414) | 23,196,379 |
| 30 დღემდე გადაცილება | | 1,364,610 | (228,983) | 1,135,627 |

| | | | |
|--------------------------------------|-------------------|---------------------|-------------------|
| 30–60 დღის ვადაგადაცილება | 487,006 | (141,529) | 345,477 |
| 60–90 დღის ვადაგადაცილება | 330,879 | (136,256) | 194,623 |
| 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | 12,814,957 | (7,268,904) | 5,546,053 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე ნაკლები) | 1,061,444 | (237,199) | 824,245 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე მეტი) | 5,142,426 | (3,054,003) | 2,088,423 |
| სულ გაცემული სესხები | 46,360,115 | (13,029,288) | 33,330,827 |

31 დეკემბერი 2019 აუდირებული

| გაცემული ხარისხი | სესხების | საკრედიტო | სესხები | | |
|--------------------------------------|----------|-----------|-------------------|-----------------------|-----------------------------|
| | | | გაუფასურებამდე | მოსალოდნელი ზარალი, % | სესხები გაუფასურების შემდეგ |
| სესხები ინდივიდუალური ნიშნის გარეშე | | | 26,804,567 | (2,833,282) | 23,971,285 |
| 30 დღემდე გადაცილება | | | 2,472,404 | (402,523) | 2,069,881 |
| 30–60 დღის ვადაგადაცილება | | | 908,732 | (225,203) | 683,529 |
| 60–90 დღის ვადაგადაცილება | | | 584,053 | (196,277) | 387,776 |
| 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | | | 12,149,895 | (7,517,209) | 4,632,686 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე ნაკლები) | | | 1,086,433 | (218,747) | 867,686 |
| რესტრუქტურირებული (90 დღეზე მეტი) | | | 3,193,589 | (1,959,984) | 1,233,605 |
| სულ გაცემული სესხები | | | 47,199,673 | (13,353,225) | 33,846,448 |

კომპანიამ დააწესა შიდა პოლიტიკა უზრუნველყოფილ სესხებზე. სესხები უზრუნველყოფილია სატრანსპორტო საშუალებებით. უზრუნველყოფის შეფასება ხდება LTV კოეფიციენტის დახმარებით (მაქსიმუმი კოეფიციენტი არის 85% ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით).

2023 წლის 30 ივნისიდან 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა

| არააუდირებული | 1 ეტაპი | 2 ეტაპი | 3 ეტაპი | სულ |
|---------------------------------------|-------------------------------------|---|--|------------------|
| | 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო რისკი | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი არაგაუფასურებულ სესხებზე | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი გაუფასურებულ სესხებზე | |
| ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს | 2,998,207 | 351,219 | 2,136,742 | 5,486,168 |
| გადასვლა ეტაპი 1-ზე | 2,376,008 | (10,313) | (2,345) | 2,363,350 |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (325,533) | 511,779 | - | 186,246 |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (831,415) | (307,421) | 1,196,389 | 57,554 |

| | | | | |
|---|------------------|----------------|------------------|------------------|
| ახალი სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფარვები | 2,363,350 | 177,895 | 57,553 | 2,598,798 |
| ჩამოწერები | (1,487,824) | (112,310) | (141,378) | (1,741,512) |
| საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები | - | - | (1,166,388) | (1,166,388) |
| ბალანსი 2023 წლის 30 ივნისს | 3,950,602 | 527,771 | 3,364,636 | 7,843,009 |

| აუდირებული | 1 ეტაპი 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო რისკი | 2 ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი არაგაუფასურებულ სესხებზე | 3 ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი გაუფასურებულ სესხებზე | სულ |
|---|---|--|---|-------------------|
| ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 2,550,349 | 683,037 | 10,712,652 | 13,946,038 |
| გადასვლა ეტაპი 1-ზე | 30,239 | (27,681) | (2,558) | - |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (79,115) | 79,115 | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (450,087) | (389,950) | 840,037 | - |
| ახალი სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფარვები | 2,584,937 | 258,135 | 723,932 | 3,567,004 |
| ჩამოწერები | (2,091,164) | (424,054) | (854,816) | (3,370,034) |
| საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები | - | - | (9,442,378) | (9,442,378) |
| ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს | 2,998,207 | 351,219 | 2,136,742 | 5,486,168 |

| აუდირებული | 1 ეტაპი 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო რისკი | 2 ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი არაგაუფასურებულ სესხებზე | 3 ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი გაუფასურებულ სესხებზე | სულ |
|--------------------------------|---|--|---|-------------------|
| ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს | 2,191,398 | 512,846 | 10,325,044 | 13,029,288 |
| გადასვლა ეტაპი 1-ზე | 12,056 | (12,056) | - | - |

| | | | | |
|--|------------------|----------------|-------------------|-------------------|
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (86,263) | 86,263 | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (359,645) | (138,294) | 497,939 | - |
| ახალი სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | 3,484,811 | - | - | 3,484,811 |
| დაფარვები | (1,652,950) | (313,634) | (795,894) | (2,762,478) |
| ჩამოწერები | (8,744) | (29,564) | (1,044,015) | (1,082,323) |
| საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები | (1,030,314) | 577,476 | 1,729,578 | 1,276,740 |
| ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 2,550,349 | 683,037 | 10,712,652 | 13,946,038 |

| აუდირებული | 1 ეტაპი | 2 ეტაპი | 3 ეტაპი | სულ |
|--|-------------------------------------|---|--|-------------------|
| | 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო რისკი | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი არაგაუფასურებულ სესხებზე | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი გაუფასურებულ სესხებზე | |
| ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერს | 3,431,292 | 444,741 | 9,477,192 | 13,353,225 |
| გადასვლა ეტაპი 1-ზე | - | - | - | - |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (260,823) | 260,823 | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (1,103,751) | (475,838) | 1,579,589 | - |
| ახალი სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | 2,570,768 | - | - | 2,570,768 |
| დაფარვები | (2,235,201) | (182,458) | (713,818) | (3,131,477) |
| ჩამოწერები | - | - | (371,709) | (371,709) |
| საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები | (210,887) | 465,578 | 353,790 | 608,481 |
| ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს | 2,191,398 | 512,846 | 10,325,044 | 13,029,288 |

| აუდირებული | 1 ეტაპი | 2 ეტაპი | 3 ეტაპი | სულ |
|------------|-------------------------------------|---|--|-----|
| | 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო რისკი | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი არაგაუფასურებულ სესხებზე | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი გაუფასურებულ სესხებზე | |

| | | | | |
|---|------------------|----------------|------------------|-------------------|
| ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს | 3,139,841 | 928,536 | 3,191,377 | 7,259,754 |
| გადასვლა ეტაპი 1-ზე | - | - | - | - |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (415,905) | 415,905 | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (3,900,153) | (1,761,606) | 5,661,759 | - |
| ახალი სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფარვები | 4,828,331 | - | - | 4,828,331 |
| ჩამოწერები | (1,693,888) | (404,001) | (685,449) | (2,783,338) |
| საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები | - | - | (735,047) | (735,047) |
| საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები | 1,473,065 | 1,265,907 | 2,044,553 | 4,783,525 |
| ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერს | 3,431,291 | 444,741 | 9,477,193 | 13,353,225 |

სავალუტო რისკი

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის უმეტესი ფინანსური აქტივები დენომინირებულია ლარებში, ხოლო ვალდებულებები აშშ დოლარში.

| | ლარი | დოლარი |
|--------------------------------------|-------------------|--------------------|
| ფინანსური აქტივები | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,706,415 | 266,712 |
| გაცემული სესხები | 59,371,532 | - |
| სულ ფინანსური აქტივები | 61,077,947 | 266,712 |
| ფინანსური ვალდებულებები | | |
| მიღებული სესხები | 8,517,669 | 507,040 |
| სუბორდინირებული სესხები | - | 17,991,135 |
| საიჯარო ვალდებულებები | 105,859 | 1,104,350 |
| სხვა ვალდებულებები | 220,760 | - |
| სრული ფინანსური ვალდებულებები | 8,844,288 | 19,602,525 |
| ღია საბალანსო პოზიცია | 52,233,659 | -19,335,813 |

საკრედიტო რისკი

| | 30 ივნისი 2023 - არააუდირებული | 31 დეკემბერი 2022 აუდირებული | 31 დეკემბერი 2021 აუდირებული |
|--|--------------------------------|------------------------------|------------------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები (ნადდი ფულის გამოკლებით) | 1,973,127 | 1,383,154 | 4,266,053 |
| გაცემული სესხები | 59,371,532 | 56,513,261 | 46,324,013 |
| საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა | 61,344,659 | 57,896,415 | 50,590,066 |

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD (დეფოლტის ალბათობა)-ში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 2,3%-ით, რაც შეადგენს 322,538/ (322,538) ლარს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 2%-ით, რაც შეადგენს 323,436/ (323,436) ათას ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD (დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში)-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 10%-ით, რაც შეადგენს 549,467/(549,467) ლარს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 10%-ით, რაც შეადგენს 1,394,604/ (1,394,604) ათას ლარს.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2023 წლის 30 ივნისს (არააუდირებული მონაცემები) მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ფინანსური ვალდებულებები | 1-დან 5 | | |
|--|------------------|-------------------|-------------------|
| | 1 წლამდე | წლამდე | სულ |
| სხვა ვალდებულებები | 220,760 | - | 220,760 |
| საიჯარო ვალდებულებები | 591,830 | 618,379 | 1,210,209 |
| მიღებული სესხები | 8,024,709 | 1,000,000 | 9,024,709 |
| სუბორდინირებული სესხები | 826,879 | 17,164,256 | 17,991,135 |
| სრული ფინანსური ვალდებულებები 2023 წლის 30 ივნისს | 9,664,178 | 18,782,634 | 28,446,813 |

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ფინანსური ვალდებულებები | 1-დან 5 | | |
|---|-------------------|-------------------|-------------------|
| | 1 წლამდე | წლამდე | სულ |
| სხვა ვალდებულებები | 331,281 | - | 331,281 |
| საიჯარო ვალდებულებები | 925,342 | 1,462,384 | 2,387,726 |
| მიღებული სესხები | 9,286,683 | 498,358 | 9,785,041 |
| სუბორდინირებული სესხები | 2,127,772 | 22,014,633 | 24,142,405 |
| სრული ფინანსური ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბერს | 12,671,078 | 23,975,375 | 36,646,453 |

10.2.1 იმ მნიშვნელოვანი ფაქტორების, მათ შორის მნიშვნელოვანი მოვლენების ან განვითარების ტენდენციების აღწერა, რომელიც მატერიალურ გავლენას ახდენს ემიტენტის საოპერაციო შემოსავალზე.

2023 წელს ემისიის მომენტამდე მსგავს მოვლენას/განვითარების ტენდენციებს ადგილი არ ჰქონია.

10.2.2 თუ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილია დიდი ცვლილებები წმინდა გაყიდვებში ან შემოსავლებში, ამ ცვლილებების მიზეზების აღწერა.

2022 წელს სრული შემოსავლის საგრძნობი ზრდა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- **პორტფელის ხარისხის გაუმჯობესება:** სასესხო პორტფელი წინა წლებთან შედარებით გახდა უფრო კონსერვატიული. დაიწია LTV განაკვეთმა და ასევე სესხის გაცემისას კლიენტის საკრედიტო რეიტინგის მიხედვით სესხი აღარ გაიცემა ე.წ. გაშავებულ და დაბალი კატეგორიის კლიენტებზე. ამ ყველაფერმა გამოიწვია უმოქმედო სესხების შემცირება.

- **სასესხო პორტფელის ზრდა:** 2021 წელთან შედარებით 2022 წელს სასესხო პორტფელი მიახლოებით 10მლნ ლარით გაიზარდა, რამაც ასევე განაპირობა შემოსავლის ზრდა.

- **საპროცენტო ხარჯის შემცირება:** მიღებულ სახსრებზე საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 24% დან 12% მდე, რამაც გამოიწვია წელიწადში დაახლოებით 2,5 მლნ ლარის დანაზოგი.


- **ლარის კურსის გამყარება:** 2022 წელს ლარის კურსი დოლართან მიმართებაში საგრძნობლად გამყარდა, რამაც გამოიწვია აშშ დოლარში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების შემცირება და საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალის შემცირება, რაც კომპანიის მოგების მაჩვენებელზე დადებითად აისახა 3 მლნ ლარის ოდენობით.

- **საოპერაციო ხარჯები:** პორტფელის ხარისხის გაუმჯობესება და მოცულობის ზრდასთან ერთად საოპერაციო ხარჯები 2022 წლის შედეგების მიხედვით არ გაზრდილა, პირიქით კომპანიამ მოახდინა გარკვეული დანახარჯების ოპტიმიზაცია.


კაპიტალიზაცია და დავალიანება

10.3 ემიტენტის დაფინანსების სტრუქტურის აღწერა ცხრილის სახით, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია მისი კაპიტალის, ასევე გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებების შესახებ.

კომპანიის ვალდებულებების განაწილება წლების მიხედვით



კომპანიის 2022 წლის ვალდებულებების განაწილება



ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

| | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---------------------------------------|------------------|----------------------|-------------------|
| ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 16,191,255 | 17,191,255 |
| დამფუძნებელთან ოპერაცია | - | -2,413,259 | -2,413,259 |
| სულ სრული შემოსავალი | - | 2,189,755 | 2,189,755 |
| ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 15,967,751 | 16,967,751 |
| დამფუძნებელთან ოპერაცია | - | 3,828,403 | 3,828,403 |
| სულ სრული შემოსავალი | - | 3,301,541 | 3,301,541 |
| ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 23,097,695 | 24,097,695 |
| დამფუძნებელთან ოპერაცია | - | 8,362,475 | 8,362,475 |
| სულ სრული შემოსავალი | - | 3,301,541 | 3,301,541 |
| ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს | 1,000,000 | 31,460,170 | 32,460,170 |
| სულ სრული შემოსავალი | - | 3,895,637 | 3,895,637 |
| აუდიტის შესწორება | - | 194 | 194 |

ბალანსი 2023 წლის 30 ივნისს
(არააუღირებული)

1,000,000

35,356,001

36,356,001

10.3.1 თითოეული დაფინანსების წყაროსთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საკონტრაქტო და ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა, წლიური პროცენტი, ნარჩენი ძირი და დარიცხული პროცენტი, გრაფიკის ტიპი, უზრუნველყოფები და კოვენანტები; ინფორმაციის არსებითობიდან გამომდინარე, წლიური პროცენტი შესაძლოა გამჟღავნებული იყოს ჯამურად.

მიღებული და სუბორდინირებული სესხები

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული სესხები 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით (არააუღირებული მონაცემები):

| | | | | | 30 სექტემბერი 2023 | |
|---------------------|--|----------------------|---|---------------|---------------------------|---------------------------|
| | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | დამატებითი ინფორმაცია | ვალუტა | სესხის ძირი | დარიცხული პროცენტი |
| ადგილობრივი ბანკი 1 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 7.5% | 25-მაი-24 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს გადახდით | ლ | 4,500,000 | 11,546 |
| ადგილობრივი ბანკი 2 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 6.5% | 27-ივნ-24 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს გადახდით | ლ | 3,000,000 | 5,507 |
| ადგილობრივი ბანკი 2 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 6.5% | 27-სექ-24 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს გადახდით | ლ | 1,000,000 | 1,370 |
| ევროკრედიტი + | 20% | 26-იან-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს გადახდით | ლ | 1,368,517 | 35,974 |
| | | | | | 9,868,517 | 54,396 |

შემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით (არააუღირებული მონაცემები):

| | | | | | 30 სექტემბერი 2023 | |
|---------------------------|-----------------------------|----------------------|------------------------------|---------------|---------------------------|---------------------------|
| | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | დამატებითი ინფორმაცია | ვალუტა | სესხის ძირი | დარიცხული პროცენტი |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 1) | 20% | 1-დეკ-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის | ლ | 3,444,773 | 115,140 |

| | | | | | | |
|------------------------------|-----|-----------|--|---|-------------------|----------------|
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 2) | 20% | 1-დეკ-24 | ბოლოს გადახდით არაუზრუნველყო ფილი პერიოდის ბოლოს | ლ | 3,444,773 | 90,917 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 3) | 20% | 12-მარ-26 | ბოლოს გადახდით არაუზრუნველყო ფილი პერიოდის ბოლოს | ლ | 3,957,613 | 132,282 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 4) | 20% | 1-ივნ-26 | ბოლოს გადახდით არაუზრუნველყო ფილი პერიოდის ბოლოს | ლ | 3,830,827 | 128,044 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 5) | 20% | 1-მაი-28 | ბოლოს გადახდით არაუზრუნველყო ფილი პერიოდის ბოლოს | ლ | 2,581,347 | 86,281 |
| | | | | | 17,259,332 | 552,664 |

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| მსესხებელი | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | დამატებითი ინფორმაცია | ვალუტა | 31 დეკემბერი 2022 | |
|---------------------|---|------------------|---|------------|-------------------|-----------------------|
| | | | | | სესხის ძირი | დარიცხული პროცენტი |
| ადგილობრივი ბანკი 1 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 7.5% | 23-მაი-23 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | ლ | 4,500,000 | 12,347 |
| ადგილობრივი ბანკი 2 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 6.5% | 27-ივნ-23 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | ლ | 3,000,000 | 7,192 |
| ადგილობრივი ბანკი 2 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 6.5% | 26-სექ-23 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | ლ | 1,000,000 | 2,397 |
| ევროკრედიტი + | 12% | 26-იან-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 493,331 | 681 |

| | |
|------------------|---------------|
| 8,993,331 | 22,617 |
|------------------|---------------|

შემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| მსესხებელი | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | დამატებითი ინფორმაცია | ვალუტა | 31 დეკემბერი 2022 | |
|--------------------------|----------------------|---------------|---|------------|-------------------|--------------------|
| | | | | | სესხის ძირი | დარიცხული პროცენტი |
| ევროკრედიტ + (სუბროდ. 1) | 12% | 1-დეკ-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 3,536,120 | 4,650 |
| ევროკრედიტ + (სუბროდ. 2) | 12% | 1-დეკ-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 3,536,120 | 4,650 |
| ევროკრედიტ + (სუბროდ. 3) | 12% | 2-დეკ-26 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 4,062,560 | 5,343 |
| ევროკრედიტ + (სუბროდ. 4) | 12% | 1-ივნ-26 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 3,932,411 | 5,171 |
| ევროკრედიტ + (სუბროდ. 5) | 12% | 1-მაი-27 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 2,649,800 | 3,485 |
| | | | | | 17,717,011 | 23,299 |

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| მსესხებელი | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | დამატებითი ინფორმაცია | ვალუტა | 31 დეკემბერი 2021 | |
|---------------------|--|---------------|---|------------|-------------------|--------------------|
| | | | | | სესხის ძირი | დარიცხული პროცენტი |
| ადგილობრივი ბანკი 1 | სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 7.5% | 02-ივნ-23 | უზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | ლ | 3,777,514 | 46,417 |
| ევროკრედიტ + | 12% | 26-იან-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 4,865,673 | 17,586 |
| | | | | | 8,643,187 | 64,003 |

შემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| მსესხებელი | საპროცენტი განაკვეთი | დაფარვის ვადა | დამატებითი ინფორმაცია | ვალუტა | 31 დეკემბერი 2021 | |
|---------------------------|-------------------------|---------------|---|------------|-------------------|--------------------|
| | | | | | სესხის ძირი | დარიცხული პროცენტი |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 1) | 12% | 1-დეკ-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 4,053,844 | 15,993 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 2) | 12% | 1-დეკ-24 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 4,053,844 | 15,993 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 3) | 12% | 2-დეკ-26 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 4,657,359 | 18,374 |
| ევროკრედიტი + (სუბროდ. 4) | 12% | 1-ივნ-26 | არაუზრუნველყოფილი პერიოდის ბოლოს დაფარვით | აშშ დოლარი | 4,508,156 | 16,304 |
| | | | | | 17,273,203 | 66,664 |

არაფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები)

დეტალები სხვადასხვა საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში „ემიტენტის“ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებზე, მათ შორის, მატერიალურ არაფინანსურ კოვენანტებზე, მოცემულია წინამდებარე პროსპექტის 8.3.1.4. ქვეპუნქტში.

10.3.2 წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს 90 დღეზე უფრო ადრინდელი. გარდა ამისა ეს მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო 2 აუდიტებული წლისთვისაც. იმ შემთხვევაში, თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე 90 დღის მანძილზე ემიტენტის კაპიტალიზაციისა და დავალიანების პოზიციაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, უნდა მოხდეს დეტალების აღწერა და ცვლილებების ჩვენება.

აღნიშნულ პერიოდში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილება.

10.3.3 თუ ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ვერ აკმაყოფილებს სასესხო კონტრაქტის პირობებს, არღვევს კოვენანტებს უნდა მოხდეს ამ ფაქტის გამჟღავნება, ასევე მიეთითოს ინფორმაცია ამ კონტრაქტის დეტალების და პრობლემის გადაჭრის გზის შესახებ (რესტრუქტურირაცია).

მსგავს შემთხვევას არ აქვს ადგილი.

10.3.4 მითითება იმის შესახებ, მოხდა თუ არა ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობა.

მსგავს მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

10.4 ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა.

კომპანია, მენეჯმენტის განცხადების მიხედვით, მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში გეგმავს შემდეგი ფინანსური რესურსების მოზიდვას:

- წინამდებარე ემისიის პროსპექტის ფარგლებში აღნიშნულ ფინანსური რესურსი.

კომპანიას ჩვეულებრივის საქმიანობის პირობებში, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მუდმივად სჭირდება სასესხო რესურსის მოზიდვა. მომავალში სასესხო რესურსების მოზიდვა, კომპანიის განცხადებით, იქნება წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

10.5 ემიტენტის ფულადი ნაკადების ოდენობისა და წყაროების აღწერა საფინანსო, საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან გამომდინარე.

ფულადი ნაკადების მოძრაობა

| | 30 ივნისი 2023 არააუდი რებული | 31 დეკემბერი 2022 აუდირებუ ლი | 31 დეკემბერი 2021 აუდირებუ ლი | 31 დეკემბერი 2020 აუდირებუ ლი |
|--|--|--|--|--|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან: | | | | |
| მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე | 4,936,212 | 8,964,046 | 4,474,587 | 2,201,992 |
| ცვლილებები: | | | | |
| საპროცენტო შემოსავალი | -193,571 | -753,254 | -1,357,249 | -1,852,283 |
| საპროცენტო ხარჯი | 873,629 | 104,304 | -1,439,410 | 691,794 |
| სესხის გაუფასურების ხარჯი | 3,385,126 | 5,847,897 | 2,122,766 | 332,974 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 426,680 | 859,810 | 841,852 | 897,600 |
| წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან | -554,795 | -2,926,176 | -517,262 | 2,621,479 |
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებამდე | 8,873,281 | 12,096,627 | 4,125,284 | 4,893,556 |
| მოძრაობა საბრუნავ საშუალებებში: | | | | |
| გაცემული სესხები | -6,052,032 | -15,295,516 | -13,765,937 | 2,061,684 |
| სხვა აქტივები | -134,190 | -433,408 | -32,728 | 37,742 |
| საგადასახო აქტივები/ (ვალდებულებები) | 391,295 | 20,811 | 224,668 | 506,442 |
| სხვა ვალდებულებები | -110,280 | 63,121 | -318,439 | -165,825 |

| | | | | |
|---|------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| გადავადებული საგადასახო აქტივები/ (ვალდებულებები) | -1,847,000 | -1,825,817 | -192,402 | |
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგრამდე | 1,121,074 | -5,374,182 | -9,959,554 | 7,333,599 |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | -84,811 | -118,751 | -45,505 | -84,358 |
| წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | -84,811 | -118,751 | -45,505 | -84,358 |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან | | | | |
| სესხების მიღება | 0 | 13,677,075 | 14,791,406 | 1,100,000 |
| სესხების გადახდა | -29,889 | -10,107,656 | -1,195,496 | -8,352,162 |
| საიჯარო ვალდებულებები | -407,355 | -911,678 | -952,022 | -871,989 |
| ტრანზაქციები დამფუძნებლებთან | | | | -370,341 |
| წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან | -437,244 | 2,657,741 | 12,643,888 | -8,494,492 |
| წმინდა ფულადი სახსრების ზრდა ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 599,019 | -2,835,192 | 2,638,829 | -1,245,251 |
| უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე | -9,046 | -47,707 | -59,757 | 159,358 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს | 1,973,127 | 1,383,154 | 4,266,053 | 1,686,981 |

ფულადი ნაკადების საგრძნობი ცვლილება საოპერაციო საქმიანობიდან 2022 წელს გამოწვეულია სასესხო პორტფელის ზრდით და სესხების გაუფასურების ხარჯის შემცირებით რამაც სხვა ცვლილებებთან ერთად ჯამურად გამოიწვია ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობიდან დაახლოებით 8 მლნ ლარით ზრდა 2021 წელთან შედარებით.

ასევე აღსანიშნავია რომ 2021 წელთან შედარებით 2022 წელს მოხდა ფულადი ნაკადების ფინანსური საქმიანობიდან შემცირება დაახლოებით 10 მლნ ლარით რაც გამოწვეულია 2021 წელში მიღებული სესხების საგრძნობი ზრდით რაც 2022 წელს აღარ მომხდარა.

ჯამურად 2022 წელს მოხდა წმინდა ფულადი სახსრების შემცირება დაახლოებით 2.8 მლნ ლარით და წლის ბოლოსთვის კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები გაუტოლდა დაახლოებით 1.4 მლნ ლარს.

10.6 ინფორმაცია 8.5.2. პუნქტში განხილული სამომავლო ინვესტიციებისთვის საჭირო სავარაუდო რესურსების შესახებ.

არ არის რელევანტური (იხ. სექცია 8.5.2).

11 მარეგულირებელი გარემო.

11.1 ემიტენტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა, ასევე ინფორმაცია ნებისმიერი სამთავრობო, ეკონომიკური, ფისკალური ან მონეტარული პოლიტიკის, ან იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც მატერიალური გავლენა მოახდინეს ან შეუძლიათ მოახდინონ ემიტენტის ოპერაციებზე.

მიკროსაფინანსო სექტორი რეგულირდება შემდეგი კანონებითა და ნორმატიული აქტებით:

| კანონის/რეგულაციის დასახელება | თარიღი | ბოლო ცვლილება |
|---|---------|---------------|
| საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ | 09/2009 | 11/2022 |
| საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ | 07/2006 | 11/2022 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე | 05/2016 | 06/2018 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე | 02/2020 | 12/2022 |
| საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე | 08/2018 | 11/2022 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე | 02/2018 | 04/2020 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ | 04/2018 | 12/2020 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე | 04/2018 | 12/2020 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ | 07/2018 | 10/2019 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე | 07/2018 | არ აქვს |
| ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე | 03/2021 | 10/2022 |
| ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 03/2020 | 12/2022 |

საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ ძალაში შევიდა 2006 წელს. ამ კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დაარეგისტრიროს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 1 მილიონი ლარია. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას განუსაზღვროს საზედამხედველო კაპიტალი და აუკრძალოს გარკვეული საქმიანობები. ასევე, უკანასკნელი ცვლილების თანახმად, კანონში ჩაიწერა შესაძლო მხარეები, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ მსესხებლის შესახებ ინფორმაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მაქსიმუმ 100,000 ლარამდე მოცულობის სესხები გასცენ როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებს. მეორე მხრივ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ დეპოზიტების მიღება ნებისმიერი წყაროდან, თუმცა დასაშვებია სახსრების მოზიდვა სესხების სახით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ სესხების გაცემა და მიღება ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, ინვესტირება ფასიან ქალაქებში, სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება, ვალუტის გადაცვლის და ფულადი გზავნილების სერვისებისა და სხვა ფინანსური სერვისების შესრულება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ ობლიგაციების და თამასუქების გამოშვება, რეალიზაცია და გამოსყიდვა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ სხვა ბიზნეს საწარმოებში წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს.

კანონის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება; რომელიც ნასამართლევია იყო ეკონომიკური დანაშაულისთვის; წარსულში იყო ბანკის ან სხვა საფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი და მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად დააზარალა/გააკოტრა ეს ორგანიზაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი არ შეიძლება ჩართული იყოს სხვა ბანკების, მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ან საკრედიტო კავშირების მენეჯმენტში ან ფლობდეს მათ წილებს.

პირს ეკრძალება იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის 10%-ზე მეტი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია ტერორიზმის დაფინანსებისათვის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წილის (>10%) პოტენციურმა მყიდველმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს განაცხადი და მოთხოვნილი დოკუმენტები. საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას წილის მიყიდვაზე იღებს 15 სამუშაო დღის ვადაში.

ბრძანების თანახმად, რომელიც 2012 წელს შევიდა ძალაში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დაარეგისტრიროს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, გაუუქმოს მას რეგისტრაცია, ზედამხედველობა გაუწიოს და დააკისროს მას ჯარიმა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ოპერირება შეუძლია საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმატებით რეგისტრირების შემდეგ. საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრირების შესახებ აქვეყნებს 45 სამუშაო დღის ვადაში. გარდა ამისა, განმცხადებელს დამატებით ეძლევა 30 დღე საჭირო შესწორებების შესატანად. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან, სათავო ოფისსა და ყველა ფილიალში დაამონტაჟონ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

მიკროსაფინანსო კომპანიები ვალდებული არიან, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ თვიური ანგარიშგება და გამოაქვეყნონ კვარტალური ანგარიშგება საკუთარ ვებ-გვერდზე არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2016 წელს ძალაში შევიდა სპეციალური ბრძანება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსების რისკთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც 2017 წლიდან

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან წელიწადში ორჯერ წარადგინონ ანგარიში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შესახებ; ანგარიშში უნდა იყოს ინფორმაცია კლიენტების მოქალაქეობის, გარიგებების, მაღალი რისკის მატარებელი სესხების და კლიენტების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მფლობელების, უცხოეთში ფილიალების/შვილობილი ორგანიზაციების და სხვა საკითხების შესახებ.

თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვერ წარადგენს ზემოთ მითითებულ ანგარიშებს ან არ შეასრულებს სხვა მოთხოვნებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დააჯარიმოს იგი ან გაუქმოს მას რეგისტრაცია. 2018 წლის აპრილში ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა ახალი ბრძანება მიკროსაფინანსო კომპანიების ლიკვიდაციის წესთან დაკავშირებით, რომელიც საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ დაუნიშნოს ლიკვიდატორი.

2017 წლის იანვრიდან ყველა საკრედიტო ინსტიტუტს მოეთხოვება, რომ მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდეს კრედიტის 100%-ს, ხოლო წლიური საჯარიმო სანქცია არ აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირი თანხის 150%-ს.

2018 წლის ივლისში კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა შემცირდა 50%-მდე, ხოლო საჯარიმო სანქციების მაქსიმალური წლიური ჯამური მოცულობა კრედიტის ნარჩენი ძირი თანხის 100%-მდე. საქართველოს ეროვნული ბანკი მონიტორინგს უწევს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ამ მოთხოვნების შესრულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2017 წლის იანვარში შეტანილი ცვლილების თანახმად, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100,000 ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოეშობა ამ ნაწილის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100,000 ლარზე ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს აღნიშნული ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.

მეორე რეგულაცია, რომელიც 2017 წლის იანვარში შევიდა ძალაში, ეხებოდა მთავრობის ე.წ. „ლარიზაციის“ პროგრამას. რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე 100,000 ლარამდე ოდენობის ნებისმიერი სესხი გაცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში. 2018 წელს აღნიშნული ზღვარი 200,000 ლარამდე გაიზარდა.

2018 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა 2 ახალი ბრძანება. პირველი ბრძანება შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციასა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესს, ხოლო, მეორე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას.

მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც ძალაში 2019 წლის იანვრიდან შევიდა, შეეხება პასუხისმგებლიან დაკრედიტებას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ სხვა სუბიექტებს დაევალებათ ინდივიდებზე სესხების გაცემა მხოლოდ გარკვეული მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის: სესხის გამცემ სუბიექტებს დაეკისრათ ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობის შესწავლის ვალდებულება (გარდა სესხის რესტრუქტურის/რეფინანსირების შემთხვევებისა), ასევე, დებულების შემდგომი დამატებით, მათ მიეცათ უფლება სესხის გაცემის პროცესში გამოეყენებინათ მხოლოდ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდოლოგიები. გარდა ამისა, სესხებზე, რომლებზეც ვრცელდება დებულების მოთხოვნები, დამტკიცდა სესხის

უზრუნველყოფისა და მომსახურების კოეფიციენტები. სესხის მომსახურების კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

| ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი | არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტრაქტო შენატანების შემთხვევაში | ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტრაქტო შენატანების შემთხვევაში |
|-------------------------------------|--|--|
| <1000 | 20% / 25% | 25% / 35% |
| >=1000-2000< | | 35% / 45% |
| >=2000-4000< | 25% / 30% | 45% / 55% |
| >=4000 | 30% / 35% | 50% / 60% |

თუმცა, 2020 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალი რეგულაცია მიიღო, რომლითაც:

- სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

| ყოველთვიური წმინდა შემოსავალი (ლარი ან მისი ეკვივალენტი უცხოური ვალუტით) | სესხი უცხოური ვალუტით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შემოსავალიც იმავე ვალუტაშია) | სესხი ლარით (ან უცხოური ვალუტით თუ მსესხებლის შემოსავალი იმავე ვალუტაშია) |
|--|---|--|
| <1,500 | 20% | 25% |
| >=1,500 | 30% | 50% |

- კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუწესდათ კორპორაციული მართვის მოთხოვნები, კერძოდ, „დაცვის სამი ხაზის“ (ბიზნესის ხაზი, რისკების მართვის ფუნქცია და შიდა აუდიტი) პრინციპების გამოყენებით, დაევალებათ რისკების მართვა და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების უზრუნველყოფა.

ასევე, 2019 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუწესდათ კაპიტალის კოეფიციენტების ლიმიტები, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №143/04 ბრძანების მიხედვით. ლიმიტები შემოღებულია ორი მიდგომით, სტანდარტული და არასტანდარტული. სტანდარტულის მიხედვით, კომპანიის კაპიტალის კოეფიციენტი უნდა იყოს >=18%-სა, ხოლო არასტანდარტულის შემთხვევაში – >=24%-სა. სტანდარტულ და არასტანდარტულ მიდგომებს განასხვავებს საზედამხედველო კაპიტალის თუ რა წილს შეადგენს ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები. თუ კომპანიის მიერ ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები, მათ შორის ობლიგაციებით მოზიდული სახსრები საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე ნაკლებია, მაშინ კომპანია ხვდება სტანდარტულ ლიმიტებში, ხოლო, თუ საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს აჭარბებს აღნიშნული წყაროებიდან მოზიდული სახსრები, მაშინ არასტანდარტულ ლიმიტებში.

გარდა უშუალოდ მიკროსაფინანსო სექტორისათვის დამახასიათებელი რეგულაციებისა, ემიტენტის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი საკანონმდებლო ჩარჩო:

ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები

ემისიის შედეგად, კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და შესაბამისად, მასზე სრულად გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით მსგავსი სუბიექტებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები.

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა სასესხო ფასიანი ქაღალდები ან რომლის სასესხო ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროოს:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან; ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმო აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და შეზღუდვებს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, ემიტენტი ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი ადარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო

შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადანდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, დამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6-ე პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

მეწარმეთა შესახებ კანონი

2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა კორპორაციული ურთიერთობები და შესაბამისად, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს კომპანიის ყოველდღიურ მართვასა და ფუნქციონირებაში. კერძოდ:

1. გაჩნდა სადამფუძნებლო შეთანხმების ცნება და კანონის შესაბამისად განახლებულ/დამტკიცებულ წესდებასთან ერთად, იგი სავალდებულო სარეგისტრაციო დოკუმენტია;
2. აიკრძალა ერთნაირი ან მსგავსი დასახელების ორი სუბიექტის რეგისტრაცია;

3. დაწესდა რეგულაციები საქმიანი წერილისა და ვებ-გვერდის თაობაზე და განისაზღვრა, რომ კომპანიის ყველა საქმიანი წერილი, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს მითითებას კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდის, მისამართის და საფირმო სახელწოდების თაობაზე;
4. მეწარმეებთან საკომუნიკაციოდ და ელ. სერვისების მისაწოდებლად მარეგისტრირებელმა შექმნა ელ. პორტალი. ელექტრონულ მისამართად უწოდებენ ამ ელ. პორტალზე არსებულ მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდს, რომელზედაც შესაძლოა განხორციელდეს ოფიციალური შეტყობინებები;
5. დირექტორის ცნება აღარ გვხვდება. მის ნაცვლად კი გაჩნდა ტერმინი - ხელმძღვანელი ორგანო/ხელმძღვანელი პირი. მოხდა მნიშვნელოვანი დაკონკრეტება ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობის ნაწილში;
6. სიახლეს წარმოადგენს ასევე სასამსახურო ხელშეკრულება. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშნის შესახებ (რაც საკმარისია ხელმძღვანელი პირისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მისანიჭებლად) - პარალელურად მპს / სს / კოოპერატივის და ხელმძღვანელ პირს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება. ასეთ ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები;
7. დაწესდა ახალი შეზღუდვა დივიდენდის განაწილებაზე: დივიდენდის პარტნიორებზე განაწილება დაუშვებელია, თუ დიდია ალბათობა, რომ ამის შედეგად მპს მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში ვერ შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების ჩვეულებრივი ან/და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შესრულებას. ასევე დაუშვებელია დივიდენდის პარტნიორებზე განაწილება, თუ ამის შედეგად მპს-ს აქტივები ვეღარ დაფარავს ვალდებულებებსა და განთავსებული კაპიტალის ოდენობას;
8. საკანონმდებლო დონეზე იქნა შემოღებული საზოგადოებისგან პარტნიორის გასვლისა და პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა.

გადახდისუნარიობა

საქართველოში საწარმოთა (გარდა კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების და სადაზღვევო კომპანიების) გადახდისუნარიობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, კერძოდ 2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ. ახალი კანონით ჩნდება კრიზისში მყოფი საწარმოების ეფექტიანი და ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული რესტრუქტურისაციის ახალი შესაძლებლობები.

კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიუღწევლობის შემთხვევაში - გადახდისუნარიობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით. ახალი კანონი ორიენტირებულია მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობაზე, გადახდისუნარიობის მასის შენარჩუნება - გაზრდაზე და მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარ მოპყრობაზე. კანონის შესაბამისად „ობლიგაციების“ ინვესტორები ჩაითვლებიან არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად, ყოველგვარი პრეფერენციის გარეშე და დაკმაყოფილების მხრივ განთავსდებიან მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორთა რიგში.

აღსანიშნავია, რომ კანონი ეხება სუბიექტთა შეზღუდულ წრეს და თავისი სფეროდან გამორიცხავს კომერციულ ბანკებს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს, რომელთა გადახდისუნარიობის საკითხსაც სპეციალური კანონმდებლობა აწესრიგებს. შესაბამისად, ზოგადად, სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების გადახდისუნარიობას აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა და მასზე არ ვრცელდება კანონი რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი.

თუმცა, არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ვაკუუმი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადახდისუნარიობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ პროცესს არ აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა. თუმცა, არსებობს სასამართლო პრაქტიკა, როდესაც სასამართლომ უარი თქვა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუნარიობის პროცედურის გახსნაზე იმ მოტივით, რომ იგი სების ზედამხედველობას დაქვემდებარებული რეგულირებული სუბიექტია და შესაბამისად, ჩაითვალოს, რომ მასზე არ უნდა გავრცელდებოდეს ჩვეულებრივი სამეწარმეო სუბიექტებისთვის შექმნილი წესები.

12 ინფორმაცია ტენდენციების შესახებ.

12.1 პროდუქციის წარმოების, გაყიდვებისა და მარაგების, დანახარჯებისა და გასაყიდი ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი ტენდენციები ფინანსური წლის ბოლოდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე.

არ არის რელევანტური მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის.

12.2 არსებობის შემთხვევაში, ბოლო აღწერილი ანგარიშგებების თარიღიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე ემიტენტის/მისი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში და პერსპექტივებში გამოვლენილი მატერიალური უარყოფითი ცვლილებების აღწერა.

აღნიშნულ პერიოდში მატერიალურ უარყოფით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

12.3 ინფორმაცია უკვე ცნობილი ტენდენციების, გაურკვევლობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე სულ მცირე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში.

მიკრო და მაკროეკონომიკურმა ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე.

13 მოგების პროგნოზი და ვარაუდები.

13.1 თუ ემიტენტი აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების მაჩვენებლებს, ეს მაჩვენებელი უნდა ჩართოს რეგისტრაციის დოკუმენტში. ის უნდა იყოს გარკვეული და არაორაზროვანი და უნდა მოიცავდეს იმ ძირითად დაშვებებს, რომელიც ემიტენტმა გამოიყენა მოგების პროგნოზირებისთვის.

ა) ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს დაშვებები და ფაქტორები, რომლებზეც კომპანიის მენეჯმენტს, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ და ფაქტორები, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელი არიან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან.

ბ) დაშვებები უნდა იყოს ინვესტორთათვის გასაგები, დასაბუთებული, კონკრეტული და ზუსტი.

გ) ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმ განუსაზღვრელ მოვლენებზე, რომლებმაც შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინონ პროგნოზირებულ შედეგზე.

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებულ მოგებასა და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

13.2 მითითება, რომ:

ა) მოგების პროგნოზირებისთვის გამოყენებული აღრიცხვის მეთოდები შეესაბამება ემიტენტის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკასა და აღწერილ დაშვებებს.

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებულ მოგებასა და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

ბ) მოგების საპროგნოზო მაჩვენებლები მომზადებულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაღარიბისობის პრინციპით.

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებულ მოგებასა და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

14 მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები;

14.1 ქვემოთ ჩამოთვლილი პირების სახელები, იურიდიული მისამართები და ფუნქციები:

ა) მმართველი ორგანო

კომპანიის მმართველო ორგანოებია: (ა) აქციონერთა საერთო კრება; (ბ) სამეთვალყურეო საბჭო; და (გ) დირექტორები.

სააქციო საზოგადოება „მისო ევრო კრედიტი“ წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს „მისო ევრო კრედიტი“-ს გარდაქმნის (სამართლებრივი ფორმის ცვლილება) გზით, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ მეწარმე სუბიექტს და არის შპს „მისო ევრო კრედიტი“-ს უფლებამონაცვლე.

„კომპანიის“ საქმიანობის საგანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება. „კომპანიას“ უფლება აქვს, მათ შორის და არა მხოლოდ:

- შექმნას ფილიალები, წარმომადგენლობები, საინვესტიციო, სადაზღვეო კომპანიები;
- განახორციელოს ფულადი გზავნილები;
- განახორციელოს დაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
- განხორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები, მათ შორის, მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამომშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;
- განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ნებადართულია „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით.

საზოგადოების მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, საზოგადოების დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო.

ა. საერთო კრება და აქციონერები

აქციონერთა საერთო კრება წარმართავს საზოგადოების საქმიანობას. საზოგადოების აქციონერთა მორიგი საერთო კრება ტარდება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე აქციონერ(ებ)ი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე აქციონერ(ებ)ი. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მოიწვევა მესამე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე აქციონერ(ებ)ის რაოდენობის მიუხედავად. საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- ა. მიიღოს ცვლილებები „კომპანიის“ წესდებაში;
- ბ. მიიღოს გადაწყვეტილება „კომპანიის“ რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ;
- გ. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);
- დ. მიიღოს გადაწყვეტილება მოგების განაწილების შესახებ;
- ე. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;
- ვ. დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- ზ. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- თ. მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით.

ბ. სამეთვალყურეო საბჭო

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო იქმნება 3 წევრის შემადგენლობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის საზოგადოების დირექტორები. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ირჩევს აქციონერთა კრება 3 წლის ვადით. წევრებს უფლებამოსილება უგრძობდებათ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. განმეორებით ჩატარებული სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: ამირამ შარაბი (თავმჯდომარე), ემილ ბუდილოვსკი (თავმჯდომარის მოადგილე) და მაია ხელაძე (დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე).

ამირამ შარაბი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ამირამ შარაბს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ფინანსურ, ლოჯისტიკის, აუდიტისა და უძრავი ქონების სექტორებში. 2006 წლიდან წინამდებარე პერიოდამდე, ამირამ შარაბი წარმოადგენდა Zuk Group-ის ფინანსურ დირექტორსა და დირექტორთა საბჭოს წევრს, რაც მოიცავს, Zuk Group-ის შვილობილი კომპანიების ზედამხედველობას, რომლებიც ჩართული არიან ფინანსურ, ძვირფასი ქვებით ვაჭრობისა და უძრავი ქონების სექტორებში. 1994 წლიდან 2006 წლამდე, ის ასევე იკავებდა მმართველ პოზიციებს AGISH group-ში შემავალ კომპანიებში, როგორცაა AGISH INTERNATIONAL FORWARDING LTD, AGISH INTERNATIONAL FORWARDING LTD, AGISH MARINE INSURANCE LTD. და ა.შ. მისი მრავალპროფილიანი გამოცდილება მოიცავს ასევე აუდიტსაც, ის 1987 წლიდან 1993 წლამდე იკავებდა აუდიტორისა და შემდგომ, მენეჯერის პოზიციას BRIGHTMAN ALMAGOR & CO (ამჟამად Deloitte)-ში. ამირამ შარაბი ფლობს ორმაგი ბაკალავრის ხარისხს თელ-ავივის უნივერსიტეტიდან (Tel Aviv University) და ბარ-ილანის უნივერსიტეტიდან (Bar Ilan University), ასევე, ფლობს CPA-ს სტატუსს. 2018 წლიდან ამირამ შარაბი იკავებს სს „მისო ვერო კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას.

ემილ ბუდილოვსკი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ემილ ბუდილოვსკის სტრატეგიული და ფინანსური მენეჯმენტის სექტორში 19 წლიანი გამოცდილება აქვს. წლების განმავლობაში, იგი სხვადასხვა კომპანიაში იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის, ასევე საოპერაციო დირექტორის თანამდებობებს. ემილ ბუდილოვსკის განათლება მიღებული აქვს ისრაელში, კერძოდ კვლევის აკადემიური მენეჯმენტის კოლეჯსა და თელ-ავივის უნივერსიტეტში, საიდანაც იგი ფლობს მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში.

მაია ხელაძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი (აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე). მაია ხელაძეს ფინანსურ სექტორში 25 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. წლების განმავლობაში, იგი იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას, მათ შორის, ბიზნეს განვითარების დირექტორის, საბანკო ბარათების სამმართველოს უფროსის, ციფრული არხების განვითარებისა და სერვისის მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას. მაია ხელაძე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ბაკალავრსა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს. ამჟამად, იგი წარმოადგენს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტობის კანდიდატს. მისი პროფესიული საქმიანობის პარალელურად, მაია ხელაძე ეწევა აკადემიურ საქმიანობას, და გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.

სამეთვალყურეო საბჭო:

- ა. ახორციელებს კონტროლს დირექტორების საქმიანობაზე, შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- ბ. იწვევს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, აგრეთვე რიგგარეშე კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
- გ. ნიშნავს და უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გამოიწვიოს დირექტორები, ასევე მათთან დადოს და შეწყვიტოს ხელშეკრულებები, დაადგინოს დირექტორების უფლებამოსილების ფარგლები;
- დ. უფლებამოსილია, გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- ე. ამოწმებს წლიურ ანგარიშებს და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას. ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის რომელიმე ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
- ვ. ამოწმებს მოგების განაწილების თაობაზე წინადადებას და ახორციელებს ქმედებას წინამდებარე წესდების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;
- ზ. განსაზღვრავს ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობას, ადგენს მათ საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპებს და წარუდგენს დასამტკიცებლად საერთო კრებას;
- თ. იღებს გადაწყვეტილებას ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყების ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე, ადგენს სამეურნეო პოლიტიკის ზოგად პრინციპებს;
- ი. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას, აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებას ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

გ. დირექტორები

საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრებათ დირექტორებს. 2021 წლის 30 ნოემბრის სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმის შესაბამისად, „კომპანიას“ ჰყავდა ორი დირექტორი,

რომლებიც თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებდნენ ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად. პროსპექტის ემისიის მომენტისთვის „კომპანიის“ დირექტორის თანამდებობებს იკავებენ მიხეილ ნონიკაშვილი და მაიკლ კაგანოვიჩი. ხოლო, 2023 წლის სექტემბრიდან „კომპანიის“ ფინანსური დირექტორის პოზიციას იკავებს ირაკლი გურგენიძე.

მიხეილ ნონიკაშვილს მენეჯმენტში, საბანკო და ფინანსურ ტექნოლოგიის (ე.წ. „ფინტექი“) სექტორში 23 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. იგი, როგორც დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა 2018 წლის ბოლოს. მიხეილ ნონიკაშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა არა ერთ კომპანიაში, მათ შორის, საქართველოს ბანკსა და ფინკა ბანკში. მიხეილ ნონიკაშვილი ფლობს მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში და ასევე წარმოადგენს ფილოსოფიის დოქტორანტობის კანდიდატს.

მაიკლ კაგანოვიჩს „ფინტექ“ სექტორში მუშაობის 22 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. იგი, „კომპანიის“ დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა 2021 წლის ბოლოს. წლების განმავლობაში, არა ერთ საერთაშორისო კომპანიაში იკავებდა მენეჯმენტის თანამდებობებს, კერძოდ აღმასრულებელი ფინანსური და საოპერაციო დირექტორის, ასევე ბუღალტრული მენეჯერის თანამდებობებს. მაიკლ კაგანოვიჩს დამთავრებული აქვს ისრაელის ბიზნესის მართვის კოლეჯი და ამავე კოლეჯიდან ფლობს მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში.

ირაკლი გურგენიძე, „კომპანიის“ ფინანსური დირექტორი, წარმოადგენს პროფესიონალ ფინანსისტს, რომლის 15 წლიანი გამოცდილება მოიცავს, როგორც საბანკო, მიკროსაფინანსო, აუდიტისა და წარმოების სექტორებს, ასევე 15მლნ აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო პორტფელის მართვას. ამასთან, ირაკლი გურგენიძე 2016 წლიდან იკავებდა მენეჯერულ პოზიციებს სხვადასხვა კომპანიებში, მათ შორის, ისეთ კომპანიებში, როგორიცაა შპს „ფორსაით ინვესტიმენტ გრუპი“, შპს „მისო სოლვა“, საკრედიტო ორგანიზაცია შპს „ლენდო“. 2019–2021 წლებში იკავებდა სს „მისო ევრო კრედიტის“ რეპორტიინგისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციას, ხოლო 2023 წლის სექტემბრიდან იკავებს სს „მისო ევრო კრედიტის“ ფინანსური დირექტორის პოზიციას. ირაკლი გურგენიძე ფლობს ორმაგი ბაკალავრის ხარისხს კავკასიის (CSB) და ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (GSU) და ამჟამად არის CFA II დონის კანდიდატი.

„კომპანიის“ დირექტორები უფლებამოსილი არიან „კომპანიის“ სახელით აქციონერთა საერთო კრების/სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე დამოუკიდებლად:

- ა. დაამტკიცოს საზოგადოების დოკუმენტები და საშტატო განრიგი;
- ბ. მიიღოს და გაათავისუფლოს სამუშაოდან საზოგადოების თანამშრომლები, წახალისოს და დასაჯოს ისინი;
- გ. დადოს გარიგებები და გასცეს მინდობილობები იმ საკითხებზე, რაც არ შედის აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში;
- დ. აიღოს და გასცეს სესხები;
- ე. აირჩიოს აუდიტორი;
- ვ. სამეთვალყურეო საბჭოს წარსადგენად მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების მიზნებისთვის;
- ზ. გახსნას და მართოს საზოგადოების საბანკო ანგარიშები;
- თ. მოახდინოს თანხის საჭიროებისამებრ გადარიცხვა და საბანკო ანგარიშებიდან გამოტანა;
- ი. შეიძინოს, გაასხვისოს და უფლებრივად დატვირთოს უძრავი ქონება შეუზღუდავი ოდენობით და დადოს შესაბამისი გარიგებები;
- კ. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების ფილიალების დაარსებასა და ლიკვიდაციის თაობაზე;
- ლ. დაინიშნოს და გამოიწვიოს სავაჭრო წარმომადგენლები (პროკურისტები);

- ბ. მიიღოს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად რეგისტრატორის მეშვეობით საზოგადოების აქციათა რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე გააფორმოს მის მიერ შერჩეულ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან სათანადო ხელშეკრულება და განსაზღვროს მისი პირობები;
- ბ. გამოსცეს საზოგადოების საორგანიზაციო-განმკარგულებელი ხასიათს დოკუმენტები.

ბ) 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერები;

| აქციონერის სახელი | საიდენტიფიკაციო მონაცემები | აქციების რაოდენობა | პროცენტული წილი კაპიტალში |
|-------------------------------|----------------------------|--------------------|---------------------------|
| ბენიმ მენი | 23673004 | 500 | 5.00% |
| გრენიკასი იოსეფ რეუვენ | 10947788 | 650 | 6.50% |
| Zuk China Stone Works Limited | 1574286 | 7,551 | 75.51% |
| D. Mody Properties LTD | 514223932 | 799 | 7.99% |

მომე ზუკი წარმოადგენდა „კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანია Zuk China Stone Works Limited-ის 100%-იანი მფლობელი პარტნიორი.

ზემოთხსენებული პირების გარდა კომპანიის კაპიტალში სხვა ფიზიკური/იურიდიული პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობენ 5%-ზე მეტს.

გ) ინფორმაცია 14.1. „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირებს შორის ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით.

ასეთი ნათესაური კავშირი ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრებს, ასევე, მმართველი ორგანოს წევრებსა და აქციონერებს შორის არ არსებობს.

14.2 14.1 „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი პირების შესაბამისი გამოცდილებისა შესახებ ინფორმაცია და შემდეგი მონაცემები:

ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე.

კომპანიის აქციონერები

ბატონი მომე ზუკ - რომელიც წარმოადგენდა ZUK CHINA STONE WORKS LIMITED-ის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამჟამად რეგისტრირებულია შპს ვ.გ.პ. „ჯორჯია ინვესტმენტს“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404851843) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად (დირექტორი).

ბატონი იოსეფ რეუვენ გრენიკასი - ამჟამად რეგისტრირებულია შპს „ევრო კრედიტ“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404915561), შპს ვ.გ.პ. „ჯორჯია ინვესტმენტს“-ისა (საიდენტიფიკაციო

ნომერი: 404851843) და შპს „ისრა-ჯორჯია ინვესტმენტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204559879) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად (დირექტორი).

ბატონი მენი ბენიმ - ამჟამად რეგისტრირებულია შპს „არქი ენერჯისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405060071) და შპს „იტონგ კაპიტალის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405135964) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად (დირექტორი). ის ასევე რეგისტრირებული იყო შპს „ვიუ პოინტისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205218833 იყო) და შპს „ბი ემ ჰოლდინგის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405488244) დირექტორად.

კომპანიის მენეჯმენტი

ემიტენტის დირექტორს, ბატონ მიხეილ ნონიკაშვილს დირექტორის თანამდებობა უკავია შპს „ავტოჰაბში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405188737).

ემიტენტის დირექტორი, ბატონი მაიკლ კაგანოვიჩი ამჟამად რეგისტრირებულია შპს „ავტოჰაბის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405188737) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად (დირექტორი).

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო

ბატონი ემილ ბუდილოვსკი - ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად (დირექტორი) ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად რეგისტრირებული არ არის (არ ყოფილა).

ბატონი ამირამ შარაბი - ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად (დირექტორი) ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად რეგისტრირებული არ არის (არ ყოფილა).

ქალბატონი მარია ხელაძე - ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად (დირექტორი) ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად რეგისტრირებული არ არის (არ ყოფილა).

ბ) არსებობის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის მანძილზე გამოვლენილი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტების შესახებ ინფორმაცია.

ასეთს ადგილი არ ჰქონია.

გ) არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე იმ კომპანიების გაკოტრების, ლიკვიდაციის შესახებ, რომელშიც ამ პირებს ეკავათ ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობები.

ასეთს ადგილი არ ჰქონია.

14.3 ინტერესთა კონფლიქტი.

14.3.1 ამ დანართის 14.1. „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი პირების კერძო და ემიტენტთან დაკავშირებულ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს შორის არსებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, ან იმის მითითება, რომ მსგავს კონფლიქტს ადგილი არ აქვს.

„კომპანია“ შპს „ევრო კრედიტ“-თან (შპს „ევრო კრედიტ“ წარმოადგენს ემიტენტთან დაკავშირებულ პირს, ორივე კომპანიას ჰყავს საერთო პარტნიორები: მათ შორის ZUK CHINA STONE WORKS LIMITED, რომელიც შპს „ევრო კრედიტ“-ის 80.01% წილის მესაკუთრეა) აქვს გაფორმებული სხვადასხვა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე სხვადასხვა თარიღებში „კომპანია“ შპს „ევრო კრედიტ“-სგან მიიღო ვადიანი არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხები, ჯამში 6,556,999 აშშ დოლარის ოდენობით. ხოლო „კომპანია“ და შპს „ევრო კრედიტ“-ს შორის არსებული საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში „კომპანიის“ არსებული არასუბორდინირებული დავალიანება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 182,580 აშშ დოლარს. აღნიშნულმა გარემოებებმა კი, შესაძლოა, შემდგომში გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი საერთო პარტნიორების, ერთის მხრივ, როგორც „ემიტენტის“ აქციონერებს და მეორეს მხრივ, როგორც შპს „ევრო კრედიტ“-ის პარტნიორების ინტერესებს შორის.

მაღლა ხსენებული გარემოებების გარდა, ამ დანართის 13.1. „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი პირების კერძო და ემიტენტთან დაკავშირებულ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს შორის სხვა პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ აქვს წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის.

14.3.2 ამ დანართის 14.1 პუნქტში ჩამოთვლილ პირებსა და ძირითად აქციონერებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის ნებისმიერი შეთანხმების აღწერა, რომლის შემდეგაც ამ დანართის 13.1. პუნქტში მითითებული ნებისმიერი პირი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წევრად.

მსგავს შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია.

14.3.3 ამ დანართის 14.1. პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიმართ არსებული შეზღუდვის დეტალები ემიტენტის ფასიან ქაღალდებში მათი წილების გასხვისებასთან დაკავშირებით.

მსგავს შეზღუდვას ადგილი არ აქვს.

14.4 ამ პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა და ე.წ. დამატებითი ბენეფიტები.

| (ლარი) | 2023 6 თვე | 2022 | 2021 | 2020 | 2019 |
|---|------------|---------|---------|---------|---------|
| დირექტორატის შრომის ანაზღაურება | 325,600 | 662,734 | 648,541 | 422,419 | 331,429 |
| სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურება | - | - | - | - | - |

15 მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა.

15.1 დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმდინარე კონტრაქტის ვადის ამოწურვის თარიღი და კომპანიაში მუშაობის პერიოდი. მათი ძირითადი საქმიანობის აღწერა.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა

საბჭოს წევრები აირჩევიან აქციონერთა საერთო კრების მიერ და მათთან ფორმდება შესაბამისი სასამსახურო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს საზოგადოებასა და წევრებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს და განსაზღვრავს თანამშრომლობის კორპორატიულ პირობებს. დღეის მდგომარეობით ბ-ნი ემილ ბუდილოვსკი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნისა და მათთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს, მაგრამ მათი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე. წევრების განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია, შესაბამისად სასამსახურო ხელშეკრულებაც ითვლება გაგრძელებულად, იქამდე სანამ აქციონერთა საერთო კრება სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის აღწერა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ძირითადი საქმიანობაა კომპანიის მენეჯმენტისთვის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა, სტრატეგიული გეგმების, წლიური ბიუჯეტის და ფინანსური ანგარიშგების განხილვა და დამტკიცება. ამასთან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ საბჭოს სხდომებში საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ საკითხებზე. ისინი უზრუნველყოფენ ძირითადი კორპორატიული ტრანზაქციებისა და ინვესტიციების განხილვასა და დამტკიცებას, აგრეთვე საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასა და აქციონერთა ინტერესების დაცვას. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც.

საქმიანობა აგრეთვე მოიცავს და არ შემოიფარგლება შემდეგით:

- მენეჯმენტის ზედამხედველობა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელი არიან აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის მუშაობის ზედამხედველობაზე და მონიტორინგზე. ისინი უზრუნველყოფენ კომპანიის ეფექტიან მართვას, მისი სტრატეგიული მიზნებისა და მოქმედი კანონებისა, თუ რეგულაციების შესაბამისად.
- კორპორატიული მმართველობა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადამწყვეტ როლს ასრულებენ საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის უზრუნველყოფაში. ისინი ადგენენ და ინარჩუნებენ შესაბამის მმართველობის სტრუქტურებს, პოლიტიკას და პროცედურებს, რათა ხელი შეუწყონ ორგანიზაციის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ეთიკურ ქცევას.
- სტრატეგია და დაგეგმვა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მონაწილეობენ კომპანიის სტრატეგიული გეგმებისა და ამოცანების შემუშავებასა და განხილვაში. რაც ხელს უწყობს კომპანიის საქმიანობის გრძელვადიანი მიმართულების ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს აქციონერებისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესებთან შესაბამისობას.
- რისკების მართვა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელი არიან კომპანიის რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე. ისინი აფასებენ და აკონტროლებენ ორგანიზაციის ძირითად რისკებს, უზრუნველყოფენ რისკების შემცირების შესაბამისი სტრატეგიების არსებობას და რისკის მართვის პროცესების ეფექტიანობას.
- ფინანსური ზედამხედველობა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები განიხილავენ და აკონტროლებენ კომპანიის ფინანსურ საქმიანობას, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებას და ბიუჯეტებს. ისინი უზრუნველყოფენ, რომ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება იყოს ზუსტი, სანდო და შესაბამისი მოქმედი ბუღალტრულ სტანდარტებთან
- მენეჯმენტის დანიშვნა და შეფასება: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, მონაწილეობენ აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის შერჩევაში, დანიშვნასა და შეფასებაში. ისინი აფასებენ უფროსი ხელმძღვანელების კვალიფიკაციას და საქმიანობას, ამტკიცებენ ძირითად დანიშვნებს და განსაზღვრავენ კომპენსაციის პაკეტებს.
- აქციონერებთან ურთიერთობა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება პასუხისმგებელი იყვნენ კომპანიის აქციონერებთან პოზიტიური ურთიერთობების შენარჩუნებაზე. ისინი

ურთიერთობენ აქციონერებთან, განიხილავენ მათ პრობლემებს და წარმოადგენენ მათ ინტერესებს საბჭოს სხდომებზე და სხვა შესაბამის შეხვედრებსა, თუ ფორუმებზე.

- შესაბამისობა და სამართლებრივი საკითხები: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ზედამხედველობენ ორგანიზაციის შიდა რეგულაციების შესრულებისა და გასატარებელი კორპორატიული პოლიტიკის პროცესს. ისინი უზრუნველყოფენ შიდა კონტროლისა და შესაბამისობის სისტემების არსებობას სამართლებრივი და მარეგულირებელი რისკების შესამცირებლად.
- საბჭოს მართვა და ეფექტურობა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ხელს უწყობენ საბჭოს საქმიანობის საერთო ეფექტიანობას. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საბჭოს სხდომებში, კომიტეტებსა და დისკუსიებში.

| | კომპანიაში მუშაობის გამოცდილება | კონტრაქტის ვადიანობა, წლები | კონტრაქტის ვადის გასვლის წელი |
|-----------------|---------------------------------|-----------------------------|-------------------------------|
| ემილ ბუდილოვსკი | 3 წელი | 3 წელი | 2026 |
| ამირამ შარაბი | 5 წელი | 3 წელი | 2026 |
| მაია ხელაძე | - | 3 წელი | 2026 |

დირექტორის უფლებამოსილების ვადა და საქმიანობის აღწერა

დირექტორი აირჩევა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მასთან ფორმდება შესაბამისი სასამსახურო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს და განსაზღვრავს თანამშრომლობის კორპორატიულ პირობებს. დღეის მდგომარეობით ბ-ნი მიხეილ ნონიკაშვილი და ბ-ნი მაიკლ კაგანოვიჩი იკავებს ემიტენტის დირექტორის პოზიციას.

აქვე, აღსანიშნავია, რომ „ემიტენტის“ სტრუქტურაში იგეგმება კორპორატიული ცვლილებები. აღნიშნული, ერთის მხრივ განპირობებულია კანონმდებლობის მოთხოვნით, რომ 2023 წლის ბოლომდე საწარმოებმა უზრუნველყონ სარეგისტრაციო მონაცემების 04.08.2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. გარდა ამისა, ბ-ნი ამირამ შარაბი, რომელიც ამჟამად იკავებს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას, გეგმავს მიმდინარე წლის ბოლომდე პენსიაში გასვლასა და ამგვარად, პოზიციის დატოვებას. შესაბამისად, „ემიტენტის“ აქციონერების გადაწყვეტილებით, მის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას დაიკავებს ბ-ნი მაიკლ კაგანოვიჩი. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციის დაკავებასთან ერთად, ბ-ნი მაიკლი გათავისუფლდება ამჟამად დაკავებული დირექტორის თანამდებობიდან, ვინაიდან „კომპანიას“ არ უდგას ორი დირექტორის არსებობის საჭიროება. კერძოდ, ცვლილებების შედეგად, ბ-ნი მაიკლი ჩაანაცვლებს ბ-ნ ამირამს ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოში, საბჭოს თავმჯდომარის პოზიციასზე, ხოლო დირექტორის პოზიციას კი, შესაბამისად, დაიკავებს მხოლოდ ბ-ნი მიხეილ ნონიკაშვილი. საბჭოს სხვა წევრების შემადგენლობასა და მათ მიერ დაკავებულ პოზიციებთან მიმართებით კი, ცვლილებები არ იგეგმება.

დამატებით, ბ-ნი მაიკლ კაგანოვიჩის კანდიდატურა, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, „ემიტენტის“ მხრიდან შეთანხმებულია საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

ზემოაღნიშნული ცვლილებების რეგისტრაციის მომენტისთვის ასევე „ემიტენტი“ მოახდენს მეწარმეთა შესახებ ახალ კანონთან კომპანიის შესაბამისობაში მოყვანას.

„ემიტენტი“ ზემოთ ხსენებული ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფას გეგმავს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

დირექტორის დანიშვნისა და მასთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს.

დირექტორს აქვს კომპანიის წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებები. დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ არის შეზღუდული. დირექტორს აქვს უფლებამოსილება აწარმოოს კომპანიის ყოველდღიური მმართველობა, მათ შორის, უფლებამოსილია აქციონერთა საერთო კრების/სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები გარკვეულ საკითხებზე კომპანიის სახელით.

| | კომპანიაში მუშაობის გამოცდილება | კონტრაქტის ვადიანობა, წლები | კონტრაქტის ვადის გასვლის წელი |
|--------------------|---------------------------------|-----------------------------|-------------------------------|
| მიხეილ ნონიკაშვილი | 5 წელი | უვადო | უვადო |
| მაიკლ კაგანოვიჩი | 4 წელი | უვადო | უვადო ⁶ |
| ირაკლი გურგენიძე | 1.5 წელი | 1 წელი | 2024 |

15.2 ინფორმაცია ემიტენტის აუდიტისა და ანაზღაურების კომიტეტების შესახებ, რომელიც მოიცავს კომიტეტის წევრების სახელებსა და კომიტეტის საქმიანობის აღწერას.

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია „ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შექმნილი ერთი სათათბირო კომიტეტი: აუდიტის კომიტეტი. ხსენებული კომიტეტების წევრებსა და ხელმძღვანელებს ნიშნავს, მათ ფუნქციებს განსაზღვრავს და შესაბამის შიდა სახელმძღვანელოებს ამტკიცებს „კომპანიის“ აქციონერთა საერთო კრება.

აუდიტის კომიტეტი

აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელსაც ჰყავს არანაკლებ 1 (ერთი) დამოუკიდებელი წევრი. მის ხელმძღვანელად ინიშნება აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და საქმიანობის სპეციფიკა განისაზღვრება აუდიტის კომიტეტის სახელმძღვანელოთი, რომელსაც ამტკიცებს აქციონერთა საერთო კრების „კომპანიის“ წესდების შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს: 1) სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ; 2) სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად წარუდგინოს საქმიანობის შესახებ ანგარიში და დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ; 3) გააკონტროლოს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთი აუდიტის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. მათ შორის, ზედამხედველობა გაუწიოს: ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს; ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას; გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით; დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის,

⁶ კომპანიის განცხადებით, კომპანიის აქციონერები გეგმავენ 2023 წლის ბოლოს, არაუგვიანეს 2024 წლის პირველი კვარტლის ბოლოსი, მაიკლ კაგანოვიჩი აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

„კომპანიის“ აუდიტის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი 3 (სამი) წევრისაგან:

- აუდიტის კომიტეტის წევრი: ემილ ბუდილოვსკი (ისრაელის მოქალაქე, პასპორტის ნომერი: 0-1136441-1, 39019543);
- აუდიტის კომიტეტის წევრი: ამირამ შარაბი (ისრაელის მოქალაქე; პასპორტის ნომერი: 0-5388748-5, 23326541);
- აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე: მაია ხელაძე (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01017021203).

15.3 კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა და პროსპექტის რელევანტურ ნაწილებზე მითითება.

2022 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც დამტკიცდა „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის №172/04 ბრძანებით. ამავე ბრძანების თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებმა ამ კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშგების პირველადად წარდგენა უნდა უზრუნველყონ 2023 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის, ამავე კოდექსით დადგენილი წესით.

კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანსა და გამოყენების სფეროს წარმოადგენს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის (შემდგომში - საწარმო) კორპორაციული მართვის პრინციპებისა და ანგარიშგების მოთხოვნების განსაზღვრა, რომელიც გაზრდის საწარმოების გამჭვირვალობის ხარისხს, აამაღლებს ინვესტორთა ნდობას საწარმოებისა და მათი მმართველი ორგანოს მიმართ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრისა და მთლიანი ფინანსური სექტორის მდგრადობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას. აღსანიშნავია, რომ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის ამოქმედებამდე, კანონმდებლობით კორპორაციული მართვის კოდექსის არსებობა მხოლოდ კომერციული ბანკებისთვის იყო დადგენილი. ახალი კოდექსით განისაზღვრა, რომ საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა ან მოთხოვნებთან შესაბამისობის ალტერნატივის წარმოდგენა თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურისა და ზომითი კატეგორიის გათვალისწინებით.

კორპორაციული მართვის კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას. კერძოდ, კოდექსის თანახმად, თითოეული საწარმოს მმართველობის პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს საქმიანობის პროფილს, მასშტაბს, კომპლექსურობას და უნდა გააჩნდეს საწარმოს შესაბამისი წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი; თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს; საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან, საიდანაც მინიმუმ 2 წევრი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრული დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს და სხვა.

„ობლიგაციების“ ემისიის შედეგად კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე გავრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N172/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი. შესაბამისად, ემიტენტს წარმოეშობა ვალდებულება, კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად მომზადებული წლიური ანგარიშგებები პირველად წარადგინოს 2023 წლის საანგარიშო წლისთვის.

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტრუქტურაზე შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ემისიის პროსპექტის 13.1 პუნქტში.

16 მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები).

16.1 ნებისმიერი პირის სახელი, რომელსაც 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილი აქვს ემიტენტის კაპიტალში, თითოეული ამ წილის ოდენობის დაკონკრეტებით.

| აქციონერის სახელი | საიდენტიფიკაციო მონაცემები | აქციების რაოდენობა | პროცენტული წილი კაპიტალში |
|-------------------------------|----------------------------|--------------------|---------------------------|
| ბენიშ მენი | 23673004 | 500 | 5.00% |
| გრენიკასი იოსეფ რეუვენ | 10947788 | 650 | 6.50% |
| დუანიას უილ | 21890360 | 200 | 2.00% |
| დუანიას ორენ აბრაჰამ | 29036517 | 300 | 3.00% |
| Zuk China Stone Works Limited | 1574286 | 7,551 | 75.51% |
| D. Mody Properties LTD | 514223932 | 799 | 7.99% |

მოშე ზუკი წარმოადგენდა „კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანია Zuk China Stone Works Limited-ის 100%-იანი მფლობელი პარტნიორი.

ზემოთხსენებული პირების გარდა კომპანიის კაპიტალში სხვა ფიზიკური/იურიდიული პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობენ 5%-ზე მეტს.

16.2 იმ ფაქტის დაკონკრეტება, აქვთ თუ არა განსხვავებული ხმის უფლებები 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს (პარტნიორებს).

ასეთ დიფერენცირებულ მიდგომას ადგილი არ აქვს.

16.3 ემიტენტის კაპიტალში 5%-ზე მეტი წილის პირდაპირი და არაპირდაპირი მაკონტროლებლები და მფლობელები, ამ კონტროლის აღწერა;

არ არის რელევანტური.

16.4 ემიტენტისთვის ცნობილი ნებისმიერი გარიგების აღწერა, რომელიც უკავშირდება ემიტენტის კონტროლის სტრუქტურაში სამომავლო ცვლილებებს.

მსგავსი გარიგების შესახებ არ არის ცნობილი.

17 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებულ პერიოდებსა და პროსპექტის შედგენის თარიღამდე პერიოდის მანძილზე ემიტენტსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული შემდეგი დეტალები:

ა) ტრანზაქციების ბუნებისა და ხასიათის აღწერა, რომლებიც ცალკე მდგომი ან ჯამურად მატერიალურია ემიტენტისთვის. როდესაც ამგვარი ტრანზაქციები არაა განხორციელებული სამართლიანი საბაზრო ფასით, შესაბამისი მიზეზების აღწერა. სესხებისა და გარანტიების შემთხვევაში უნდა მიეთითოს დარჩენილი ძირის ოდენობა.

კომპანიის განცხადებით, არასამართლიანი ფასით არ მომხდარა დაკავშირებულ მხარეებთან არც ერთი გარიგება 2021 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

| ფინანსური ანგარიშგების მუხლი (30.06.2023) | აქციონერები | ძირითადი მმართველი პირები | საწარმო ერთობლივი კონტროლის ქვეშ | სხვა |
|---|-------------|---------------------------|----------------------------------|-----------|
| მიღებული სესხები | - | - | 477,939 | - |
| სუბორდინირებული სესხები | - | - | 17,164,256 | - |
| საპროცენტო ხარჯი | - | - | (1,041,655) | - |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | - | (-365,590) | - | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | - | - | - | (220,000) |

ბ) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების აბსოლუტური ოდენობა ან მისი ემიტენტის საერთო ბრუნვასთან შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი.

| ფინანსური ანგარიშგების მუხლი (31.12.2022) | აქციონერები | ძირითადი მმართველი პირები | საწარმო ერთობლივი კონტროლის ქვეშ | სხვა |
|---|-------------|---------------------------|----------------------------------|-----------|
| მიღებული სესხები | - | - | 494,012 | - |
| სუბორდინირებული სესხები | - | - | 17,740,310 | - |
| საპროცენტო ხარჯი | - | - | (2,458,901) | - |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | - | (328,197) | - | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | - | - | - | (431,000) |

18 ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია.

18.1 წლიური ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები უკანასკნელი 2 წლისთვის.

თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

სრული შემოსავლების ანგარიშგება

იხილეთ ქვეთავი 10.2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

იხილეთ ქვეთავი 10.3

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

იხილეთ ქვეთავი 10.4

ფულადი ნაკადების მოძრაობა

იხილეთ ქვეთავი 10.6

18.2 ფინანსური ანგარიშგების საადრიცხვო თარიღის შეცვლის შემთხვევა

თუ ემიტენტმა შეიცვალა საადრიცხვო თარიღი, წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა ფარავდეს სულ მცირე 24 თვეს.

თუკი ემიტენტი ადებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

ემიტენტს არ შეუვლია ანგარიშგების საადრიცხვო თარიღი.

18.3 "საადრიცხვო სტანდარტი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად."

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

18.4 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

თუ ემიტენტი ამზადებს ორივეს - საკუთარ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ან ორივე მათგანი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ არის კონსოლიდირებული, რამდენადაც კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

18.5 წარდგენილი ფინანსური ინფორმაციით დაფარული პერიოდი.

18.5.1 ბოლო ფინანსური ანგარიშგების საადრიცხვო თარიღი არ უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილზე უფრო ადრინდელი:

ა) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 18 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს აუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას.

ბ) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 16 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს არააუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას.

„პროსპექტში“ წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

18.6 შუალედური და სხვა ფინანსური ინფორმაცია.

18.6.1 თუ ემიტენტის მიერ ხდება კვარტლური ან ნახევარწლიური ანგარიშგების გამოქვეყნება ბოლო აუდირებული ანგარიშგების თარიღის შემდეგ, ისინი უნდა შედიოდეს სარეგისტრაციო დოკუმენტში. თუ კვარტლური ან ნახევარწლიური ფინანსური ინფორმაცია აუდირებულია, უნდა მოხდეს მისი თან დართვა. თუ არ არის აუდირებული - მითითებულ უნდა იქნას ამის შესახებ.

კომპანია სებ-ის რეგულაციის მიხედვით აქვეყნებს აუდირებულ წლიურ და არააუდირებულ კვარტალურ ფინანსურ ანგარიშებს საკუთარ ვებ-გვერდზე: <https://eurocredit.ge/ka/finances>

18.6.2 თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე ბოლო აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ 9 თვე ან მეტია გასული, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასაც, რომელიც შესაძლოა არ იყოს აუდირებული (ეს ფაქტი უნდა მიეთითოს) და ასევე უნდა მოიცავდეს მიმდინარე ფინანსური წლის სულ მცირე პირველი 6 თვის მონაცემებს.

შუალედური ფინანსური ანგარიშგებები უნდა მოიცავდეს წინა წლის შესაბამისი პერიოდის შესადარის მონაცემებს და შედგენილი უნდა იყოს ფინანსური ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ 9 თვე ან მეტი არ არის გასული.

18.7 წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი

წლიური ფინანსური ანგარიშგებები შემოწმებულ უნდა იქნას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ის მომზადებული უნდა იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

თუ აუდიტის დასკვნა პირობითია, მოდიფიცირებული, უარყოფითი, უარი დასკვნაზე ან მოიცავს მნიშვნელოვანი გარემოების ხაზგასმას (emphasis of matter), უნდა მოხდეს ამგვარი უარის ან პირობების დეტალების და მათი მიზეზების ჩართვა პროსპექტის აღნიშნულ ნაწილში.

ამასთან, არსებობის შემთხვევაში, ამავე ნაწილში უნდა მოხდეს მითითება, თუ პროსპექტში წარმოდგენილი რა ინფორმაციის დადასტურება მოხდა აუდიტის მიერ, გარდა აუდირებული ფინანსური ანგარიშგებისა.

„კომპანიის“ 2019, 2020, 2021 და 2022 წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდირებულია. 2021 და 2022 წლის აუდიტის დასკვნა არის უპირობო. 2019 და 2020 წლის აუდირებულ ანგარიშგებები მოიცავდა აუდიტორის პირობით მოსაზრებას. დეტალები ინფორმაცია პირობითი მოსაზრებების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შესაბამის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

18.8 პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია.

ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში (მაგ: შერწყმა, შესყიდვა), ტრანზაქციის ეფექტის აღწერა ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე ფინანსურ შედეგზე იმ დაშვებით რომ ის მოხდა ანგარიშგების საწყისი ან საბოლოო თარიღისთვის.

ეს მოთხოვნა როგორც წესი, შესრუდება პროსპექტში დანართი ნ-ით განსაზღვრული პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაციის ჩართვით. ის იმავე სტანდარტებით უნდა იყოს მომზადებული, როგორც წლიური ფინანსური ანგარიშგებები.

„კომპანიას“ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის შესყიდვის ან გაერთიანების გარიგებაში, რის გამოც პრო-ფორმა ფინანსური მონაცემების საჭიროება არ არის.

18.9 დივიდენდების პოლიტიკა.

ემიტენტის დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე და კომპანიის ფინანსური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და წინამდებარე ემისიის პროსპექტის პირობების ფარგლებში.

18.10 სასამართლო პროცესები.

გარდა ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი წვრილმანი და ერთეული შემთხვევებისა, კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასამართლო დავები.

18.11 ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა.

ბოლო ფინანსური პერიოდის შემდეგ, რომლისთვისაც წარდგენილია აუდირებული ანგარიშგება ან შუალედური არააუდირებული ინფორმაცია, ემიტენტის ან მისი ჯგუფის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა, ან ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში - ამგვარი განაცხადი.

კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბრიდან 2023 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მდგომარეობით, სებ-ის ანგარიშგების თანახმად, საკუთარი წმინდა სესხების პორტფელი 58.0 მილიონი ლარიდან გაზარდა 59.8 მილიონ ლარამდე. იმავე პერიოდში, მთლიანი აქტივები გაიზარდა 62.2 მილიონი ლარიდან 63.5 მილიონ ლარამდე. აგრეთვე, კომპანიის ვალდებულებები იმავე პერიოდში შემცირდა 29.6 მილიონი ლარიდან 28.0 მილიონ ლარამდე. ხოლო იმავე პერიოდზე მთლიანი კაპიტალი გაიზარდა 32.7 მილიონი ლარიდან 35.5 მილიონ ლარამდე.

19 დამატებითი ინფორმაცია

19.1 კაპიტალი

19.1.1 პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია პროსპექტში წარმოდგენილი უახლესი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის:

განცხადებული კაპიტალის ჯამური ოდენობა; ამასთან, აქციის თითოეული კლასისთვის:

ა) გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობა;

ბ) გამოშვებული და ბოლომდე ანაზღაურებული ან გამოშვებული და ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა;

გ) აქციების ნომინალური ღირებულება;

დ) მათთან დაკავშირებული უფლებების, შეზღუდვების აღწერა.

2022 წლის 09 დეკემბრის ამონაწერის თანახმად, „კომპანიის“ კაპიტალი შეადგენს 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს, რომელიც დაყოფილია 10,000 (ათი ათასი) ცალ ჩვეულებრივ აქციად. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს, რომელთაგან წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ყველა არის ბოლომდე ანაზღაურებული და არ არსებობს მათთან დაკავშირებით არსებული უფლებები და ვალდებულებები.

19.1.2 იმ წილების რაოდენობა, საბალანსო ღირებულება და ნომინალი, რომლებსაც თავად ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ფლობს.

კომპანია არ ფლობს საკუთარ წილებს.

19.1.3 ინფორმაცია აქციონერების უფლებებთან დაკავშირებით, ასევე განცხადებულ მაგრამ ჯერ არ გამოშვებულ კაპიტალთან ან კაპიტალის სამომავლო გაზრდასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.

კომპანიას არ გააჩნია განცხადებული მაგრამ ჯერ არ გამოშვებული კაპიტალი ან კაპიტალის სამომავლო გაზრდასთან დაკავშირებული მიმდინარე ვალდებულებები.

20 მატერიალური ხელშეკრულებები.

პროსპექტის შედგენამდე 2 წლის განმავლობაში დადებული თითოეული კონტრაქტის პირობების მიმოხილვა, რომელიც უკავშირდება არსებით (მატერიალურ) ფაქტს და რომლის მხარეცაა ემიტენტი ან მისი ჯგუფის ნებისმიერი წევრი.

„კომპანიას“, თავისი ბიზნესოპერირების წარმატებული განხორციელებისათვის, გააჩნია რამდენიმე ბიზნეს-ურთიერთობა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რაც, ღირებულების მიუხედავად, მატერიალურად შესაძლოა იქნეს მიჩნეული. კერძოდ:

ხელშეკრულებები კომერციულ ბანკებთან - საკუთარი საქმიანობის ფარგლებში, საოპერაციო და სხვა საჭიროებებისათვის, „კომპანიას“ ადებული აქვს სასესხო ვალდებულებები საქართველოში მოქმედი

კომერციული ბანკებისაგან და ასევე კომპანიისგან შპს „ევრო კრედიტ+“. დღეის მდგომარეობით, „ემიტენტს“ გააჩნია სხვადასხვა მოცულობის სესხი, რომელთა ოდენობები და არსებითი პირობები მითითებულია წინამდებარე პროსპექტის პუნქტში 8.3. („ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა“). ასეთი სესხების აბსოლუტური უმრავლესობა გაცემულია საკრედიტო ხაზის ფორმით და მათი პირობები სტანდარტულია ბაზრისათვის. ხსენებული სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში „ემიტენტს“ ნაკისრი აქვს სხვადასხვა ტიპის კოვენანტები, რომელთა დეტალები ასევე მითითებულია პუნქტ 8.3.-ში.

20.1 ნებისმიერი სხვა კონტრაქტის მოკლე შინაარსი (რომელიც არ არის ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერაციების შედეგი), რომლითაც ემიტენტის ან მისი ჯგუფის ნებისმიერ წევრს ნაკისრი აქვს გარკვეული ვალდებულება ან მინიჭებული აქვს უფლება, რომელიც მატერიალურია პროსპექტის მომზადების თარიღისთვის/მატერიალურია ემიტენტისთვის ობლიგაციებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

მსგავს შეთანხმებებს ადგილი არ ჰქონია.

21 გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი.

21.1 იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია (რომლებზეც მითითება არის გაკეთებული) რეგისტრაციის დოკუმენტში; ასევე მითითება, თუ სად შეიძლება ამ დოკუმენტების გაცნობა ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით.

„კომპანია“ ამზადებს ყოველწლიურ, აუდიტორის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშს (მისი შენიშვნების ჩათვლით) („**აუდირებული ანგარიშგება**“), რომელიც აღწერს „კომპანიას“, მათ შორის, მის კაპიტალს, ოპერაციებს, ადმინისტრაციას, წესდებას, სამართლებრივ სტატუსს და მის ძირითად ფინანსურ პოლიტიკას. თითოეული „აუდირებული ანგარიშგება“ ასევე შეიცავს აუდიტორის მიერ შემოწმებულ უახლეს ფინანსურ ანგარიშებს.

„კომპანიის“ უახლესი „აუდირებული ანგარიშგება“ ითვლება წინამდებარე „პროსპექტის“ ნაწილად. „პროსპექტზე“ მითითება გულისხმობს წინამდებარე დოკუმენტს და ასევე ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, რომელიც მასში ჩართულია მითითების გზით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი დოკუმენტი ჩანაცვლებულია ან შეცვლილია სხვა უფრო ახალი დოკუმენტით, რომელიც, თავის მხრივ, მითითების გზით ჩართულია „ემისიის პროსპექტში“ და წარმოადგენს მის ნაწილს.

„პროსპექტში“ მითითების გზით ჩართული „აუდირებული ანგარიშგების“ ასლები შესაძლებელია ინახებოდეს „კომპანიასთან“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“.

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები:

- კომპანიის წესდება (გამოქვეყნებულია საჯარო რეესტრის პორტალზე npr.gov.ge: NAPR სისტემაში ძებნის განაცხადის ნომერი: B18210576);
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B23145981);
- ხელშეკრულება „კალკულაციისა და გადახდის აგენტსა“ და „ემიტენტს“ შორის.

წინამდებარე პროსპექტში მითითებული სხვა ხელშეკრულებები/გარიგებები, გარდა მადლა ჩამოთვლილი დოკუმენტებისა (კომპანიის წესდება, ამონაწერი, ხელშეკრულება „კალკულაციისა და გადახდის აგენტსა“ და „ემიტენტს“ შორის), წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც ემიტენტი არ გეგმავს.

წინამდებარე 21.1. თავში მითითებული „კალკულაციისა და გადახდის აგენტსა“ და „ემიტენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების გაცნობა არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის შესაძლებელია შემდეგი სახით: i) გაეცნოს ხელშეკრულების ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „ემიტენტის“ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ წინამდებარე პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ან (ii) „ემიტენტისგან“ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისგან“ მოითხოვოს აღნიშნული ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით მისთვის მიწოდება, ასეთი მოთხოვნის დაყენებიდან 10 (ათი) „სამუშაო დღის“ ვადაში.

არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

22 მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

22.1 განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ, რაც გულისხმობს ემიტენტის მიერ გაკეთებულ დათქმას იმის თაობაზე, რომ საბრუნავი კაპიტალი საკმარისია ემიტენტის მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად ერთი წლის მანძილზე ან, თუ არ არის საკმარისი, როგორ აპირებს საჭირო დამატებითი საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფას.

კომპანიის ინფორმაციით მისი საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 13.9 მლნ ლარი. კომპანიის მენეჯმენტის შეხედულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მიხედვით არსებული საბრუნავი კაპიტალი შემდეგი ერთი წელი საკმარისია კომპანიის საქმიანობის დასაფინანსებლად.

22.2 შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“. „კომპანია“ და „განთავსების აგენტი“ დაკავშირებული პირები არ არიან და არ არსებობს მათ შორის რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი.

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის კალკულაციისა და გადახდის აგენტს წარმოადგენს სს „პაშა ბანკი საქართველო“. ამავდროულად, სს „პაშა ბანკი საქართველოსა“ და ემიტენტს შორის არსებობს მიმდინარე საკრედიტო ურთიერთობა. კერძოდ, 2021 წლის 02 აგვისტოს სს „პაშა ბანკი საქართველოსა“ და ემიტენტს შორის გაფორმდა საკრედიტო მომსახურებაზე გენერალური ხელშეკრულება (ასევე მის ფარგლებში სხვა დაკავშირებული ხელშეკრულებები), რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრა 20 წელი, ხოლო ზღვრულ ლიმიტად - 10,000,000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით (დეტალები საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებზე მოცემულია წინამდებარე პროსპექტის 8.3.1.4. ქვეპუნქტში). ამასთან, ხსენებული საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში სს „პაშა ბანკი საქართველოს“ მხრიდან ემიტენტის მიმართ დაწესებულია რიგი სახელშეკრულებო კორპორატიული, ფინანსური და საოპერაციო კოვენანტები და შეზღუდვები. აღნიშნულმა გარემოებებმა კი, შესაძლოა, შემდგომში გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ემიტენტი და კალკულაციისა და გადახდის აგენტი დაკავშირებული პირები არ არიან და არ არსებობს მათ შორის რაიმე სხვა სახის ინტერესთა კონფლიქტი,

23 ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს.

23.1 შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება.

23.2 კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება.

ობლიგაციების გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

23.3 ინფორმაცია რეგისტრატორის შესახებ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/კ 205156374), საქართველო, ქ. თბილისის, ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზ., №74ა; ტელ : (+995 32) 2 225 351; ელფოსტა: info@usr.ge.

23.4 ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი.

„ობლიგაციები“ გაცემულია არამატერიალური რეგისტრაციას დაქვემდებარებული ფორმით, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება, მათი გამოშვების თარიღისათვის - 2023 წლის 1 დეკემბერს (**“გამოშვების თარიღი”**), შეადგენს 50,000 აშშ დოლარს.

23.5 გადახდისუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში.

გაკოტრების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რიგითობა შემდეგია: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები; დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის,

გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ კატეგორიას მიეკუთვნება „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის ქვეთავში 11.1. „გადახდისუნარობა“.

23.6 იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა.

23.6.1 ვალდებულებები.

(ა) **უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა:** მანამ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის გადაუხდელი, „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“, რაიმე „დავალიანების“ უზრუნველყოფის მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა წარმოშვან ან არ უნდა დაუშვან ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ არსებულ ან შემდგომში შექმნილ აქტივებზე, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებებისა“.

(ბ) **საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და იურიდიული ნამდვილობა:**

„ემიტენტმა“ და მისმა თითოეულმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიამ“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების გამოსაყენებლად, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, დადასტურების, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების“ კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(გ) **შერწყმა:** „ემიტენტმა“, „ობლიგაციების მფლობელების“ წინასწარი თანხმობის გარეშე, არ უნდა:

(x) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით) ან

(y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შერწყას რამდენიმე კომპანია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

(i) ზემოთ (x) ან (y) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე:

A. წარმოქმნილი ან დარჩენილი პირი ან მიმღები („უფლებამონაცვლე პირი“) იქნება „ემიტენტი“, ან ასეთი „უფლებამონაცვლე პირი“, თუ ის არ არის „ემიტენტი“, სრულად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ უფლებებსა და ვალდებულებებს; და

B. „უფლებამონაცვლე პირი“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) შეინარჩუნებს ან მიიღებს „ემიტენტის“ ყველა უფლებასა და ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს ყველა მნიშვნელოვანი სამთავრობო ნებართვიდან, ლიცენზიიდან, თანხმობიდან

და ავტორიზაციიდან, და დაიცავს ყველა მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნებს თითოეულ იმ სახელმწიფოში, სადაც ის ოპერირებს.

- (ii) აღნიშნულიდან გამომდინარე არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“.
- (iii) ზემოთ (x) ან (y) ქვეპუნქტში მითითებულ შესაბამის ტრანზაქციას არ ექნება არსებითად უარყოფითი გავლენა „ემიტენტის“ ან „უფლებამონაცვლე პირის“ უნარზე დროულად გადაინაღოს ამ „ობლიგაციების“ ან ნებისმიერი სხვა „ფინანსური ვალდებულების“ ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებები, ან „კომპანიის“ პერსპექტივასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

დ) **განკარგვები:**

- (i) თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „პირობებით“, „პირობა 23.6.1. (გ)“-ის (შერწყმა) დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავიანთ შემოსავლებს ან აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაყიდვიან, გადასცემენ, გასცემენ იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგავენ ნებისმიერ „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიისა“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 10%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით.
- (ii) წინამდებარე „პირობა 23.6.1. (დ)“ არ გამოიყენება (i) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, რომელიც ხორციელდება „ემიტენტსა“ და მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას შორის, თუ „ემიტენტი“ წარმოადგენს ამგვარი შვილობილი კომპანიის მათორიტარ პარტნიორს/აქციონერს, (ii) აქტივების ან ქონების (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) ნებისმიერ გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან სხვაგვარ განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფის საშუალებას“; (iii) ინვენტარიდან აქტივების იჯარით გაცემასთან, გაყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში, ან (iv) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო აქტივებთან ან შემოსავლებთან ან მათ ნაწილთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ან ფულადი დავალიანების, აქტივებით უზრუნველყოფილი ფინანსირების ან მსგავსი ფინანსირების საგანს, და როცა ყველა გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, ყველა იმ აქტივების ან შემოსავლების ღირებულებასთან ერთად, რომელიც „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებების“ განმარტების შესაბამისად წარმოადგენს ნებადართულ „უზრუნველყოფის საშუალებას“, დროის არც ერთ მონაკვეთში არ აღემატება „ემიტენტის“ აქტივების 10%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით.
- (iii) წინამდებარე პირობის (i) და (ii) პუნქტის მიუხედავად, „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში არ განკარგავენ პრობლემურ სასესხო პორტფელს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 15%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით. ამ პუნქტის

მიზნებისთვის, „პრობლემურ სესხად“ ჩაითვლება ნებისმიერი სასესხო დავალიანება, სადაც ვადაგადაცილება აჭარბებს 180 (ას ოთხმოცი) დღეს.

(გ) **გადასახადების და სხვა მოთხოვნების დაფარვა:** „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ დადგენილ ვადაში გადაიხდიან ნებისმიერ „გადასახადს“, რომელიც დარიცხულია „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიზნებისათვის „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ არ არიან ვალდებული გადაიხადონ ნებისმიერი ამგვარი „გადასახადი“ ან მსგავსი მოთხოვნები (ა) თუ მათი ოდენობა, გამოყენებადობა ან ნამდვილობა კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია შესაბამისი რეზერვები „IFRS“-ის შესაბამისად, ან (ბ) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ „გადასახადთან“ ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება მთლიანი აქტივების 1%-ს (ერთი პროცენტი) (დაანგარიშებული „IFRS“-ის შესაბამისად).

(ვ) დავალიანებები:

- i „ემიტენტი“ არ დაუშვებს, რომ მან („ემიტენტმა“) ან/და „ემიტენტის“ „არსებითი შვილობილ(ებ)მა“, შექმნას, იკისროს, პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა სახით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის „დავალიანებაზე“, თუ:
 - ა. ამგვარი „დავალიანება“ გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან
 - ბ. „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილ(ებ)ი კომპანი(ებ)ის“ კონსოლიდირებული „წმინდა ფინანსური ვალდებულებები“, ახალი ვალდებულების აღების მომენტში (მას შემდეგ რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ ვალდებულებას) გაყოფილი მთლიან კაპიტალზე უახლესი ფისკალური კვარტლისთვის აღემატება 3-ის 1-ზე განაყოფს შემდგომი წლებისათვის ობლიგაციების ვადის გასვლამდე. აღნიშნული კოეფიციენტის დათვლის მიზნებისთვის, ემიტენტის სუბორდინირებული სასესხო ვალდებულებები ჩაითვლება მთლიან კაპიტალში.
- ii. ნებადართული დავალიანების შექმნა არ ეხება „ემიტენტსა“ და მის „შვილობილ კომპანი(ებ)ას“ შორის და „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიების“ შორის „დავალიანებ(ებ)ს“.

(ზ) ნაღდი ფულის ნაშთის შენარჩუნება:

„ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ ნაღდი ფულის ნაშთი ნებისმიერი თარიღისთვის შეადგენდეს ობლიგაციების მომსახურებისთვის საჭირო ნახევარწლიური საპროცენტო ხარჯის მინიმუმ 100%-ს.

(თ) გამოსყიდვის ოფცია:

ობლიგაციების ემისიის თარიღიდან 24 (ოცდაოთხი) თვის შემდეგ, „ემიტენტს“ ექნება უფლება გამოისყიდოს ობლიგაციები სრულად. აქვე, გამოსყიდვის ოფცია განხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

- ა) გამოსყიდვის ოფციის ფასი შეადგენს „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 102.0%-ს დამატებული შესაბამისი ფასის ფაქტობრივად გადანდის თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი;

ბ) გამოსყიდვის ოფციის ამოქმედება შესაძლებელია „ემიტენტის“ მიერ ინვესტორებისთვის „გამოსყიდვის ოფციის შეტყობინების“ გაგზავნის გზით;

გ) გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების შემთხვევაში, ემიტენტი ვალდებულია გამოსყიდვის ოფციის ფასი გადაიხადოს (განათავსოს ფინანსური წარმომადგენლობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ სეგრეგირებულ ანგარიშზე) შესაბამისი გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

(ი) ფინანსური ინფორმაცია:

- i „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 მაისისა, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ და შემოწმებული კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების ასლებს ამგვარი ფინანსური წლისათვის, აღნიშნულთან დაკავშირებით „აუდიტორების“ შესაბამის დასკვნასთან ერთად.
- ii „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ შემოწმებულ (არააუდირებული) კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს ექვსი თვისათვის და ყოველი კვარტლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ შემოწმებულ (არააუდირებული) ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს სამი თვისათვის.
- iii „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ ფინანსური წლის ნებისმიერი კვარტლის დასრულების შემდეგ მოამზადოს და გაამჟღავნოს უკანასკნელი 3 თვის არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება, საქართველოს ეროვნული ბანკის „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ მიხედვით.
- iv თუ „ობლიგაციების მფლობელები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ს, დასაბუთებული გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციების მფლობელებს“ უფლება აქვთ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნაპარაუდევ „დეფოლტის შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად, გონივრულ ვადაში მიაწოდოს იმ „ობლიგაციების მფლობელებსა“ და „ნომინალურ მფლობელებს“, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობით მოთხოვნა. ამგვარი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელის“ და/ან „ნომინალური მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ მორიგი გადაწყვეტილების ფორმით.

(კ) დაიცვას ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ფინანსური აღრიცხვიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩოთი განსაზღვრული სხვა მიმდინარე თუ პერიოდული საანგარიშგებო ვალდებულებები.

- (ლ) **დაზღვევის შენარჩუნება:** „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“ თავიანთი ქონება, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას, უნდა დააზღვიონ იმ მზღვეველებთან, რომლებსაც „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას.
- (მ) **გამოსაყენებელი კანონმდებლობის დაცვა:** „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ ნებისმიერ დროს ყველა ღონეს მიმართავენ, რათა სრულად დაიცვან გამოსაყენებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის, სამთავრობო ორგანოების დირექტივები და რეგულაციები, რომლის დარღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებს.
- (ნ) **საქმიანობის ცვლილება:** „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვალოს ობლიგაციების „გამომშვების და განთავსების თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.
- (ო) **აკრძალული გადახდები:**
- (I) ემიტენტმა არ უნდა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილებმა“ არ) (ო.1) განაცხადოს დივიდენდების გაცემის თაობაზე, ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, აქციების გამოსყიდვის ან სხვა სახით) მათ შორის დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების ფარგლებში, გარდა ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ სასარგებლოდ დივიდენდების გაცემისა და მათი განაწილებისა (ხოლო, თუ „შვილობილი“ არ არის ემიტენტის 100%-იანი „შვილობილი“, სხვა აქციონერების სასარგებლოდაც მათი წილის პროპორციულად); ან (ო.2) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან სხვაგვარად მოახდინოს საკუთარი სააქციო კაპიტალის ან აქციების შექენა (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის გადახდისა, რომელიც გაცემულია ემიტენტის ან მისი სხვა „შვილობილის“ მიერ, ემიტენტის „შვილობილი კომპანიისათვის“. ნებისმიერი ამგვარი ქმედება რომელიც განსაზღვრულია პუნქტებით (ო.1) ან (ო.2) მიიჩნევა „აკრძალულ გადახდად“. ამასთან, ზემოაღნიშნული ქმედებები და ტრანზაქციები ჩაითვლება „აკრძალულ გადახდად“ თუ:
- (i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“;
- (ii) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:
- (ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50 (ორმოცდაათი) პროცენტს (რომელიც გამოითვლება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით“ და დაკორექტირებული იქნება საკურსო სხვაობით გამოწვეული შემოსავლით/ზარალით) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2022 წლის 31 დეკემბერს და სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და
- (ბ) ემიტენტის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აქციების გამომშვებიდან ან რეალიზაციიდან და ამავე პერიოდში ემიტენტის ნებისმიერი „ვალდებულების“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული წმინდა შემოსავლების 100 პროცენტს.
- (II) 23.6.1. (ო) | პირობა არ გავრცელდება ისეთ „აკრძალულ გადახდაზე“ „გამომშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში, რომლის ჯამური მოცულობა არ აღემატება 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათას) ლარს და ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის არ დამდგარა და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ და ამგვარი „აკრძალული გადახდა“ არ უნდა დაფინანსდეს „ვალდებულებით.“

23.6.2 დეფოლტის შემთხვევა.

თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მითითებული შემთხვევა (თითოეული **“დეფოლტის შემთხვევა”**):

(ა) გადახდის ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხისა და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით, გადახდის დღეს და ამგვარი თარიღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს ნებისმიერი სხვა ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, მათ შორის, წინამდებარე ემისიის პროსპექტის გათვალისწინებულ ფინანსურ შეზღუდვებსა და დათქმებს, და დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია ან თუ შესაძლებელია, დარღვევა არ გამოსწორდება „ემიტენტისთვის“ გაგზავნილი შეტყობინებიდან 30 დღეში; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი (Cross-Default): (i) სესხად აღებული ან მოძიებული ფულადი სახსრებისთვის ან მათ მიმართ ნებისმიერი სხვა მოქმედი ან სამომავლო „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ „დავალიანება“ გადასახდელი ხდება (ან შესაძლებელია გახდეს განცხადებული) მისი გადახდის მითითებულ ვადაზე ადრე ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის შედეგად (შესაბამისი დეფინიციის შესაბამისად), ან (ii) ნებისმიერი ასეთი „დავალიანება“ არ იქნა გადახდილი დროულად ან, კონკრეტულ შემთხვევაში, ნებისმიერი თავდაპირველი შესაბამისი დამატებითი პერიოდის განმავლობაში, ან (iii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს მის მიერ მოქმედი ან სამომავლო „დავალიანებისგან“ გამომდინარე გადასახდელი ნებისმიერი გადასახდელი თანხის დროულად დაფარვას, იმ პირობით, რომ (i) შესაბამისი „დავალიანების“ ჯამური ოდენობა, რომელსაც შეესაბამება წინამდებარე 23.6.2.(გ) პირობით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევა უტოლდება ან აღემატება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ ოდენობას ნებისმიერ სხვა ვალუტაში (რომელსაც „ობლიგაციების მფლობელები“ განსაზღვრავენ გონივრულად) და (ii) რომელსაც „ემიტენტი“ და „არსებითი შვილობილი კომპანია“, კეთილსინდისიერი და საამისოდ გონივრული საფუძვლის არსებობის გარეშე, არ აღიარებს გადასახდელ ვალდებულებად; ან

(დ) გადახდისუნარობა:

(i) ნებისმიერი შემდეგი ვითარების დადგომა:

(i) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანია“ დაიწყებს ლიკვიდაციის ან გადახდისუნარობის პროცედურას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „არსებითი შვილობილი კომპანიის“ ლიკვიდაცია მოხდება „ემიტენტთან“ ან სხვა „არსებითი შვილობილი კომპანიასთან“ შერწყმის შედეგად; ან (ii) ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ საწინააღმდეგოდ სარჩელის აღძვრა გადახდისუნარობის პროცედურის დაწყებისთვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი სარჩელი არ დარჩება განუხილველი/უარი არ იქნება ნათქვამი ასეთი სარჩელის მიღებაზე მისი აღძვრიდან 90 დღის განმავლობაში; ან (iii) „ემიტენტი“ და მისი კრედიტორები აწარმოებენ მოლაპარაკებას, საქმის სასამართლოს გარეთ გადაწყვეტის თაობაზე, „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე მორიგების მიზნით; ან (iv) ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ მიმართ ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას;

(ii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს ან შეუძლებელია მისთვის საკუთარი ვალების დაფარვას ჩვეულებრივი წესით, მათი გადახდის ვადაში; ან

(iii) „ემიტენტის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან გაუქმების ნებისმიერ გეგმას; ან

(ე) დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები: “ემიტენტის” ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ ფულადი თანხის დაკისრების თაობაზე სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი აღმასრულებელი ორგანოების იმ დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების, განჩინებების და ბრძანებების საერთო ოდენობა აღემატება „ჯგუფის“ საერთო აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ თანხას ნებისმიერ სხვა ვალუტაში ან ვალუტებში, ან ნებისმიერი ასეთი დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების შედეგად (a) “ემიტენტის” ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ მართვა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცვალა ან “ემიტენტის” ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ შემცირდა, (b) განხორციელდა “ემიტენტის” ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების 20 (ოცი) პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

(ვ) აღსრულება: “ემიტენტის” ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის აღსრულების პროცედურა, ან აღმასრულებელი (კრედიტორი) მოიპოვებს მფლობელობას ან გაყიდის “ემიტენტის” ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ ქონებაზე/ქონებას, შემოსავალზე/შემოსავალს ან აქტივებზე/აქტივებს მთლიანად ან მის არსებით ნაწილზე/ნაწილს; ან

(ზ) ნებართვები და თანხმობები: არ განახორციელოს რაიმე ქმედება ან არ დაარღვიოს რაიმე პირობა (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა მიღებულ იქნას, განხორციელდეს ან შესრულდეს, რათა (i) “ემიტენტს” შეეძლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შეასრულოს და შეესაბამოს საკუთარ გადახდის ვალდებულებებს „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები მე-7 პირობის (კოვენანტის) შესაბამისად და მისი „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები, (ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მბოჭავი და შესაძლებელი იყოს მათი აღსრულება და (iii) უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ „ემისიის პროსპექტი“ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი ნამდვილი დოკუმენტია; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა: „ობლიგაციების“ ან “ემისიის პროსპექტის“ ნამდვილობას სადაოდ ხდის “ემიტენტი” ან „ემიტენტი“ უარყოფს “ობლიგაციებით” ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ საკუთარ ვალდებულებას ან “ემიტენტის” მიერ “ობლიგაციებით” ან “ემისიის პროსპექტით” გათვალისწინებულ ნებისმიერ ერთი ან რამდენიმე საკუთარ ვალდებულების შესრულება ან მასთან შესაბამისობა უკანონო ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან ნებისმიერი ასეთი ვალდებულება გახდება აღუსრულებელი, კანონსაწინააღმდეგო ან აღარ იქნება ნამდვილი და მბოჭავი.

„ემიტენტი“ ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ, როგორც კი შეიტყობს, შეატყობინოს “ობლიგაციის მფლობელებს” ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ წარმოშობის შესახებ.

23.6.3 გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია.

(ა) გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელმწიფო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია „ემისიის პროსპექტსა“ და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით წარმოშობილ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც უკავშირდება „ემისიის პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გაცემას, ნამდვილობას, არსებობას, შეწყვეტას ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებას).

იმ შემთხვევაში, როდესაც „ობლიგაციების მფლობელი“ წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებას („**IFI ობლიგაციის მფლობელი**“), (ა) ნებისმიერი დავა, დაპირისპირება ან სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს ან უკავშირდება წინამდებარე „ემისიის პროსპექტს“ ან/და „ობლიგაციებს“, გადაწყდება არბიტრაჟის მიერ მოქმედი UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) მიერ დანიშნული ერთი არბიტრის მიერ. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო საარბიტრაჟო განხილვის ენა - ინგლისური. მხარეები უარს ამბობენ 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის შესაბამის ნებისმიერ უფლებაზე ან ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვაგვარად გასაჩივრებაზე, ან გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერი საკითხზე გადაწყვეტილების მოპოვებაზე, ინგლისის სასამართლოებში. საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იქნება უფლებამოსილი მიანიჭოს, და „ემიტენტი“ თანხმდება, რომ ის არ მოითხოვს, ნებისმიერი სამართლებრივი ხელისუფლებისგან, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიებების განხორციელებას „ობლიგაციის მფლობელების“ წინააღმდეგ, მიუხედავად UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების ნებისმიერი პირობისა. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გააერთიანოს ნებისმიერ პროცესში ან გადაწყვეტილებაში მის წინაშე (მხოლოდ) „IFI ობლიგაციების მფლობელების“ მიერ სათანადოდ აღძრული ნებისმიერი დამატებითი დავა, იმდენად რამდენადაც, ასეთი დავა გამომდინარეობს წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“, მაგრამ, აღნიშნულის გათვალისწინებით, დაუშვებელია ნებისმიერი სხვა მხარის ან სხვა დავების ჩართვა ან გაერთიანება მიმდინარე საარბიტრაჟო პროცესში/პროცესთან.

მიუხედავად ზემოთხსენებული პირობისა, „ემისიის პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული „IFI ობლიგაციების მფლობელის“ ნებისმიერი უფლება, ამ უკანასკნელის არჩევანისამებრ, შესაძლებელია აღსრულდეს საქართველოს სასამართლოებში.

23.6.4 განმარტებები.

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„განმეორებითი კრება“ ნიშნავს „ობლიგაციების მფლობელების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო ქვორუმი არ შედგა.

„აფილირებული პირი“ ნებისმიერ მითითებულ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს (ა) ნებისმიერ სხვა „პირს“ რომელიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მართავს ამგვარ მითითებულ „პირს“, ან რომელსაც მართავს ამგვარი მითითებული „პირი“, ან რომელიც იმყოფება ამგვარი მითითებული „პირის“, პირდაპირი ან არაპირდაპირი, საერთო მმართველობის ქვეშ (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც წარმოადგენს ამგვარი მითითებული „პირის“, მისი „შვილობილი კომპანიის“ ან „(ა)“ ქვეპუნქტში მითითებული ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორს ან ხელმძღვანელს;

„ობლიგაციის მფლობელი“ ან „ინვესტორი“ ნიშნავს „ობლიგაციების“ რეგისტრირებულ მესაკუთრეს („რეგისტრირებული მესაკუთრე“) („ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ განსაზღვრების შესაბამისად);

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც თბილისში არსებული კომერციული ბანკები ახორციელებენ გადარიცხვებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (უცხო ვალუტაში გაცვლის ჩათვლით);

„ჯგუფი“ ნიშნავს „ემიტენტს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“, რომლებიც, დრო და დრო, განიხილებიან ერთობლიობაში;

„კონტროლი“, წინამდებარე განსაზღვრების შესაბამისად, ნიშნავს კაპიტალის ფლობის მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვაგვარად „ემიტენტის“ ხელმძღვანელობის და პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას;

“**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**” (IFRS) ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით);

“**IFRS ფინანსური პერიოდი**” ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც “ემიტენტმა” მოამზადა გაერთიანებული ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადახედეს „აუდიტორებმა“;

“**დავალიანება**” ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე):

- (ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანება;
- (ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;
- (გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას საკრედიტო წერილებთან ან სხვა მსგავს დოკუმენტებთან დაკავშირებით (მათ შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებების ჩათვლით), გარდა ნებისმიერი საკრედიტო წერილების, გარანტიების ან სხვა მსგავსი დოკუმენტებისა, რომელიც გამოიცა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;
- (დ) ამგვარი „პირის“ მიერ ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული ან გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდის ყველა ვალდებულება;
- (ე) ყველა სხვა „პირის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც უზრუნველყოფილია “უზრუნველყოფის საშუალებით”, რომელიც ამგვარმა „პირმა“ უზრუნველყო საკუთარი ნებისმიერი აქტივის (რომლის ღირებულებაც, წინამდებარე მიზნებისთვის, განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ანგარიშის შესაბამის ღირებულებაზე მითითებით შესაბამის უკანასკნელ წლიურ ფინანსურ ანგარიშთან (IFRS-ის შესაბამისად დათვლილი) მიმართებით) მიმართ, მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა ამგვარ დავალიანებას აღნიშნული „პირი“;
- (ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანება, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ, იმ ოდენობით, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ;
- (ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან შესაბამისად მოძიებული ნებისმიერი თანხა, რომელიც ამკარად ექვემდებარება დაბრუნებას;
- (თ) წმინდა ვალდებულებები ნებისმიერი ვალუტის, ნედლეულის ფასის ან საპროცენტო განაკვეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად; და
- (ი) ნებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან გამომდინარე მოზიდული ნებისმიერი თანხა (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით ან ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი გააჩნია,

და ნებისმიერ თარიღზე ნებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა იქნება ამგვარ თარიღზე ყველა, ზემოთ აღწერილი, უპირობო ვალდებულებების გადასახდელი ნაშთი, ხოლო ყველა, ზემოთ აღწერილი, პირობით ვალდებულებასთან მიმართებით, მაქსიმალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობოდა ვალდებულების საფუძველად არსებული პირობის დადგომისას;

"არსებითი შვილობილი კომპანია" ნიშნავს „ემიტენტის“ ნებისმიერ შვილობილ კომპანიას:

(ა) რომელიც, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის, აღრიცხავდა „ჯგუფის“ ერთობლივი შემოსავლის 5 პროცენტზე მეტს, ან რომელიც, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს, იყო „ჯგუფის“ ერთობლივი შემოსავლის 5 პროცენტზე მეტის მფლობელი, რომელიც განისაზღვრება „ემიტენტის“ ერთობლივ ფინანსურ ანგარიშზე მითითებით, რომელიც მომზადდა IFRS-ის შესაბამისად უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ მიმართ; ან

(ბ) რომელსაც გადაეცემა არსებითად „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიის“ ყველა აქტივები და ვალდებულებები, რომელიც უშუალოდ ამგვარ გადაცემამდე წარმოადგენდა „არსებით შვილობილ კომპანიას“ (ამგვარი ტრანზაქციის თარიღის მიხედვით).

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს ("ფასიანი ქაღალდის ნომინალური მფლობელი"), „ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ განსაზღვრების შესაბამისად;

„ნებადართული უზრუნველყოფა“ განიმარტება, როგორც:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფა, რომელიც დადებულია „გამომშვების თარიღამდე“;

(ბ) ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი 100% მფლობელობაში არსებული „შვილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ მინიჭებული უზრუნველყოფა;

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უზრუნველყოფს „პირის“ დავალიანებას და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი“ შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილ კომპანიასთან“ ან გახდება „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანია“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, რომელიც ეკუთვნის შექმნილ „პირს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ (ასეთის არსებობისას));

(დ) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ შესყიდულ ან შესასყიდ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ შექმნილია ამგვარი შესყიდვის მიზნებისთვის და არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივებზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შესყიდული აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე);

(ე) შემდგომში „ჯგუფის“ ნებისმიერი წევრის მიერ შესყიდული ნებისმიერი ქონების მიმართ ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ ამგვარი ქონების შესყიდვის ფასის და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციული ხარჯების დაფინანსების მიზნებისთვის აღებული „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი შესაბამისი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ამგვარი ქონების შესყიდვის ფასს, ტრანზაქციულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ამგვარი შესყიდვის დაფინანსების შედეგად აღებულ „დავალიანებას“;

(ვ) ნებისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის ან ურთიერთგაქვითვის შესახებ შეთანხმება, რომელიც „ჯგუფის“ ნებისმიერმა წევრმა დადო საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის და გასავლის ბალანსის ურთიერთკომპენსაციის მიზნებისთვის;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების“ საგნის ღირებულება არ აღემატება ნებისმიერ ასეთ დროს „ემიტენტის“ აქტივების 10 (ათი) პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“

დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „ჯგუფის“ გაერთიანებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

(თ) „უზრუნველყოფის საშუალება“, არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე, ან მათი ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო ოპერაციის“ შესაბამისად;

(ი) ნებისმიერი ხელშეკრულების (ან სხვა მარეგულირებელი პირობების) შესაბამისად წარმომობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტული ან ჩვეულებითია საპროცენტო განაკვეთის, ნედლეულის ფასის ან/და უცხოური ვალუტის კურსის დაზღვევის ოპერაციების შესაბამის ბაზარზე;

(კ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში წარმომობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების“ ჩათვლით; ; და

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (კ)-ს ჩათვლით პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების“ მიერ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ საერთო ოდენობის ძირი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 10 (ათი) პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „ჯგუფის“ გაერთიანებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

„პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„პირობები“ ნიშნავს ამ „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების პირობებს“.

„ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

„უზრუნველყოფის საშუალება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, ყადაღას, შეზღუდვას, ვალდებულებას ან ფასიანი ქაღალდის პროცენტს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი კანონმდებლობით აღნიშნულის ნებისმიერი ანალოგიას);

„შვილობილი კომპანია“ „ნებისმიერი „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს“ („მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, დანაკისრს, ვალდებულებას, ბაჟს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმომობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის და მიუხედავად.

„წმინდა ფინანსური ვალდებულებები“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე):

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანება (მ.შ. სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება);

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;

(გ) გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტი.

23.6.5 შეტყობინებები.

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების მფლობელების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე.

„ობლიგაციების მფლობელებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ნომინალურ მფლობელს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ნომინალური მფლობელი“ „ობლიგაციების“ მფლობელს წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებს.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მატერიალური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადოდ წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ნომინალურ მფლობელს“ ინფორმაციას „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებადი ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება კომპანიის ვებგვერდი: <https://eurocredit.ge>. აღნიშნულ ვებგვერდზე მოხდება რეგულირებადი ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, სებ-ის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

- ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობების ცვლილებიდან;
- ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;
- ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- ინფორმაცია კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ.

23.6.6 ობლიგაციონერთა კრება.

(ა) ობლიგაციების მფლობელების კრება: წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ ადგენს წესებს „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის, ჩატარების და გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

- (i) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გავლენა აქვთ „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე, მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი სახის ცვლილების მიზნით, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე დამსწრე ხმების არანაკლებ 75% უმრავლესობით („განსაკუთრებული გადაწყვეტილება“).
- (ii) „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებად“, მიიღება მიცემულ ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“) და მხოლოდ მაშინ არის მართებული და შესასრულებლად სავალდებულო, თუ მიღებულია „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ სახით.

(ბ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის უფლებამოსილება: „ობლიგაციების მფლობელების“ კრების ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ „ემიტენტს“. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“, ასევე „ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით“ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან, აღნიშნული არ ცვლის ან აუქმებს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 25%-ის მფლობელებს უფლებას მოიწვიონ „ობლიგაციების მფლობელების“ კრება და დააყენონ

„დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების და „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო პროცედურის დაწყების საკითხი.

(გ) ობლიგაციების მფლობელების კრების ქვორუმი:

- (i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმს წარმოადგენს (i) ორი ან მეტი პირი, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან (ii) ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ დროს, ორი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელი“, მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირი ოდენობისა, რომელსაც ისინი ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს, შემდეგი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ შესახებ წინადადებების განხილვას:
- a. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას;
 - b. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას;
 - c. „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას;
 - d. „ობლიგაციების“ „ემიტენტის“ აქციებში ან სხვა ფასიან ქაღალდებში კონვერტაციას;
 - e. „ობლიგაციების“ შესაბამისი გადახდის ვალუტის ცვლილებას (გარდა მარეგულირებელი კანონმდებლობით გამოწვეული ცვლილებებისა);
 - f. „ობლიგაციების მფლობელების“ კრებებთან მიმართებით ქვორუმის მოთხოვნების ან „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის ოდენობის ცვლილებას; ან
 - g. წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას.

ასეთ შემთხვევებში, მსგავსი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების ქვორუმის აუცილებელი ოდენობა იქნება ორი ან მეტი პირი, რომელიც განსახილველ დროს ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან „განმეორებით კრებაზე“ - არანაკლებ ერთ მესამედს. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ მხოლოდ „ობლიგაციების მფლობელებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი იმ კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

- (ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული კრების ქვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი ასეთი „განმეორებითი კრების“ მიმართ შემთხვევაში - ორ ან მეტ პირს, რომელიც ესწრება ან წარმოადგენს „ობლიგაციების მფლობელებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

(დ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილება:

- (i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის გამოშვებული „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ.

(ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ.

(ე) **ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილების ძალაში შესვლა:** „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

23.7 ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წარმომადგენლის მითითება; ამ წარმომადგენლობის პირობებისა და იმ ვებ-გვერდის მითითება, სადაც ინვესტორები შეძლებენ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაცნობას.

ტრანზაქციის სტრუქტურა არ ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მფლობელების წარმომადგენლის ინსტიტუტს.

23.8 ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვის აღწერა.

ვინაიდან „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება საკუთრების უფლების „რეესტრში“ რეგისტრაციის ან „ნომინალური მფლობელის“ (საადრიცხვო ადმინისტრატორი) ჩანაწერებში ცვლილების შეტანის შედეგად, „კომპანიამ“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტმა“ მხოლოდ „რეგისტრირებული მფლობელები“ უნდა ჩათვალონ ნამდვილ მესაკუთრებად გადახდისა და სხვა მიზნებისათვის (საკუთრების უფლების შესახებ ნებისმიერი შეტყობინების მიუხედავად), მიუხედავად იმისა, „ობლიგაცია“ ან, პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა იქნება თუ არა ვადაგადაცილებული, და ამგვარი „რეგისტრირებული მფლობელისათვის“ განხორციელებული ყველა გადახდა ჩაითვლება ნამდვილად და საკმარისად „კომპანიის“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ ამგვარ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად, გადახდილი თანხ(ებ)ის ფარგლებში.

„ობლიგაციების“ მფლობელები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ ისინი ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ „რეგისტრატორს“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელს“ (საადრიცხვო ადმინისტრატორი). „ობლიგაციების“ გადაცემის შედეგად, გადამცემი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მიმღები ფლობს წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ და „ფინანსური წარმომადგენლობის ხელშეკრულებაში“ მითითებულ სრულ ინფორმაციას. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება გადამცემს, „ემიტენტისა“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალური მფლობელისათვის“ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

„ობლიგაციების“ განკარგვა დასაშვებია საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის) შესაბამისად. „ობლიგაციების“ განკარგვა და მათზე საკუთრების უფლების გადაცემა ნამდვილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“.

23.9 ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შესახებ. ინფორმაცია ობლიგაციების საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით.

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელთათვის. წინამდებარე შეჯამება ეფუძნება „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონების, რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაგებას და ექვემდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუძალა. ექვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „ობლიგაციების“ მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.

წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახადო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის, განსაკუთრებით იმ „ობლიგაციების“ მფლობელთათვის, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. რეკომენდებულია „ობლიგაციების“ მფლობელებმა კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შექენის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციაში., ა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაექვემდებაროს საგადასახადო დაბეგვრას ან ამჟამად არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნაფარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის. „ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემქენმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „ობლიგაციების“ შექენაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი საწარმოები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტი მიმდები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული ობლიგაციების მფლობელების საქართველოში დასადეკლარირებელ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ ობლიგაციები იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით არის გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“)⁷.

არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავალი არ უნდა მიეკუთვნებოდეს საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას. ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული გათავისუფლება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მისაღები/მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება. თუ პროცენტის მიმღები გადასულია მოგების გადასახადის ახალ, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, ისევე როგორც სხვა სტანდარტული შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნას გასანაწილებელი მოგების გაანგარიშებაში და მოგების დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, უნდა დაბეგროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ პროცენტის მიმღები ჯერ არ გადასულა ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე (ფინანსური ინტიტუტები), დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას მან ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი უნდა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

„ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგვრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგვრისგან).

„ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „ობლიგაციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“.

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის

⁷ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N33/04 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 2018 წლის 20 თებერვალს, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (ს/კ: 211382145; სალიცენზიო ნომერი: №9001, თარიღი: 14.01.2000) ის ნაწილი, რომელიც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“, ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტიინგში დაშვების შესახებ წესის შესაბამისად განსაზღვრულია „A“ და „B“ კატეგორიის სალისტიინგო სემინტად (კატეგორიად), აღიარებულ იქნა ორგანიზებულ ბაზრად 2018 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, საქართველოს საფონდო ბირჟას განესაზღვრა ვადა ორგანიზებულ ბაზრად აღიარებისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც საქართველოს საფონდო ბირჟამ დააკმაყოფილა და გაუგრძელდა ორგანიზებულ ბაზრად აღიარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის 21 სექტემბრის N 2-19/3269 წერილით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საფონდო ბირჟა ნებისმიერ მომენტში ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, არსებობს იმის რისკი, რომ ბირჟამ დაკარგოს აღნიშნული სტატუსი, რასაც შედეგად მოჰყვება ინვესტორების მიერ შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაკარგვა.

ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებულნი არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტი იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოემუშავს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება

თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციის“ მფლობელების მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვისას მიღებული ძირი თანხა არ ითვლება დასაბეგრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი „ობლიგაციების“ გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციად, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

23.10 არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები.

ემიტენტს არ გააჩნია საკრედიტო რეიტინგი. მომავალში კომპანია გეგმავს საკრედიტო რეიტინგის მოძიებას.

23.11 ობლიგაციაზე პროცენტის დარიცხვა და გადახდა

„ობლიგაციებს“ პროცენტი დაერიცხება 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2026 წლის 1 დეკემბრამდე (ბოლო თარიღის გამოკლებით), რომელიც გადახდილ უნდა იქნას ნახევარ წლიურად - თითოეული წლის 1 ივნისს და დეკემბერს. ზემოთხსენებული პროცენტის გადახდის თითოეული თარიღი შემდგომში მოიხსენება როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“, ხოლო 2026 წლის 1 დეკემბერი - როგორც „გამოსყიდვის თარიღი“.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარემოებების შესაბამისად, „რეგისტრირებულ მფლობელთა“ სიის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია რეგისტრატორის მფლობელთა რეესტრში („რეესტრი“) ან „ნომინალური მფლობელის“ (ადრიცხვის ადმინისტრატორი) მიერ წარმოებულ ჩანაწერებში, სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე („საადრიცხვო თარიღი“), სამუშაო დღის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „გადახდისა და

კალკულაციის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციების“ მფლობელის ანგარიშზე.

პროცენტის დაანგარიშება მოხდება შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: 30/360 ISMA, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევრობონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“ = მრიცხველი / 360

მრიცხველის ფორმულა:

1. თუ $D1=31$, მაშინ $D1=30$
2. თუ $D2=31$, მაშინ $D2=30$
3. თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება
4. მრიცხველი = $(D2-D1)+30*(M2-M1)+360*(Y2-Y1)$, სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს და „Y“ - წელს.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როცა „ობლიგაციის“ თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწვეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

პროცენტის გადახდა

„ობლიგაციებზე“ პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირითადი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „რეგისტრირებული მფლობელებისათვის“ გაგზავნამდე.

“პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს 180-დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლოს წინა „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

ა) გადასახდელ პროცენტზე და ძირზე მოთხოვნის დაფიქსირების დროის ლიმიტები.

- i) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს იმ „ობლიგაციების მფლობელებისა“ და „ნომინალური მფლობელებისთვის“, რომლებიც

„რეესტრში“ აღრიცხულნი არიან ამგვარი გადახდის თარიღამდე 3 „სამუშაო დღით“ ადრე, სამუშაო დღის დასასრულს (18:00) („სააღრიცხვო თარიღი“). გადახდები უნდა განხორციელდეს აშშ დოლარში (“USD”) იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც „რეესტრში“ აღრიცხულია „სააღრიცხვო თარიღისათვის“. „რეესტრში“ აღრიცხულმა „ობლიგაციების მფლობელებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ „რეესტრს“ ჰქონდეს განახლებული, სრული და სწორი ინფორმაცია მათი იმ საბანკო ანგარიშების რეკვიზიტების შესახებ, სადაც უნდა განხორციელდეს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული გადახდები. „ემიტენტი“, „რეგისტრატორი“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არ არიან პასუხისმგებელი ვადამოსული თანხის გადაუხდელობაზე, თუ „ობლიგაციების მფლობელმა“ ან „ნომინალურმა მფლობელმა“ არ მიაწოდა „რეგისტრატორს“ თავისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელიც „ემიტენტმა“ ან „რეგისტრატორმა“ მოითხოვა გადახდების განხორციელების მიზნით, ან არ განაახლა ამგვარი რეკვიზიტები „სააღრიცხვო თარიღისათვის“.

- ii) საბანკო ტრანზაქციის (გადარიცხვის) ნებისმიერი საკომისიო შესაძლებელია დაქვითულ იქნას გადასახდელი თანხიდან. თუ „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ წინა პარაგრაფში მითითებული საბანკო ანგარიში არის სხვა ნებისმიერ ვალუტაში გარდა ევროსი, მაშინ „ობლიგაციების მფლობელისათვის“ ან „ნომინალური მფლობელისათვის“ გადახდის განხორციელება დასაშვებია ვალუტის კონვერტირების საფასურის გამოკლებით.
- iii) თუ გადახდის დღეს გადახდილი ნებისმიერი ძირი თანხა ან პროცენტი არის ამ თარიღისათვის ვადამოსულ თანხაზე ნაკლები, მაშინ „ემიტენტმა“ ყველა „ობლიგაციების მფლობელს“ პროპორციულად უნდა გადაუხადოს ის თანხები, რომლებიც ხელმისაწვდომია ამგვარი თარიღისათვის. აღნიშნული არ ზღუდავს „ობლიგაციების მფლობელების“ უფლებას სრულად მიიღონ ვადამოსული ძირი თანხა და პროცენტი წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად.
- iv) „ემიტენტის“ და/ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია აიკრძალოს ან შეიზღუდოს „ობლიგაციების“ გადაცემა იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება „სააღრიცხვო თარიღზე“ და სრულდება იმ დღეს, როცა შესაბამისი გადახდა ხდება ვადამოსული.

ბ) აგენტების დანიშვნა:

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ მოქმედებენ როგორც მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტები და, წინამდებარე „ემისიის პროსპექტისა“, შეთავაზების მიზნებისათვის და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში, არ იღებენ რაიმე ვალდებულებას რომელიმე „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ წინაშე და არ წამოადგენენ მათ აგენტებს ან მინდობილ პირებს. აღნიშნული არ ცვლის და აუქმებს რომელიმე აქ ჩამოთვლილი პირის ვალდებულებას, რაც გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოთი.

„ემიტენტი“ იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს, „ობლიგაციების მფლობელების“ თანხმობით, შეცვალოს ან გააუქმოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ ან „რეგისტრატორის“ დანიშვნა და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ან „რეგისტრატორი“, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰყავდეს (i) „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, და (ii) „რეგისტრატორი“, დადასტურებული „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ.

ლ) კალკულაცია და გადახდა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი ნებისმიერი თანხა (მათ შორის, პროცენტი) უნდა დაანგარიშდეს და გადახდილი იქნას „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ, წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული ვადამოსული თანხები, გარდა აშკარა შეცდომისა, არის სავალდებულო „ემიტენტისთვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტმა“ თანხები უნდა დაიანგარიშოს შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 10 (ათი) „სამუშაო დღით“ ადრე და შეატყობინოს „ემიტენტს“. შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე, „ემიტენტმა“ შესაბამისი თანხები უნდა განათავსოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ განსნილ საკუთარ საბანკო ანგარიშზე და მისცეს ამ უკანასკნელს მითითება აღნიშნული თანხების გადარიცხვის თაობაზე. თუ „ემიტენტის“ ანგარიშზე არის საკმარისი თანხა, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ვალდებულია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ვადამოსული გადახდები განხორციელოს „ემიტენტის“ შესაბამისი მითითებების გარეშე. თუ შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე „ემიტენტის“ ანგარიშზე არსებული თანხა საკმარისი არ არის, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ემიტენტს“, ხოლო თუ გადახდის თარიღზე თანხა არ არის საკმარისი, შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნოს „ობლიგაციების მფლობელებსაც“.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად და შესაბამისი პროცედურის გამორიცხვის გარეშე, „განთავსების აგენტის“ და „ემიტენტის“ ერთობლივი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა შეთავაზება განხორციელდეს საქართველოს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ კალკულაციის და გადახდის პროცესზე გავრცელება ცენტრალური დეპოზიტარის შესაბამისი წესები.

გ) საგადასახადო კანონმდებლობას დაქვემდებარებული გადახდები:

ყველა გადახდა, ნებისმიერ შემთხვევაში, ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო ან სხვა კანონმდებლობას, რეგულაციებს და დირექტივებს.

დ) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციების მფლობელებს“ არ ექნებათ უფლება მიიღონ რაიმე პროცენტი, პირგასამტეხლო ან სხვა თანხა „ობლიგაციასთან“ დაკავშირებული ვადამოსული თანხის დაგვიანებით მიღებისთვის, თუ გადახდის დღე არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო „სამუშაო დღეს“.

24 საჯარო შეთავაზების პირობები.

24.1 შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები.

24.1.1 პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება.

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებულ პირობებს.

24.1.2 ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობის საორიენტაციო მაჩვენებელი.

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ჯამური ოდენობა იქნება 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარი.

24.1.3 პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შექმნა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

ობლიგაციების შეთავაზება დაიწყება წინასწარი პროსპექტის დამტკიცებასთან ერთად და დასრულდება საბოლოო პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში (არაუგვიანეს 2024 წლის 28 ნოემბრისა). შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი

„განთავსების აგენტი“ განახორციელებს „ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით, „ემიტენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ და/ან მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული „ემისიის პროსპექტი“ და სხვა მარკეტინგული ინფორმაცია გაუგზავნონ პოტენციურ „ინვესტორებს“.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ ახდენს ობლიგაციების საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „ემიტენტი“ აქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. „ემიტენტი“, „განთავსების აგენტი“ ან/და მისი უფლებამოსილი შუამავალი/შუამავლები პოტენციურ „ინვესტორებს“, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან პროსპექტის ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან პროსპექტის დაბეჭდილ ასლს. საბოლოო პროსპექტი მიეწოდება პოტენციურ „ინვესტორებს“ (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მათი ინტერესი „ობლიგაციების“ შესყიდვისადმი გამონახატონ „განთავსების აგენტისთვის“ განაცხადის/შეტყობინების მიწოდების გზით. ამგვარი ინტერესის გამონახატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის ან „განთავსების აგენტის“ მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღს ცალმხრივად განსაზღვრას „განთავსების აგენტი“. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში. ამგვარი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი აისახება საბოლოო „ემისიის პროსპექტში“.

თუ პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, ისინი გამონახატავენ ინტერესს შეიძინონ წინამდებარე „პროსპექტით“ შეთავაზებულზე მეტი ოდენობის „ობლიგაციები“, ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ და „განთავსების აგენტი“ თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამგვარ პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს უარი თქვას ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღის“ 14:00 საათისა (თბილისის დროით), რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისათვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“,

თავისი შეხედულებისამებრ, განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის („შემსყიდველი ინვესტორები“).

„შემსყიდველმა ინვესტორებმა“ „ობლიგაციების“ შესაბამისი რაოდენობის შესასყიდად საჭირო თანხები სრულად უნდა განათავსონ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ არა უგვიანეს 2 „სამუშაო დღისა“. „შემსყიდველმა ინვესტორებმა“ ამგვარი ფასიანი ქაღალდების ანგარიშები უნდა გახსნან „გადახდის და კალკულაციის აგენტთან“. „ემიტენტი“ შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდებას განახორციელებს „გამოშვების დღეს“ იმავე ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე. საგამონაკლისო შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მისცეს უფლება „შემსყიდველ ინვესტორს“, რათა მან „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „გადახდის და კალკულაციის აგენტთან“ გახსნილ „ემიტენტის“ ანგარიშზე („გადახდის და კალკულაციის აგენტთან“ გახსნილი „შემსყიდველი ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშის ნაცვლად). ამ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განახორციელდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ „შემსყიდველი ინვესტორის“ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუკი პირველადი განთავსების პერიოდში ინვესტორი „ობლიგაციებს“ შეიძენს მათი გამოშვების თარიღის შემდეგ, იგი ვალდებული იქნება ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად გადაიხადოს მათი შეძენის თარიღისთვის დარიცხული კუპონიც.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილი არიან ფლობდნენ „ობლიგაციებს“ ჩანაწერის ფორმით „რეგისტრატორთან“ ან სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე „ობლიგაციის მფლობელი“ ფასიან ქაღალდს დაიჭერს საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის - Clearstream-ის მეშვეობით, შესაძლოა შეთანხმდეს ანგარიშსწორების განსხვავებული პირობები, რომლებიც შეეხება მხოლოდ ანგარიშსწორების ტექნიკურ დეტალებს და არ შეცვლის ობლიგაციების პირობებს. ამგვარი განსხვავებული პირობები შესაძლებელია შეთანხმდეს „ემიტენტს“, „გადახდისა და კალკულაციის აგენტსა“ და Clearstream-ს შორის, რის შემთხვევაშიც, ფორმალური იქნება (ა) მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით; და (ბ) ამ ემისიის პროსპექტის დანართის სახით. ყოველგვარი უჭვის გამორიცხვის მიზნით, ამგვარი დანართი (დამატება) არ საჭიროებს საქართველოს ეროვნული ბანკის ან ობლიგაციონერების კრების თანხმობას და ექვემდებარება მხოლოდ ემიტენტის მიერ ავტორიზებას.

დაბოლოს, ზემოაღნიშნულის მიუხედავად და შესაბამისი პროცედურის გამორიცხვის გარეშე, „განთავსების აგენტის“ და „ემიტენტის“ ერთობლივი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა შეთავაზება განხორციელდეს საქართველოს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მეშვეობით.

ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესზე გავრცელება ცენტრალური დეპოზიტარის შესაბამისი წესები.

(ბ) ცვლილებების განხორციელება შეთავაზების მიმდინარეობისას

თუ შეთავაზების პროცესში (დროის მონაკვეთი შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“) „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, მაგალითად, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, შეთავაზების პერიოდი და ა.შ., „ემიტენტმა“ ინვესტორებს უნდა განუსაზღვროს სულ მცირე 1 სამუშაო დღის ვადა მათი მოთხოვნის გაუქმებისათვის. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, „ემიტენტს“ უფლება აქვს გააგრძელოს შეთავაზება შეცვლილი პირობებით.

თუ ინფორმაცია რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით შეიცვლება, ინვესტორებს, რომლებმაც შეისყიდეს „ობლიგაციები“, უფლება აქვთ გააუქმონ ამგვარი ნასყიდობა და მოითხოვონ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ გამოსყიდვა მათი ძირი თანხისა და ნებისმიერი დარიცხული პროცენტის სანაცვლოდ. ინვესტორები („ობლიგაციების მფლობელები“), რომლებიც არ გააუქმებენ „ობლიგაციების“ შესყიდვას, დაექვემდებარებიან შეთავაზების შეცვლილ პირობებს.

თუ შეთავაზების პროცესში შეიცვლება რაიმე არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტმა“, შესაბამისი ცვლილების „ემისიის პროსპექტში“ შეტანამდე, უნდა შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ და მიაწოდოს მათ დოკუმენტი, რომელიც ასახავს ამგვარ შეცვლილ ინფორმაციას.

24.1.4 მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა შესაბამის მფლობელებზე ემისიის პროსპექტში განსაზღვრული ვადის განმავლობაში, „ობლიგაციები“ ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ კი გაუქმდება.

24.1.5 განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

24.1.6 ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა.

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს წინასწარ, შესაბამის ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების გადაცემამდე.

24.1.7 იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ.

ინვესტორებს არ აქვთ განთავსების აგენტისთვის გაგზავნილი ოფიციალური განაცხადის გაუქმების უფლება.

24.1.8 შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება.

შეთავაზების შედეგები გასაჯაროვდება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მეშვეობით. „ემიტენტის“ მიერ განთავსების ანგარიში ეროვნულ ბანკში წარდგება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის ვადაში, რეგულირების შესაბამისად.

24.2 განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა.

24.2.1 პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.

ობლიგაციების ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეთავაზება იგეგმება „ფასიანი ქაღალდების კანონით“ ნებადართულ ყველა პირზე.

24.2.2 ფასიანი ქაღალდის შექმნაზე/გამოწერაზე განაცხადის განმანორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი, ამასთან იმის მითითება, შესაძლებელია თუ არა ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დაწყება ასეთი შეტყობინების გაგზავნამდე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონეა ამგვარი ინვესტორებისათვის.

ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე.

24.2.3 რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, მითითება აპირებენ თუ არა ემიტენტის მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) მონაწილეობა მიიღონ შეთავაზებაში და შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, ან არსებობს თუ არა პირი, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 პროცენტზე მეტი.

ემიტენტისთვის ასეთი ინფორმაცია უცნობია.

24.3 ფასის დადგენა.

24.3.1 არსებობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით.

თუ ფასი არ არის ცნობილი ან ფასიანი ქაღალდებისათვის არ არსებობს ლიკვიდური ბაზარი ამ ტიპის ფასიანი ქაღალდებისთვის, უნდა მოხდეს:

ა) თუ შესაძლებელია, მაქსიმალური და მინიმალური ფასის მითითება; ან

ბ) შეფასების მეთოდისა და კრიტერიუმების მითითება, რის მიხედვითაც მოხდება საბოლოო ფასის დადგენა. ასევე, განმარტება, თუ რატომ მოხდა აღნიშნული შეფასების მეთოდის შერჩევა; აქვე უნდა მიეთითოს მყიდველისთვის დაკისრებული ნებისმიერი ხარჯისა (მათ შორის ფასში შესული) და გადასახადის ოდენობა.

ამასთან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შექმნაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

ობლიგაციების განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ ფასს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ფასი განსხვავებული იქნება აღნიშნული გაცხადებული ფასისაგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შექმნაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

პირველადი განთავსებისას ინვესტორს არ ეკისრება ტრანზაქციის ხარჯი, გარდა საბანკო მომსახურებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვის ხარჯებისა.

24.3.2 შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა.

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და ემიტენტი არ განიხილავს სხვაგვარ ფასს.

24.3.3 იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტის აქციონერებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება და ეს უფლება შეზღუდულია ან გაუქმებული, უნდა მიეთითოს ამგვარი შეზღუდვისა და გაუქმების მიზეზები.

ობლიგაციებთან მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება.

24.4 განთავსება.

24.4.1 შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და ობლიგაციონერების წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია.

შეთავაზებაში ჩართული იურიდიული ფირმაა: შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 211389291.

მის: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 129ა, სართული 4. ტელ.: (+995 32) 292 24 91. ვებ გვერდი: www.blc.ge.

24.4.2 ანგარიშსწორების აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია.

სს „პაშა ბანკი საქართველო“

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #37მ

ელ. ფოსტა: info@pashabank.ge

ვებ გვერდი: <https://www.pashabank.ge/>

24.4.3 განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით. თუ არ ხდება სრული შეთავაზების ანდერაიტინგი, ხელშეკრულებით დაფარული ნაწილის მითითება.

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“

მისამართი: ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: (+995) 555 088 88 88

ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com

ვებ-გვერდი: www.alphacapitaladvisory.com

ხელშეკრულება შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების ანდერაიტინგი მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. თითოეული განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან და პირველად ბაზარზე რეალიზაციასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

24.4.4 მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.

ემისიის საბოლოო პროსპექტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებიდან 12 თვის შემდეგ ან ემისიის თანხის სრული განთავსების თარიღისთვის (რომელიც უფრო ადრეა), თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის სხვაგვარად დადგენა.